- ინფორმაცია ცნობიერებაში ღრმად არ აღწევს და წუთიერად მოქმედებს კომუნიკანტის წარმოსახვაზე;
- ინფორმაცია ოდნავ ეხება კომუნიკანტის ცნობიერებას და ქვეცნობიერებას და მხოლოდ იქცევს მის ყურადღებას;

ინფორმაცია ფიქსირდება ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში, იწყებს აქტიურ შემოქმედებით პასუხს რეციპიენტის მხრიდან და სრულდება რეალური ქმედებით.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: “როგორი ინფორმაცია ვერ აღწევს ცნობიერებას და რის საფუძველზე გამოიყოფა ინფორმაციის აღქმადობის სამი საფეხური?” სწორედ აქ ეხებათ კომუნიკაციის პრობლემატიკას; სხვა სიტ-

ყვებით კი, ეფექტური შეტყობინების ფორმირებისათვის რელევანტურ ტექნოლოგიათა, საკითხს.

კომუნიკაციური პროცესის თითოეული კომპონენტისა და ეტაპის შინაარს-სობრივი თავისებურება სრულად აისახება "ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის" მოთხოვნებსა და კომუნიკაციის "ბარიერებში". კომუნიკაციის "ბარიერების" წარმოქმნის მიზეზები ისეთივე მრავალფეროვნებით ხასიათდება, როგორითაც ადამიანის ფსიქიკა. ამ მრავალფეროვნებიდან შესაძლებელია, გამოიყოს შედარებით უფრო ტიპური „ბარიერები“:

**ინტერპრეტაციული შეცდომები** ინტერპრეტაციული შეცდომები განპირობებულია აღქმის ფაქტორით. ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ერთსა და იმავე სიტუაციას, მასში გამოყოფენ, მათი თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს და დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ მათი თვალსაზრისია ყველაზე სწორი. ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში გაკეთდა დასკვნა, რომ ჩვენი საერთო და ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ სამყაროს მივიჩნევთ სუსტად ისეთად, როგორც იგი ჩვენ ეფიქსება. თითოეული ინდივიდი, გამოქმდნარც მისი გამოცდილებიდან, პროფესიული კომპეტენციის სფეროდან, ინტერესებიდან და ა.შ., თავისებურად აღიქვამს ინფორმაციას და ახდენს მის ინტერპრეტაციას.

არასწორი ინტერპრეტაციის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია, როცა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთათვის სხვადასხვა ენაა მშობლიური. მაგ, ინგლისურისაგან განსხვავებით, სპარსულ ენაში სიტყვას "კომპრომისი" არ გააჩნია პოზიტიური მნიშვნელობა, სიტყვა "შუამავალი" კი "დაუპატიებელ სტუმარს" ნიშნავს. 1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, ვალდჰაიმი ეწვია ირანს მძევლების საკითხის დასარეგულირებლად. ირანულმა რადიომ და ტელევიზიამ სპარსულ ენაზე გადმოსცა ვალდჰაიმის შემდეგი შეტყობინება: „მე აქ ჩამოვედი როგორც შუამავალი კომპრომისის მისაღწევად“. გადაცემიდან ერთი საათის შემდეგ გააფთრებულმა ირანელებმა ქვეტი დაუშინეს სტუმრის მანქანას.

**დისპოზიციური შეცდომები** დისპოზიციური შეცდომები განპირობებულია კომუნიკანტთა სოციალური, პროფესიული და გამოცდილებაში არსებული სხვაობით. თუ ერთ ინდივიდს წარსულში ჩამოუყალიბდა უარყოფითი დამოკიდებულება მეორე ინდივიდისადმი, ეს დამოკიდებულება გამოიწვევს საჭირო ინფორმაციის არაადეკვატურ აღქმას ან უკუღებულყოფას, საუკეთესო შემთხვევაში კი, "ნდობის ყველაზე დაბალი ხარისხით" აღქმას.

**სტატუსთან დაკავშირებული შეცდომები** სტატუსთან დაკავშირებული შეცდომები განპირობებულია კომუნიკაციურ აქტში მონაწილე ინდივიდების თანამდებობრივი სტატუსების განსხვავებულობის ფაქტით. ცნობილია, თუ რამდენად რთულია მაღალი თანამდებობის ადამიანისათვის რიგითი თანამშრომლის პრობლემის აღქმა. რაც უფრო დიდია თანამდებობრივ სტატუსებს შორის განსხვავება, მით უფრო მაღალია აღნიშნული ტიპის შეცდომათა არსებობის ალბათობა.

**სემანტიკური „ბარიერები“** - სემანტიკური „ბარიერები“ განპირობებულია ბუნებრივი ენის ელემენტთა პოლისემანტიკურობითა და სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსების არსებობით. სემანტიკური „ბარიერი“ შეიძლება გაჩნდეს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის, არამედ მთელი გამონათქვამის აღქმის შემთხვევაშიც კი. როდესაც თქვენი უფროსი გუზნებათ შემდეგ ფრაზას: „მიხედეთ ამ საქმეს მაშინვე, როგორც კი იპოვით თავისუფალ დროს“, თქვენ გინდებათ შეითხვა: როგორ ესმის თქვენს უფროსს „თავისუფალი დრო“ და გესმით თუ არა თქვენ და თქვენს უფროსს „თავისუფალი

დრო" ერთნაირად? „თავისუფალ დროს გასაკეთებელი საქმე“ უფროსისათვის შეიძლება გულისხმობდეს „დაუყოვნებლივ გასაკეთებელ საქმეს“, ხოლო თქვენთვის „იმ საქმეს, რომელიც მოიცდის“.

**არაფექტური უკუკავშირი** - უკუკავშირის არსებობისას ადამიანები ცვლიან კომუნიკაციურ როლებს: მიმღები ხდება გადამცემი და გაივლის ინფორმაციის გაცემის ყველა ეტაპს, რათა გადასცეს თავისი პასუხი საწყის გადამცემს, რომელიც ახლა უკვე მიმღების როლშია. უკუკავშირი წარმოადგენს გარკვეულ ორიენტირს მომდევნო შეტყობინებისათვის, რომელსაც ეუბნებიან მიმღებს. არაფექტური უკუკავშირი წარმოადგენს კომუნიკაციის შეცდომათა არსებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

**ცულად ჩამოყალიბებული შეტყობინება** - ცულად ჩამოყალიბებული შეტყობინება გულისხმობს ბუნდოვნად, ორასროვნად ჩამოყალიბებულ აზრს. ამგვარი შეტყობინების ძირითადი მახასიათებლებია: მწირი ლექსიკა, გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვები, ყოველგვარი საჭიროების გარეშე გამოყენებული სტილისტური ხერხი - „გამეორება“, სტილის არაადეკვატურობა და ა.შ.

**ინფორმაციული დანაკარგი** ინფორმაციული დანაკარგი თავს იჩენს ორ შემთხვევაში:

- თუ შეტყობინება მეტისმეტად გრძელი და რთულია, მაშინ მსმენელს აეწელება, თუ რაღე იყო დაბარა კი შეტყობინების დასაწყისში. ასეთ შემთხვევაში ხდება მსმენელის მეხსიერების გადატვირთვა და ადგილი აქვს ინფორმაციულ დანაკარგს;

თუ „ინფორმაცია მოგსაურობს“, მაგ., „უფროსიდან ქვეშევრდომამდე“. ინფორმაციის ამ „მარშრუტით მოგსაურობა“ ხშირად იწვევს ინფორმაციის გარკვეული წილის დაკარგვას.

**ფალსიფიცირების შეცდომები** ფალსიფიცირების შეცდომები განპირობებულია „ინფორმაციის გადამცემის“ სუბიექტურობით. „ინფორმაციის გადამცემი“ ადამიანი და იგი არ ხასიათდება მიუკერძოებლობით. ინფორმაციის გადამცემს ისე შეუძლია დაამახინჯოს შეტყობინება, რომ თავადაც ვეღარ იცნოს იგი.

ფალსიფიცირების შეცდომები ასოცირდება მეხსიერების თავისებურებასთანაც: არობილია, რომ ეიზულურად დამახსოვრებული მოვლენა მახინჯდება ევრბალურ ფორმის რეპრეზენტაციაში, სხვა სიტყვებით, ირღვევა შესატყვისობა მეხსიერებაში შენახულ ეიზულურ ხატსა და ამ ხატის სიტყვიერ დასახელებას შორის. აღმაინისათვის უფრო მოსახერხებელია, მეხსიერებაში შეინახოს ეიზულური ხატის სატყვიერი აღწერა, ვიდრე თავად ეს ხატი.

იგივე შეიძლება ითქვას რეალურად მომხდარი მოვლენების შესახებ. დროთა განმავლობაში ისინიც მახინჯდებიან მეხსიერებაში. ისინი იცვლებიან, რაშიც იგულისხმება:

**გათანაბრება** - ბევრი მოვლენა ვარდება მეხსიერებიდან და ისტორია იქნეს უფრო მოკლე და სქემატურ სახეს;

**დაზუსტება** - ბევრი დეტალი უცრად იქნეს სიმკვეთრეს და ყოველთვის მეორდება;

**ასიმოლაცია** - ჩვენ ვიმახსოვრებთ მოვლენებს ისე, როგორადაც ჩვენ ეს გეინდა, სხვა სიტყვებით, არსებობს შესაბამისობა ზოგიერ სქემასა და სტერეოტიპს შორის.

დამახსოვრებელი მასალის ამგვარ სქემატიზაციას დ. მილერი ხელმეორე კოდირებას უწოდებს. ხელმეორე კოდირება არის გახაზვრძლივებული შთაბეჭდილების აღწერა კონდენსირებული ფორმით.

**წინასწარი შეფასება** წინასწარი შეფასება გულისხმობს მსმენელის მიერ შეტყობინების წინასწარ, ემოციურ შეფასებას. სმენელი არ ელოდება შეტყობინების დასრულებას, რაც იწვევს აღქმის არაადეკვატურობას.

**„შიშის შეცდომები“** „შიშის შეცდომები“ ჩნდება „შელამაზებულ შეტყობინებაში“, რომელიც გულისხმობს იმ ადამიანისათვის მიტანილ ინფორმაციას, რომლისაც გეშირია:

კომუნიკაციის ბარიერების დაძლევის ყველაზე მძლავრ საშუალებას ეფექტური კომუნიკაციის პრინციპების დაცვა წარმოადგენს.

ადამიანი არის homo loquens, თანაც ძალიან გამოცდილი! და მიიხედავად ჩვენი გამოცდილებისა, გვაქვს უამრავი კონფლიქტი, გამწვანული სულ უბრალო კომუნიკაციური შეცდომებით.

რა შეცდომებს ეუშეებთ? რატომღა? ასეთი მიუწვდომელი დიალოგურობა? ხშირად ემფატიკა გეკალია. გეიტირს საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოადგენა. ფსიქოლოგი კარლ როჯერსი შემდეგნაირად განმარტავს ემფატიკას: „ემფატიკის უნარი გულისხმობს სხვა ადამიანის სამყაროს აღქმის უნარს. თითქოს ხდებდეს ის სხვა, მაგრამ არ კარგავ იმის განცდას, რომ ეს ყველაფერი ხდება „თითქოს“ როცა გავიწყდება, რომ შენ მხოლოდ „თითქოს“ ხდები სხვა, ემფატიკის ადგილს იდენტიფიკაციის მდგომარეობა იკავებს. საერთო სემანტიკური მნიშვნელების მიღწევისათვის აუცილებელია ემფატიკის თუნდაც მინიმალური ხარისხი. ურთიერთობის ემფატიკური ფორმა გულისხმობს სხვა ადამიანის სულიერ სამყაროში შესვლასა და დროებით იქ „დასახლებას“, სხვა სიტყვებით, სხვა ადამიანის „სოფიერების სახლში“ ცხოვრებას ისე, რომ თავს საკუთარ სახლში გრძნობდე. ეს გარკვეული დროით, სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას ნიშნავს. ამ დროს საკუთარი ცხოვრება, ღირებულებები და პრინციპებიც დროებით უნდა დაივიწყო. ემფატიკა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს სხვისი ცხოვრების კრიტიკის სურვილი. ადამიანთან ურთიერთობის ემფატიკური ფორმისათვის რეკლევანტურია „შენ“ და არა „მე“ ემფატიკა არ ნიშნავს იმის დემონსტრირებას, რომ გესმით, თუ რას განიცდის თქვენი თანამოსაუბრე. ემფატიკა არ ნიშნავს არც იმის დემონსტრირებას, რომ უთანხმობით თქვენი თანამოსაუბრის თვალსაზრისს. ემფატიკა სხვა ადამიანის „როლში“ შესვლას გულისხმობს. ეფექტური ურთიერთობა ნიჭიერი მსახიობის „საქმიანობას“ ჰგავს. იმისათვის, რომ კარგად შეასრულო ჰამლეტის როლი, სრულებით არაა საკმარისი, იმის ცოდნა, თუ რაში მდგომარეობს ჰამლეტის ტრაგედია. იმისათვის, რომ „იყო კარგი ჰამლეტი“, დროებით უნდა იყო ჰამლეტი.

როგორ მივალწვით დიალოგურობას? მოსენა და ყურადღება ყველაზე დიდი ქათინაურია! სამოქალაქო ომის ყველაზე მძიმე დღეებში ლინკოლნმა წერილი მისწერა ერთ თავის ძველ მეგობარს და ვაშინგტონში ჩამოსვლა სთხოვა, რაღაც პრობლემაზე მინდა მოგელაპარაკო. ძველი მეგობარი თეთრი სახლისკენ გამოეშურა. ლინკოლნი რამდენიმე საათი უსაუბრა მას მონების გაათვისუფლების დეკლარაციის მიზანშეწონილობის შესახებ. სტუმარს ამ დროისთვის ყველა საწინააღმდეგო თუ სასარგებლო მტკიცებულებები მოუყვანა. დამდენიმე წერილი და საგაზეთო სტატიაც წაუკითხა: ზოგში იმას საყვედურობდნენ, რატომ არ ათავისუფლებ მონებსო, ზოგში კი ეიცხადნენ, რატომ ათავისუფლებო. დამდენიმე საათის ლაპარაკის შემდეგ ლინკოლნმა ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და უკან, ილინოისში ისე გაამგზავრა

მეგობარი, აზრიც კი არ უკითხავს მისთვის. მთელ დღე მარტო ლინკოლნი ლაპარაკობდა. თავისივე საუბარმა საჭირო დასკვნებს გააკეთებინა. მეგობარმა კი ირწმუნა, რომ მასთან საუბარმა ლინკოლნს შეეცა მოჰგვარა. ინკოლნს რჩევები არ უნდოდა. მას მხოლოდ კეთილგანწყობილი მსახური სჭირდებოდა.

ზოგ შემთხვევაში, „აქტიური და კონსტრუქციული მსმენელი“ წესი შემდეგნაირად ელერს: „თუ გსურთ ჩემთან საუბარი, მაშინ იყავით ჩემად“.

*მაია ჩხეიძე*

## **Empathy and Effective Verbal communication**

The article deals with the problem of identifying different types of communication barriers. These barriers appear in the process of developing an idea, defining communication intention, using different communication strategies, creating messages according to the principle of “informative sufficiency”, and decoding information. These identified categories of communication barriers imply different types of communication errors causing misunderstanding of the message. To effectively communicate, we should realize that we are all different in the way we perceive the world and use this understanding as a guide to our communication with others.

*მაია ჩხეიძე*

## **Эмпатия и эффективная вербальная коммуникация**

Статья касается проблемы идентификации различных типов коммуникативных барьеров. Эти барьеры появляются в процессе формирования идеи, определения коммуникативной интенции, использования различных коммуникативных стратегий, создания сообщения в соответствии с принципом “информационной достаточности” и декодирования информации. Идентифицированными категориями коммуникативных барьеров являются различные типы коммуникативных ошибок, ведущих к неправильному пониманию сообщения. Чтобы эффективно общаться, мы должны осознать, что мы разные в том, как мы воспринимаем мир и используем это понимание в процессе нашего общения с другими людьми.

*З.К. Ширинова*

*(Посольство США в Азербайджане)*

## **Профессиональная подготовка лингвиста-переводчика**

**Ключевые слова:** лингвист-переводчик, профессиональная подготовка, процесс обучения.

Как определить перечень профессионально важные качества (ПВК) переводчика? Наиболее простым способом является их определение в рамках основных видов перевода: последовательного, синхронного, письменного, перевода с листа и т.д. Однако, по мнению Е.Р. Поршневой [9], перечень ПВК, установленный таким образом, является неполным, и это становится очевидным в ходе синтеза ПВК путем более глубокого и всестороннего изучения функциональной структуры переводческой деятельности.

Между тем возможен и иной подход к исследованию структуры ПВК, обоснованный А.В. Карповым [6, 76]. Суть логических построений этого ученого состоит в следующем: идти не от деятельности к структуре качеств личности, реализующих



деятельность, а от структуры личности к выявлению тех из ее качеств, которые выступают профессионально важными для деятельности.

Для осуществления подхода А.В. Карпова при проведении своего исследования автор данной статьи обратилась к семи сферам человека, обоснованным О.С. Гребенюком и Т.Б.Гребенюк [5;6—10]. В интеллектуальной, мотивационной, эмоциональной, регулятивной, волевой, предметно-практической и экзистенциальной сферах они выделили ключевые психические и личностные качества человека. Рассмотрев данные качества, мы определили те из них, которые являются профессионально важными в деятельности переводчика. Затем нам предстояло дополнить каждую из указанных сфер ПВК, выявленными в результате изучения функциональной структуры переводческой деятельности. Полученная нами классификация ПВК переводчика, как показали результаты проведенного экспериментального исследования, может быть использована в целях эффективного формирования данных качеств у лингвистов-переводчиков.

Необходимость формирования у студентов ПВК переводчика в процессе профессиональной подготовки потребовала от нас обоснования и применения оптимальных педагогических средств. Что же следует понимать под педагогическими средствами?

Анализ существующих точек зрения приводит к мысли о том, что исследователи независимо от характера их дефиниций едины в одном. Они употребляют понятие «педагогические средства» в значении, совпадающем с категорией «орудие деятельности». Вспомним, что именно в таком смысле применял понятие «средство» Л. С. Выготский в исследованиях по развитию высших психических функций. Он писал: «Примерами психологических орудий и их сложных систем могут служить язык, различные формы нумерации и счисления, мнемотехнические приспособления, алгебраическая символика, произведения искусства, письмо, схемы, диаграммы, карты, чертежи, всевозможные условные знаки и т.д.» [3, 103]. Из приведенной цитаты явствует, что, во-первых, понятие «психологическое орудие» применимо к управлению человеком собственным поведением и деятельностью и таковыми других людей. Во-вторых, средства управления и самоуправления поведением и деятельностью определяются как промежуточное звено в процессе воздействия человека на состояние психической сферы другого человека или самого себя. Это состояние должно рассматриваться в таких случаях как предмет его деятельности.

К педагогическим средствам следует относить и самого человека, субъекта деятельности. «Своеобразным орудием в деятельности человека, читаем: мы у Т.В. Габай, может являться другой человек. Он выступает орудием по отношению к деятельности первого человека, если выполнение им совместных действий фактически относится к некоторой другой деятельности и ею мотивируется. Но он наряду с первым может быть и субъектом данной деятельности» [4, 51—52]. Следовательно, под педагогическими средствами формирования ПВК переводчика, с нашей точки зрения, понимается все, что можно назвать орудием психолого-педагогической деятельности: содержание учебного материала; методы и формы обучения; качества преподавателя как личности и т.п.

Суть гуманной педагогики, отмечают Б.З. Вульф и В.Д. Иванов [2, 25], в том, что ее средства направлены не столько на прямое воздействие на человека, сколько на стимулирование его собственной активности. Однако такая активность может быть побуждаема не извне, а изнутри человека, в частности, через рефлексию. Она

представляет собой нравственную деятельность, труд души — «мыслящего сердца» (Гегель), реализуемую способность анализировать себя, свои чувства или поступки. Рефлексия сама по себе не гарантирует верных педагогических решений, считают упомянутые авторы [2, 26], но и они без нее маловероятны. В процессе формирования у студентов ПВК переводчика рефлексия может применяться в качестве мощного педагогического средства.

Основная часть задач по формированию ПВК переводчика у студентов-лингвистов может успешно решаться на практических занятиях по первому и второму иностранному языку. К сожалению, объем данной статьи не позволяет нам изложить все существующие педагогические средства. Перечислим некоторые из них.

С целью формирования ПВК переводчика интеллектуальной сферы в содержание учебного материала можно включить упражнения, расширяющие объем вербальной оперативной памяти, формирующие навык переключения с одного языка на другой, способность к концентрации и переключению внимания, развивающие речевую интуицию и мыслительные операции — анализ, синтез, обобщение. Ниже приведен пример упражнений на развитие устойчивости и переключаемости внимания.

*Один из студентов читает страницу книги или отрывок из газеты, а остальные студенты активно мешают ему, стараясь отвлечь его от чтения шумом, разговорами, остротами и др. Выполняющий упражнение должен суметь увлечься объектом, вникнуть в смысл читаемой страницы настолько, чтобы затем рассказать о прочитанном.*

Вот пример еще одного упражнения. *Три студента садятся лицом к своим товарищам. Преподаватель дает им по газете. По команде трое одновременно в течение 2—3 минут читают свои статьи вслух. Все слушающие должны понять, что читает каждый.*

Для формирования ПВК эмоциональной и регулятивной сфер могут быть использованы такие корректировочные средства, как проблемные ситуации, игры, психологический тренинг, приемы аутогенной тренировки. Данные средства направлены, в первую очередь, на развитие профессионально важного умения управлять своими эмоциями и осуществлять самоконтроль.

Педагогические средства формирования ПВК переводчика предметно-практической сферы имеют своей целью, в первую очередь, развитие ораторских способностей и вербальной лабильности. Эффективными для поддержания навыков риторической техники являются, например, упражнения, включающие в себя задания на завершение начатых фраз при соблюдении норм грамматики и в рамках определенного стиля.

К средствам формирования ПВК переводчика мотивационной сферы следует отнести профессионально направленное содержание учебного материала, деловые игры с применением аудиовизуальных средств обучения.

Оптимальным средством формирования экзистенциальной сферы студента выступает, в первую очередь, метод решения моральных дилемм, разработанных на основе дилемм Л. Кольберга [10]. Реализация данного метода предполагает проведение на занятиях деловых игр, в основе которых лежат моральные ситуации, имеющие отношение к реальной профессиональной деятельности переводчика и способствующие осознанию своих мыслей, поступков, способностей, выбору

профессиональной позиции, умению строить свои взаимоотношения с людьми: В качестве иллюстрации приведем пример одной из моральных дилемм.

*Студентам предлагается осмыслить проблемную ситуацию. Руководитель предприятия, на котором Вы работаете, хочет быть в курсе всех дел своего иностранного партнера, переводчиком которого Вы на данный момент являетесь. С этой целью он пытается получить от Вас всю интересующую его информацию. Вы находитесь перед выбором: с одной стороны — работодатель, с другой стороны — профессиональная этика. Должны ли Вы предоставить своему работодателю всю интересующую его информацию? Должны ли Вы хранить конфиденциальность? Почему? Как Вы поступите в данной ситуации?*

Результаты проведенного нами педагогического эксперимента показали статистически значимую эффективность применения предложенных автором настоящей статьи педагогических средств формирования ПК переводчика у студентов-лингвистов в процессе профессиональной подготовки. Кроме того, мы установили, что развитие ПК переводчика в процессе обучения в вузе представляет собой гетерохронную пульсацию прогрессии восходящих и нисходящих величин. На протяжении всего процесса формирования уровня развития ПК «плавают»: одновременно повышаются, несколько снижаются и снова повышаются, свидетельствуя о том, что в целом имеет место прогресс. Данная закономерность была особенно явственна на примере ПК мотивационной сферы. Она выражалась в многократном падении и повышении уровня мотивации учебной и учебно-профессиональной деятельности.

Помимо сказанного выше было установлено, что в процессе формирования ПК переводчика у студентов-лингвистов проявляется компенсация невысокого уровня развития ПК эмоциональной и регулятивной сферы за счет должной сформированности подобных качеств в предметно-практической, волевой и мотивационной сферах, а также отмечены иные варианты данного феномена. В процессе формирования ПК можно наблюдать компенсацию недоразвития у студентов вербального интеллекта за счет высокого уровня мотивации профессиональной деятельности, сильной воли и желания работать над собой. Психологический эффект феномена компенсации состоит в том, что студенты с разными уровнями развития ПК переводчика, с дифференцированными лингвистическими и профессиональными способностями в итоге достигают одинаковой продуктивности в профессиональной переводческой деятельности. Ряд ПК переводчика связан с параметрами профессиональной деятельности нелинейной зависимостью. Примечательно, что развитие у студентов ПК переводчика в процессе обучения осуществляется в оптимальном варианте, когда в учебно-профессиональных ситуациях специально создаются противоречия между способностями студентов и превышающими их наличный уровень требованиями профессиональной переводческой деятельности.

У читателя данной статьи может возникнуть вопрос: насколько эффективным окажется процесс формирования ПК у студентов-лингвистов в условиях жесткой ограниченности времени в вузе их профессиональной подготовки? Может ли единый государственный экзамен по иностранному языку гарантировать, что молодой человек, избравший для себя профессию переводчика, изначально обладает определенным уровнем развития базовых ПК данного специалиста? Всегда ли этот исходный уровень абитуриента достаточен, чтобы за период обучения в вузе овладеть не только

знаниями, но и профессией переводчика? В этой связи невольно вспоминаются слова В.И. Немировича-Данченко. На вопрос, любой ли человек может стать режиссером, он ответил: «Любой, только одному потребуется для этого три года, другому тридцать лет, а третьему — триста лет». Мы убеждены в том, что изначальным решением проблемы эффективности профессиональной подготовки переводчика является профессиональный отбор абитуриентов, поэтому необходимо сохранение и совершенствование дополнительных вступительных испытаний.

**Литერატურა**

1. *Батышев С.Я.* Профессиональная педагогика. М.: Профессиональное образование, 1997. 512 с.
2. *Вульфов Б.Э., Иванов В.Д.* Основы педагогики в лекциях, ситуациях, первоисточниках: Учебное пособие. М.: УРАО, 1997. 288 с.
3. *Выготский Л.С.* Собр. соч.: В 6 т. / Гл. ред. А.В. Запорожец. М.: Педагогика, 1982. Т. 1. 487 с.
4. *Гобей Т.В.* Педагогическая психология: Учебное пособие. М.: МГУ, 1995. 160 с.
5. *Гребенюк О.С., Гребенюк Т.Б.* Основы педагогики индивидуальности: Учебное пособие. Калининград: Изд-во КГУ, 2000. 572 с.
6. *Карпов А.В.* Понятие профессионально важных качеств деятельности // Психология труда: Учебник для студентов высш. учебн. заведений / Под ред. А.В. Карпова. М.: ВЛАДОС-ПРЕСС, 2003. 352 с.
7. *Маришук В.Л.* Психологические основы формирования профессионально важных качеств: Автореф. дис. ... д-ра психол. наук. Л., 1982. 36 с.
8. *Марнова А.К.* Психология профессионализма. М.: Знание, 1996. 308 с.
9. *Поршнева Е.Р.* Базовая лингвистическая подготовка переводчика: Монография. Нижний Новгород: ННГУ, 2001. 148 с.
10. *Фельдштейн Д.И.* Психология развивающейся личности // Избр. психологические труды. М.: Ин-т практ. психологии; Воронеж: МОДЭК, 1996. 512 с.
11. *Шодриков В.Д.* Проблемы системогенеза профессиональной деятельности: Монография. М.: Наука, 1982. 185 с.

**Z.K. Shirinova**

**Professional Training of Linguist-Translator**

*ზ. შირინოვა*  
*აშშ-ს საელჩო ახერბაიჯანში*  
**ლინგვისტიკა-მთარგმნელთა პროფესიული მომზადება**

განხილულია ლინგვისტიკის მთარგმნელობითი /განხრთა/ პროფესიული მომზადების საკითხები.

*თ. ჯაგოდინიშვილი*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**ერბალური კომუნიკაციების პორიზონტები**

*საკუანძო სიტყვები:* კომუნიკაციები. კლევები. საინფორმაციო არხები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ერბალური კომუნიკაციების სათავეები ისტორიამდელ ეპოქებშია საძიებელი, ხოლო მისი განუყოფელი მნიშვნელობა ცოვლილსაციისათვის ბიბლიის პირველივე წინადადებით გვეცნობება.

ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების თეორია და პრაქტიკა, მართალია, იმასაც ცხადყოფს, რომ ადამიანის განზრახვის, სურვილის შეტყობინება უსიტყვოდაც შეუძლია – ვესტით, მიმიკით და ა.შ., მაგრამ ამ შემთხვევაშიც არავერბალური ეტყობინება მაინც ვერბალურის ფორმატში „გადააქვას“ ადამიანის შემცენებას. და ეს იმიტომ, რომ ნებისმიერ შეტყობინებას აზრის (შინაარსის) არსებობა ქმნის, აზრის ენობრივი გამოხატვის ბუნებრივი ფორმა კი სიტყვაა.

ადამიანის პროფესიული წარმატებულობის საწინდარი ნებისმიერ საქმიანობაში რომ მტყვევლების უნარია, ამას ანტიკურობის დიდი შეილის დემოსტენეს ცხოვრებაც ცხადყოფს. ამიტომაც იყო (და არის) ვერბალური კომუნიკაციების შესწავლა და ცოდნა უაღრესად მნიშვნელოვანი კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი ეპოქისათვის. მას იმთავითვე სასწავლო-საგანმანათლებლო საგნის სტატუსიც ჰქონდა მიკუთვნებული, „რიტორიკის“ სახელწოდებით ისწავლებოდა და პრაგმატულთან ერთად თეორიული ღირებულებაც ჰქონდა – ადამიანის წიგნიერების განმსაზღვრელი ელემენტი იყო.

ვერბალური კომუნიკაცია ყოველთვის წარმატებით უსრუნველყოფდა ადამიანის ურთიერთმიმართებას გარესამყროსთან და მის ინტეგრირებას საზოგადოებაში, თუმცა უცვლელი და ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა. ვერბალური კომუნიკაციები ყოველთვის დროის ნიშნით იყო აღბეჭდილი, რადგან ყოველ დროს, როგორც ცივილიზაციის კონკრეტულ ეტაპს, გარკვეული დაზუსტებები შეჰქონდა როგორც თავად ვერბალური კომუნიკაციების შესახებ არსებულ ცოდნაში, ისე მათი გადაცემა-გაერკველების არხების ტექნიკურ სრულქმნილობაში.

დღეს ვერბალური კომუნიკაციების საზოგადოებრივი როლი, მნიშვნელობა უპრცენდენტოა. მიზეზი სრულიად ცხადია: 21-ე საუკუნის ცივილიზაცია ორ დიდ ორიენტირს ეყარება. ესენია ინფორმაცია და კომუნიკაცია. ინფორმაცია კაპიტალი გახდა, თანაც ყველაზე ძვირადღირებული. ამასთან ინფორმაცია ისეთი კაპიტალია, რომლის ფასი მისი რეალიზების პარამეტრებით განისაზღვრება. რეალიზების ერთადერთი გზაა კომუნიკაცია, რადგან რეალიზება კომუნიკაციური არხით ინფორმაციის მომხმარებელად მიტანას გულისხმობს.

დღეს უკვე დასაბუთებულად ითვლება ის ფაქტი, რომ XXI საუკუნის ცივილიზაცია ინფორმაციულობით გამორჩეული ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაა. ამ საზოგადოების აღმშენებლობას კაცობრიობა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეუდგა და მისი წანამძღვრები პოსტინდუსტრიული საზოგადოების მონაპოვრებს დააყარა.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების ძირითადი მექანიზმია საყოველთაო ინფორმაციზაცია.

ინფორმაციზაციას თეორეტიკოსები მოიარებენ როგორც სამეცნიერო-ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს მოქალაქეების, ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების საფუძველზე.

ინფორმაციული საზოგადოების ძირითად მახასიათებლებად გამოიყენენ:

- საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ გლობალური ინფორმაციული ქსელებიდან ნებისმიერი სახისა და დანიშნულების, სრული და უტყუარი

ინფორმაციის ოპერატიულად მიღების უფლებას და საშუალებას, გეოგრაფიული სივრცის რაგინდარა წერტილში ყოფნის მიუხედავად;

• საზოგადოების თითოეული წევრის ყოველ წევრთან და ნებისმიერის სხვა დანარჩენთან, მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფთან, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებთან მყისიერი კომუნიკაციის საშუალებას;

ამასთან, ინფორმაციული საზოგადოების არსის განსაზღვრაში გამოყოფენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა ტექნოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ფაქტორები. თუმცა იმასაც აღნიშნავენ (მაგალითად, პროფ. უ. მარტინი), რომ დღეს ინფორმაციული საზოგადოების ცნება პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაეიგოს. თუ იმ ტენდენციების ორიენტირად უნდა წარმოვიდგინოთ, რომლებიც დღეს განვითარებული ქვეყნების სინამდვილეში მიმდინარეობს. ამ აზრით ინფორმაციული საზოგადოების მოდელი უფრო მერმისსუა ორიენტირებული, მისი ნიშნების დღეს აშკარა არსებობის მიუხედავად. ეს ნიშნებია: საზოგადოების ინფორმაციული უზრუნველყოფის მაღალი დონე; მცენიერებისა და განათლების სფეროების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მაღალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების არსებობა; სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში, განსაკუთრებით საშუალო ძაღის განაწილების სფეროში; ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერება; კომპიუტერული განათლების აუცილებლობის შეგნება; ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერების საყოველთაო გავრცელება; საზოგადოების, განსაკუთრებით განათლების სფეროს კომპიუტერისაგან – ინფორმატიზაცია; სახელმწიფოს მხრიდან კომპიუტერული მიკროელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციის განვითარებისათვის ხელშეწყობა; მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის გარდაქმნა ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების ფორმათა თვალსაზრისით; ციფრული ტელევიზიის განვითარება და ციფრულ ქსელებთან ინტეგრირება; ახალი გარემოს – მულტიმედიის ჩამოყალიბება და მასში ტრადიციული მასმედიის ინფორმაციების გავრცელება; სახელმწიფოსა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საზღვრების გაქრობა საინფორმაციო გლობალური ქსელების სამყაროში, ასევე ქვეყნების კანონმდებლობათა „შეჯახება“ და „რღვევა“ ამ სამყაროში. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში უკვე დამუშავებულია ინფორმაციულ საზოგადოებაში შესვლის პროგრამები. ამ პროგრამებში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა დაილოგის გაღრმავების აუცილებლობას სამთავრობო სტრუქტურებს, ბიზნესის, მრეწველობის, საერთოდ საზოგადოების წევრებს შორის. ეს დიალოგია მოაზრებული საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად. დიალოგი, ცხადია, თავისთავად ევრბალური კომუნიკაციაა და ამაშია მისი დიდი მნიშვნელობა ინფორმაციული საზოგადოებისათვის.

ინფორმაციული საზოგადოების შინაარსით, მისი შესაძლებლობებით აღფრთოვანების ფონზე ჯერ-ჯერობით ფრთხილი შენიშვნაც არის დაფიქსირებული. ესაა საყოველთაო ინფორმატიზაციის შედეგად ინფორმაციული საზოგადოების მიერ მდგრადობის დაკარგვის საშიშროება. ეს კი იმის შედეგად მიანწიათ, რომ ინფორმაციის როლის ზრდის გამო, ადამიანთა მცირე ჯგუფს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს დანარჩენ ადამიანებზე. ასეთი ზემოქმედება შესაძლოა, მაგალითად, ტერორით, რომელსაც აქტიურად აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. თეორეტიკოსები საზოგადოების მიერ მდგრადობის დაბრუნების საშუალებად ასახელებენ აღრიცხვიანობის პოლიტიკისაკენ მიბრუნებას, აღრიცხვიანობის პოლიტიკისაკენ მიბრუ-

ნებას. არღიციხიანობის ეფექტურ საშუალებებად კი ასახელებენ ბიომეტრიას და კრიპტოგრაფიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციული სფერო საერთაშორისო თანამშრომლობის ასპარეზიც ხდება და მეტოქეობის საგანიც. განვითარებული ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნები თავისი ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვით, მყიდველთათვის საკუთარ რესურსების შეთავაზებით, ფაქტობრივ, სხვა ქვეყნებში ინფორმაციულ სტრუქტურების ფორმებსაც განსაზღვრავენ და ფუნქციონირების პირობებსაც. ამით კი, ბუნებრივია, არსებით სეგაელენას ახდენენ მათი ინფორმაციული სფეროების განვითარებაზე.

ამის გამო, განვითარებული ქვეყნები ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრისას პრიორიტეტულობას ანიჭებენ ინფორმაციული სფეროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემა ინფორმაციული საზოგადოების ყოვრმირების შესაბამისად კიდევ უფრო გამწვავდება. ამ საფრთხეების ნიშნები უკვე დღეს არის აშკარა და აქაც ორი მიმართულება გამოიკვეთა. ერთია საკუთარი ინფორმაციის დაცვა, მეორე – ჭარბი ინფორმაციულობისაგან, ინფორმაციული აგრესიისა და ინფორმაციული ინტერვენციებისაგან თავდაცვა. როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში განუზომელია ევროპული კომუნიკაციების როლი. ამიტომ ევროპული კომუნიკაციების სფეროში კვლევების ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემების დამუშავება წარმოგვიდგება. სწორედ აქ უნდა გაერთიანდეს ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციული სისტემების, მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ლინგვისტიკის ძალისხმევა და ამ თვალსაზრისით კვლევების გაშლის უნიკალური შესაძლებლობები სწორედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სინამდვილეში არსებობს, რადგან არსებობენ ორივე მიმართულების სპეციალისტები და ამით არსებობს საზოგადოებრივად და მეცნიერულად აქტუალური პრობლემების ყოველმხრივი კვლევის შესაძლებლობა. სხვათა შორის ამგვარი კვლევები თვალნათლივს გახდის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის არსებობის დოგმატურობაც.

დღეს გადასახედიდან ინფორმაციული საზოგადოების ყოვრმირებაში ორი უმთავრესი ტენდენციის არსებობა დასტურდება, ერთი თავისი არსით ტექნიციისტურია, მეორე – ჰუმანიტარული. უფრო არსებითი თითქოს პირველია, რადგან ხელშესახებია და გამოიხატება კომუნიკაციური სისტემების, ტექნოლოგიებისა და საშუალებების უპრეცედენტოდ სწრაფ განვითარებაში.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყურადღების ცენტრში მოექცა ინფორმაციის მომხმარებელი – ადამიანი.

ადამიანის როლებრივი მნიშვნელობის ზრდამ მისი არსის ღრმად შესწავლის აუცილებლობაც შვა. ამან, თავის მხრივ, ადამიანმცოდნეობითი მეცნიერებების გააქტიურება განაპირობა, რადგან კომუნიკაციური პარადიგმა მხოლოდ ინფორმაციის გამცემს (ადრესანტს), საინფორმაციო არხსა და ინფორმაციის მიმღებს (ადრესატს) და ამ გზით ადრესანტის ადრესატზე გაელენას კი არ ცხადყოფს, არამედ ინფორმაციის წყაროებზე და არხზე ინფორმაციის მომხმარებლის გაელენასაც ათვალსაზრისიებს. სწორედ ამის გამო გახდა ადამიანი ინფორმაციული საზოგადოების ყველაზე დიდი ღირებულება. ამიტომაც შეიძინა დღეს ანთროპოცენტრულობა არა მხოლოდ საზოგადოებრივმა, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმაც.

დღეს, მაგალითად, ინფორმაციული, კომუნიკაციური სისტემების დამუშავებაში \* ტელეკომუნიკაციების, მართვის ავტომატიზებული სისტემების, ინფორმაციის თეორეტიკოსთა მეცნიერული ინტერესები ბუნებრივად კონცენტრირებულია შექმნილი (მოპოვებული) ინფორმაციის მომხმარებლამდე უდანაკარგოდ (ადეკვატურად) მიტანაზე. ამ მიზნით კელეუები მიმართულია საკომუნიკაციო არხების ტექნიკური სრულქმნისაკენ; აუდიო-თუ ვიდეოინფორმაციის ხელშემწვლელების აღმოფხვრის ტექნიკურ საშუალებათა დამუშავებისაკენ. ამ ძიებებში მათი ყურადღება, ბუნებრივად, თავად ინფორმაციის რავგარობაზეც გადადის. ინფორმაცია კი ტექსტია, ენობრივიც, ანუ ვერბალური და არაენობრივიც, ანუ არავერბალურიც, რადგან კომუნიკაციის თეორიისათვის ნებისმიერ ნიშანთა სისტემით შექმნილი ინფორმაცია ტექსტია. ასე რომ, ორსვე შემთხვევაში ტელეკომუნიკაციის, ინფორმატიკისა თუ მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალისტები საკუთარ ძიებებს ინფორმაციის რავგარობასაც უსადაგებენ (თუ არ უქვემდებარებენ). სწორედ აქ იყრის თავის მათი ინტერესები კომუნიკაციური ლინგვისტიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვოსოციოკულტუროლოგიის, მასმედიის სოციოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგების ინტერესებთან. აქ, ამ საერთო სივრცეში, ხდება ცხადი ზემოაღნიშნული ორი ტენდენციის ფაქტობრივი ერთიანობა. ამ მოსაზრების დასაბუთებას, ცხადია, თავისი კონკრეტული არგუმენტები სჭირდება. მათი წარმოდგენა და ანალიზი ცალკე მსჯელობას და შესაბამის ფორმატს ითხოვს. ამიტომ აქ მხოლოდ ერთი მინიშნებით შემოვიფარგლებით: ტელეკომუნიკაციის თეორეტიკოსებიც და ლინგვისტიკიც ინფორმაციის ადრესატამდე უდანაკარგოდ მიტანის ურთიერთ საშუალებად ინფორმაციის „ტექსტობრივ“ შეკუმშვას მიიჩნევენ. ამგვარსავე გზას ადგანან ლინგვისტებიც. ასე რომ, ორივე მხარის წარმომადგენლები, ფაქტობრივ, ერთი პრობლემის გადაწყვეტის გზებს ეძიებენ: ერთი ინფორმაციის შეკუმშვით საინფორმაციო არხების დასაკარგების მინიმიზებას ცდილობენ, მეორენი – სტილის ხვეწით (ტექსტის შეკუმშვით). აღნიშნულის საფუძვლიანობას პრობლემისადმი სხვა კუთხით მიდგომაც ცხადყოფს. თუნდაც უნაკლო საინფორმაციო არხის შექმნა და თავისთავად არსებობა არაფერს ნიშნავს, თუ არ იქნა თავად ინფორმაცია. არხი უნაკლო ვერ იქნება ინფორმაციის სპეციფიკის გაუთვალისწინებლადაც. საინფორმაციო არხის ხარისხობრივი მაჩვენებელი ტექსტია – ვერბალური ინფორმაცია. ერთი სიტყვით, ტექსტიც და არხიც მეტყველებს, აზრის გადაცემის ერთიანი პროცესის ელემენტებია. სწორედ ამაშია მათი განუყოფელი ურთიერთობა. ფილოლოგიური ხელდაც ადასტურებს იმ თავისებურების არსებობას, რომ ჩვენი ეპოქა არ არის მხოლოდ ეკონომიკის, პოლიტიკისა და გეოპოლიტიკის ეპოქა. იგი არის ისეთი ფილოსოფიის ეპოქაც, რომლის მიზანია ადამიანის არსზე და არსებობაზე ფუძემდებელი რეფლექსია [ვლენაიძე: 2006, 23]. მომავალში სინკრეტიზმის პროცესი კიდევ უფრო გააღრმავდება. ამის ნიშანია ინფორმატიზაციის პროცესების შეჭრა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

ინფორმაციული საზოგადოებისაკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მის თანამდევ პროცესებს დაემთხვა. ცნობილი მოვლენების გამო, ქართველი საზოგადოების ყურადღება და ინტერესები მოჭარბებული პოლიტიზებულიობით აივსო. ამის გამო ინფორმაციული საზოგადოების წანამდგრების შემოჭრის გაცნობიერებაც კი ვერ მოხერხდა სრულფასოვნად. შედეგად ინფორმაციული საზოგადოებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, ყოველნაირი ნოვაცია საკუთარ სატიკვარში ჩაძირული ქართველი საზოგადოებისათვის ხელისუფლებისაგან უცხო ღირებულებათა



ბაღდატანებით დანერგვის მცდელობად. იქნა აღქმული (მაგალითად, ისეთი მოვლენაც კი, როგორცაა საყოველთაო ინფორმაციზაცია და კომპიუტერიზაცია). მეცნიერებისა და განათლების სფეროთა ინფორმაციზაცია, მეცნიერების სხვადასხვა, გამორჩეულად მონათესავე დარგების სინკრეტიზაცია). ამგვარადვე იქნა გააზრებული ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა ინტეგრირება. კულტუროლოგიური მეცნიერებების, ლონგეოფსიქოლოგიის, ლონგეოსოციოლოგიის, ეთნოსოციოლოგიის, ლინგვოეთნოფსიქოლოგიის, ლინგვო-კულტუროლოგიის და სხვათა სახით. მეცნიერულ ასროვნებაში ამგვარი პროცესები ჩვენში ისე იქნა გაგებული, როგორც დროის მიერ მოტიანილი მეცნიერების ახალი დარგების გაჩენა ძველი, ტრადიციული მეცნიერული დარგების გვერდით. „სადემარკაციო ხაზის“ გაღების ტენდენციები ჯერ-ჯერობით ენათმეცნიერებაში, ლიტერატურმცოდნეობის და ზოგიერთი სხვა მეცნიერების სფეროებში გამოიკვეთა. როგორც აღინიშნა, ესაა სისტემა, რომელიც შედგება ინფორმაციის მიმღებისაგან. ამ სისტემის სიამრტივის გამო, კომუნიკაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად თითქოს მხოლოდ საინფორმაციო არხის ტექნიკური სრულყოფაა საჭირო. თუმცა რეალობა ცხადყოფს, რომ ეს საკმარისი არ არის და სიტყვის მიერ პოლისემანტიკურობა ანუ დენოტატური და კონოტაციური მნიშვნელობების არსებობა. დიდზე დიდი დრო გავიდა, რაც ადამიანმა უძირითადესი კომუნიკაციური სისტემა შექმნა – ბუნებრივი ენა. მის ხეყვა-სრულექმნასაც იმთავითვე შეუდგა, ბევრიც შეძლო, მაგრამ დღემდე იმას კი ვერ მიაღწია, რომ ერთ სიტყვას ერთი კონკრეტული ცნება, საგანი გამოეხატა, აღენიშნა. სიტყვას დენოტატურის გარდა, მუდამ კონოტაციური მნიშვნელობაც აქვს. ამაშია ვერბალური კომუნიკაციების სირთულეც და მისი. მეცნიერული კვლევების აუცილებლობაც: მთავარი საკითხი ამ სფეროში, როგორც ცნობილია, ასე დგას:

სიტყვა პოლისემანტიკურია, გამონათქვამში მისი კონოტაციური მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება. ამის გათვალისწინებით როგორ უნდა მოხერხდეს, რომ მსმენელმა ადეკვატურად გაიგოს მოლაპარაკის ნათქვამი.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ პიროვნებათშორის კომუნიკაციების პროცესში იმაზე მეტი ხდება, ვიდრე სიტყვების უბრალო გადაცემა და აღქმა. ანგარიშში ჩასაგდები კი ისიც არის, რომ სიტყვის კონოტაციური მნიშვნელობა ევრბალური და არაევრბალური საშუალებების ერთიანი კომპლექსისაგან წარმოიქმნება.

ამას გარკვეულწილად ხელს უწყობს ინფორმაციისა და ადრესანტისადმი მსმენელის დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური მატრიცა. დ. ბოლინჯერის მოწმობით თავის დროზე აშშ-ში ბიზნესის სფეროში ჩატარებულ გამოკითხვით გაირკვა, რომ პოლიტიკოსების საარწევრო გამოსვლებში ყველაზე მთავარი ზეპირი კომუნიკაციის უნარია (83%). სხვა გამოკვლევებით კი ევრბალური ინფორმაციის აღქმაში სხვა კომპონენტების როლია გამოკვეთილი: შეტყობინების ემოციური შეფუთვის შეფასება 55%-ით დამოკიდებულია მომხსენებლის მიმიკაზე, 38% – მეტყველების არტიკულაციაზე, 7% – მოხსენებლის ლექსიკურ სისავსეზე. სხვათა შორის, ინფორმაციის ემოციურ-ექსპრესიული შეფუთვის აქტუალურობას ცხადყოფს თანამედროვე სიმღერაში მღერითი მეტყველების შეჭრაც.

ევრბალური კომუნიკაციები ადამიანური ურთიერთობების შედარებით შესწავლილი სახეობაა და მაინც მეცნიერული კვლევების ყველაზე აქტუალური სფეროა. დღეს ადამიანის მეტყველებას კომუნიკაციების შესაძლებლობათა თვალსაზრისით ენის ფუნქციონირების ყოველ დონეზე

შეისწავლიან. მაგალითად, ცნობილია მეცნიერების დარგი *ფონოსემანტიკა*. იგი ბგერების იმ სხვადასხვა მნიშვნელობებს ადგენს, რომლებიც მოცემული ბუნებრივი ენის მატარებლებს აქვთ ასოციაციების სახით. მაგალითად, რუსული ენის მატარებლებისათვის ბგერა ა ღიაწითელი ფერისაა, ო - ღია ყვითელი ან თეთრი, ი - ცისფერი, ე - ღია ყვითელ-მწვანე, უ - მუქი ლურჯ-მწვანე, მაგრამ ი - მუქი ყავისფერი, ან შავი. არსებობს თანხმობა „დამატებითი მნიშვნელობის“ შეკლები. მსგავსი ვითარება დაფიქსირებულია ქართულ სინამდვილეშიც, სიმბოლისტი პოეტების (მაგ. ე. გაფრინდაშვილის) პოეზიაში ფრანგი სიმბოლისტი პოეტების ბაძეით.

ენების შესწავლის ამავე დონეზე გამოკვლეულია, მაგალითად, ფუნქციური მეტყველების ისეთი ელემენტები, როგორცაა *პაუზა*. გარკვეულია, რომ სასაუბროდან ოფიციალური - საქმიან მეტყველებაზე გადასვლისას პაუსათა მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. ასევე გამოვლენილია, მაგალითად, ისეთი ენობრივი მოვლენა, რასაც პირობითად შეიძლება ტექსტის აღქმის პსიქოტერაპიულია ეწოდოს: ტექსტის რეპროდუქციური ნაწილის (სულ რაღაც 3-4 სტრიქონის) მეხსიერებით აღდგენას და რეპრესენტაციას 100-110 საკეანძო სიტყვას ანდომებენ, ხოლო კეანძის გახსნის ეპიზოდები მნიშვნელოვნად კომპრესიას (შეკუმშვას) ეწირება. ყველაზე დიდი ეპიზოდები რეპრესენტატორთა მეხსიერებაში ყველაზე მკრთალად შენარჩუნდება.

ცალკე დარგად ჩამოყალიბდა ნარატოლოგია, ტექსტის აღქმის მეცნიერება. ამ სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება დასახელდეს ამერიკელი რ. ფლემის მიერ მიღებული კოთხეადობის ფორმულა:  $X=206.8 - 1.015Y - 0.846Z$ , სადაც X არის ტექსტის სირთულის შეფასება საშუალო გონებრივი შესაძლებლობების სრდასრული ადამიანისათვის, Y არის წინადადების საშუალო სიგრძე სიტყვათა რაოდენობის მიხედვით, ხოლო Z არის მარცვალთა რაოდენობის მაჩვენებელი ტექსტის ყოველ 100 სიტყვაში.

ცნობილია, რომ რ. ფლემმა ტექსტის აღქმის სირთულის განსაზღვრის აღქმის სირთულის განსაზღვრის აღნიშნული ფორმულა 1943 წელს შეიმუშავა [ფლემი: 1976, 135]. 1948 წელს მისი მეთოდიკით ასოშეიტყვ პრესმა საკუთარი მედიატექსტების შემოწმება დაიწყო სირთულეების დონეზე რკვევის მიზნით.

საერთოდ ცნობილია, რომ ნარატოლოგიური ანალიზი დროის კატეგორიას და კომუნიკაციურ ქმედებათა თანმიმდევრობას ემყარება, ხოლო კომუნიკაცია განიხილება როგორც ტექსტური შეტყობინება, როგორც ზღაპარი თავისი ეპიკითა და ანტიგეგმირებით. ისიც ცნობილია, რომ ეს მეთოდი სათავეს იღებს ე. პარკის ზღაპრების სტრუქტურების ფუნქციური კვლევებიდან და ამჟამად უაღრესად პოპულარულია ტელე-და რადიონიუსების ანალიზში.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, მაგალითად, კვლევები იდეოლოგიის გამოვლენის ფორმების შემუშავებისა და სრულქმისათვის. ამ კვლევათა გარეშე დღეს ღამის შეუძლებელი წარმატებული პოლიტიკური საქმიანობა. ამ სფეროში ხელშესახები სიცხადით ჩანს (რასაკვირველია, სპეციალისტი-სათვის) ვერბალური კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობები. ამ მხრივ შეიძლება დასახელდეს ტ. ა. ვან დეიკის მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, როგორ შეიძლება ფაქტის მიწმამათება, მეტიც, მისი შინაარსის „შეტრიალება“ მეთხვედრისათვის ენის გრამატიკული ნორმებით. ესაა ერთი შეხედვით სრულად მკა-ფიო სათაური „პოლიცია კლავს დემონსტრანტს“. აქ პოლიცია პირველ ადგილზეა, რაც მომხდარში იმის უმთავრეს როლზე მიუთითებს. პოლიციის როლი აღქმისათვის ნაკლებ გამოკვეთილი იქნება ასეთ კონსტრუქციაში: - „დემონსტრანტი მოკლულია“ ისეთი შინაარსიც კი

„ილანდება“, რომ დემონსტრანტიც მკვლეელია, ხოლო ამით პოლიციის როლი კიდევ უფრო მინუმატებულია.

ვერბალური კომუნიკაციების კვლევებით „ენობრივის სიცრუის“ ნაირ-გვარი ფორმები კარგად არის ცნობილი თუნდაც ჩ. ოსტუდის, ბოლინჯერისა და სხვათა გამოკვლევებით. რასაკვირველია, სხვა უმარტივე მაგალითისა და მიმართულების წარმოდგენაც შეიძლება, მაგრამ ვერბალური კომუნიკაციების სფეროს თუნდაც ამგვარი დახასიათება, ან კვლევების მიმოხილვა ამ შემთხვევაში არ შეადგენს ჩვენს მიზანს. ვერბალური კომუნიკაციების პრობლემათა აქტუალურობა ობიექტურად, დროის მოთხოვნებიც არის განპირობებული. პირველსავე სიტყვაზე რომ მოვიდეთ, უნდა ეთქვას: თანამეროვეობა ინფორმაციული საზოგადოებისაგან „შედგება“ ამ საზოგადოების მოქალაქე გარკვეულ კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს. უნდა ფლობდეს, ექოდოს:

- უნდა შეეძლოს კომუნიკაციურ სტრატეგიას ფორმირება;
- უნდა ფლობდეს კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხებს;
- უნდა შეეძლოს კომუნიკაციურ პროცესებში ჩართვა და სრულფასოვანი წევრობა, ანუ კომუნიკაციური ქცევა.

**კომუნიკაციური ქცევა** კი თანამედროვე ადამიანის ინფორმაციულ საზოგადოებაში ინტეგრირების მოდელია და ნაირგვარი ასპექტებისა და პარამეტრებისაგან შედგება. მაგალითად, თანამედროვე პოლიტიკოსის კომუნიკაციური ქცევის ანალიზი შეიცავს *ფსიქოლოგიურ* (მოტივები, შემეცნების სტილი, ტემპერამენტი...), *მოტივაციურ* (მისწრაფება მიზნისაკენ, მოტივების კორექცია, ახალი ურთიერთობების დამყარება), *კოგნიტიურ* და *ოპერატიულ* (შეხედულებათა სისტემა და სტრუქტურა, რეალობის მოდელი), *ნარატიული* (დრო, კომუნიკაციურ მოქმედებათა თანამიმდევრობა, როგორც ტექსტი), *ბინარულ კონტენტურ* (დისკურსის, გამონათქვამის ანალიზი +/- პრინციპით) და *როლებრივ* (პოლიტიკური ლიდერების როლები) ანალიზებს.

სემოაღნიშნული, ცხადია, ერთობ სოგად წარმოდგენას ქმნის ვერბალური კომუნიკაციების მნიშვნელობასა და როლზე თანამედროვე საზოგადოებისათვის. სამაგიეროდ ამას ცხადყოფს მისადმი მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგების გასაოცარი ინტერესი, მისკენ შეტრიალება და მისელ ფერისცვალებაც. ვერბალური კომუნიკაციების ცოდნის საჭიროება საყოველთაო ინფორმატიზაციასთან ერთად შეიჭრა ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის გამნათლებასა და მეცნიერებაში. დროის ნიშანი გახდა ინფორმატიზაცია და კომუნიკატივისტიკა.

დღეს წარმოდგენილია ადამიანის სულიერ-ინტელექტუალური მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო, მეცნიერების ნებისმიერი დარგი ვერბალური კომუნიკაციების, მისი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, მაგალითად, თუნდაც პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, ეკონომიკის, სამართალმცოდნეობის, ფილოლოგიის მიმართულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარება.

ვერბალური კომუნიკაციების ფუნქციური და როლებრივი აქტუალურობის გამოხატულებაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თაოსნობით 2008 წელს ჩატარებული და ამჟამინდელი, 2010 წლის სართაშორისო კონფერენცია და მონაწილეთა მოხსენებების თემატიკის ფართო დიაპაზონი: უმეტესობა საქართველოს უნივერსიტეტებიდანაა. ეს ფაქტი კი, ერთი მხრივ, ვერბალური კომუნიკაციების პრობლემებით დაინტერესების ინტენსივობას ცხადყოფს, მეორე მხრივ, მეცნიერული კვლევების პერსპექტიულობას, რადგან კონფერენცია

რენციის მონაწილეთაგან უმრავლესობა ახალგაზრდა პროფესორი და მასწავლებელია.

ლოგიკურია და ბუნებრივად, ვერბალური კომუნიკაციების პრობლემებიცაა საერთაშორისო კონფერენციის მეორედ ჩატარება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ. როგორც აღინიშნა, ამ თვალსაზრისით აქ ვერბალური კომუნიკაციების პრობლემების კვლევების უნიკალური შემადგენლობებია: არსებობს ტელეკომუნიკაციების უმძაღერესი სასწავლო სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ენერგეტიკის სფეროსთან ერთად ერთ ფაკულტეტშია გაერთიანებული; არსებობს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, სადაც ინფორმაციის გაერცვლებისა და დაცივის ტექნიკურ საშუალებათა კვლევა-დამუშავება მიმდინარეობს და ამ მხრივ საქართველოში ეს ფაკულტეტები წამყვანია. ამ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, რომლის შემადგენლობაშია ენებისა და კომუნიკაციისტიკის დეპარტამენტი, სადაც ფართო და ნაყოფიერი კვლევები მიმდინარეობს ვერბალური კომუნიკაციების მიმართულებით. გამოცემულია არა ერთი წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

მუშავდება სადოქტორო პროგრამები პროფ. ბ. იმნაძის, რ. თაბუკაშვილის, მ. ჩხეიძის, თ. ჯაგოდნიშვილის, ივ. ჯაგოდნიშვილის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ აქ უურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის დამუშავებულია და ბალკანდარიატის დონეზე პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მიერ უკვე მესამე წელია იკითხება სასწავლო დისციპლინა „ვერბალური კომუნიკაციები“.

ვერბალური კომუნიკაციების სპეციალური კურსი ეკითხებათ ასევე სამართალმცოდნეობის სპეციალობებს (ქართული მეტყველების კულტურის საბაზო საკითხებზე დამყარებით). ამჟამად ამ კურსსაც სრული პროფესორი ივ. ჯაგოდნიშვილი უძღვება.

ვერბალური კომუნიკაციების ცალკეული ნაწილები ამ ფაკულტეტის სპეციალობების სტუდენტებსაც ეკითხებათ. მაგალითად, სრული პროფესორი გ. ჯოლია ეკ. ნომიკის სპეციალობის სტუდენტებს უკითხავს ლექციების კურსს „მოლაპარაკეთა ხელოვნებაში“. კონფლიქტოლოგიის სპეციალობის სტუდენტ მაგისტრანტებისათვის სრული პროფესორი ნანა ხაზარაძის ხელმძღვანელობით დამუშავებულია იკითხება ისეთი სადექტო კურსები, როგორცაა სოციალური კონფლიქტები, პოლიტიკური კონფლიქტები, კონფლიქტის ფსიქოლოგია, კონფლიქტის კვლევის მეთოდები, კონფლიქტის მოგვარების მეთოდები. მსგავსი საწავლო კურსები დამუშავებულია საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობის სტუდენტებისათვის სრული პროფესორის იგორ კვესელავას მიერ და საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალობის სტუდენტებისათვის სრული პროფესორის ეანო ჭიაურელის მიერ.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სპეციალობები და მეცნიერული კვლევების პრობლემებიცაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებების ორგანიზული ნაწილია.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ვერბალური კომუნიკაციები-2010“, ცხადია ხელს შეუწყობს მეცნიერული კვლევების გაღრმავებას და განათლების სფეროში ისეთი აქტუალური სამეცნიერო მიმართულების დამკვიდრებას, როგორცაა „ვერბალური კომუნიკაციები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ლებანიძე – სიღრმეთა დიალოგი და „ტრანსკულტურული ტრიადა“, თბ., 2006;
2. „რეკლამაში – სამეცნიერო შეტყობინების აზრობრივი აღქმა, მ., 1976. (რუსულ ენაზე);
3. Болинджер Д. Истина – проблема лингвистическая // Язык и моделирование социального взаимодействия – М., 1987;
4. Ван Дейк Т. А. Язык. Познание. Коммуникация. – М., 1989;
5. Оптимизация речевого воздействия. – М., 1990 – ემოციურობა;
6. Журавлев А. П. Звук и смысл. – М., 1981. – ასოთა ფერები.

**Т. И. Джагоднишвили**

*Грузинский технический университет*

### **Горизонты вербальной коммуникации в Грузинском техническом университете**

Рассмотрены вопросы значения и исключительности роли вербальной коммуникации для информационного общества – общества XXI века. Указывается, что всеобщая информатизация общественной жизни, науки и образования способствует усилению знания вербальных коммуникаций, проявлением чего является и возникновение понятия: „коммуникативного поведения“ как одного из необходимого составляющего полноценности члена информационного общества.

Подробно анализируются особенности разысканий в области вербальной коммуникации в ГТУ, в том числе на гуманитарно-техническом факультете. Указывается на то, что в ГТУ имеются уникальные возможности дальнейшего развития и углубления исследований в области вербальной коммуникации, так как в данном университете приоритетными направлениями являются телекоммуникация, информатика, автоматизированные системы управления, с одной стороны, и коммуникативистика, современные направления языка и культуры, лингвокультурологии, лингвосоциологии, лингвотноткультурологии и т. д.

**T. I. Jagodnishvili**

*Georgian Technical University*

### **Horizons of Verbal Communication in Georgian Technical University**

ლინგვისტთა მეორე ჯგუფი თვლის, რომ სიტუაცია წარმოადგენს წინადადების არქექტივის პარაფრაზული გენერირების პროცესის წინაპირობას – ნებისმიერ წინადადებას შესაძლოა ჰქონდეს პარაფრაზირებული წინადადებების ურიცხვი რაოდენობა.[4]

ლინგვისტურ ლიტერატურაში პარაფრაზების ტიპოლოგიზაციის მცდელობის იდეა ეკუთვნის ბ. უნგვაიერს. მისი კლასიფიკაცია ეფუძნება გამოხატულების დონის ვარიაციებს, რომლებიც მან შემდეგნაირად დაჯყო:

1. მინიმალური ვარიაციის მქონე პარაფრაზები, უმნიშვნელო ცვლილებებით ლექსიკასა და სინტაქსურ სტრუქტურებში.
2. ტოტალური ვარიაციის მქონე პარაფრაზები, მასშტაბური ცვლილებებით ლექსიკასა და სინტაქსურ სტრუქტურებში.
3. ე.წ. მაქსიმალური ვარიაციის მქონე პარაფრაზები, რომლებშიც მოიაზრება გრძელი სიტყვის ჩანაცვლება მოკლე სიტყვით, შესაძლებელია უკუვარიანტიც.

ბ. უნგვაიერი მიიჩნევს, რომ პარაფრაზირება განსხვავებულ სახეს იძენს კომუნიკაციურ ნარჩობებში: არის თუ არა პარაფრაზირებული გამონათქვამი ორიგინალის მსგავსი ან მისი იდენტური, ამას განსაზღვრავენ კომუნიკანტები. უფრო კონკრეტულად კი, პარაფრაზირებით განისაზღვრება რეალაციური მიმართებები კომუნიკანტთა “კოგნიტიურ ერთეულებსა და მათ “ახსროვნების პროცესს შორის”.[5]

პარაფრაზის მნიშვნელობასუ. მის ფუნქციასუ კომუნიკაციის პროცესში და ასევე პარაფრაზის უშუალო გავლენის შესახებ კომუნიკაციის მსუელულობასუ საუბრობს ვენცელი. მის ნაშრომში „Funktionen kommunikativer Paraphrasen“ განხილულია პარაფრაზის გამოყენება დისკურსში, რომელიც სოციალური სამსახურის თანამშრომლებსა და მათ კლიენტებს შორის ხორციელდება. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მარეკონსტრუირებულ პარაფრაზს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს თემის განვითარებასუ, რაც გამოიხატება იმით, რომ პარაფრაზირების პროცესში ადრესატმა შესაძლოა გამოამჟღავნოს შერწყეულობა, გამოეოს სუპირ გამონათქვამში ადრესანტისათვის საინტერესო ასპექტი და ეეულა დანარჩენი ნათვალოს მარგინალურად და დატოვოს ისინი უეურადლებოთ.[6]

პარაფრაზირება ინტრატრანსლატურ და ინტერტრანსლატურ ლინგვისტურ მოვლენადაც აღიქმება სოგიერთი მეცნიერის მიერ. გლუქს და ბუსმანს პარაფრაზირება ესმით როგორც წერილობითი ან სუპირი გამონათქვამის ახლებური ფორმულირება ან მათი შინაარსის გადმოცემა ერთი ენის ფარგლებში სხვა ენობრივი ერთეულებით. ისინი აღნიშნულ პარაფრაზულ პროცედურას ინტრალინგვალურ თარგმანს უწოდებენ. (“Wiedergabe des Gemeinten mit anderen Worten derselben Sprache“ bzw. „intra-linguale Übersetzung“). ავტორები თვლიან, რომ ერთი ენის ნარჩობებში ნათქვამის პარაფრაზირებისთვის გამოყენებულ სხვა სიტყვებს ძალუთ გამონათქვამის კომუნიკაციური ინტენციისა და მისი შინაარსის უკუთ ფორმულირება და ამით გამონათქვამის ლექსიკური და სტრუქტურული პოლისემიის თავიდან აცილება. პარაფრაზი შესაძლოა იყოს ექსპლიციტური და გრძელი, ასევე პრაგმატული და მოკლე, ვიდრე თვით ორიგინალი-გამონათქვამი. გარდა ამისა, პარაფრაზი შესაძლოა იყოს “ტექსტის ან გამონათქვამის თავისუფალი, მაგრამ შინაარსის შესაბამისი ტრანსფორმი სხვა ენასუ“. აღნიშნულ პარაფრაზულ პროცედურას გლუქი უწოდებს ინტერლინგვალურ თარგმანს. [7]



პარაფრაზი გამოხატავს აგრეთვე რელაციას ბუნებრივი ენის გამო-  
ნათქვამსა და მეტაენის გამონათქვამებს შორის. ბუნებრივი ენის წინადადების  
„თარგმან“ ხელოვნურ ენაზე ხორციელდება განსაზღვრული ინტენციით, მაგა-  
ლითად, ორმაგი აზრის, მრავალმნიშვნელობის, სემანტიკური ბუნდოვა-  
ნების, ამბივალენტურობის ხაზგასასმელად. ასეთ შემთხვევაში ნათელი  
ეფინება შემდეგ მოსაზრებას: “როცა წინადადების პარაფრაზირებას ვახდენთ  
ამბივალენტურობის მარკირებას მიზნით, მაშინ ვამჯობინებთ შევარჩიოთ არა  
სიმონიძური წინადადება, არამედ უფრო მეტად ინფორმაციული წინადადება,  
რომელიც ორიგინალი წინადადების კონკრეტულ ალტერნატიულ ინტერპრე-  
ტაციას არ დაექვემდებარება. [8]

რობერტ მარტინი [9] განასხვავებს ლინგვისტურ პარაფრაზსა და  
პრაგმატულ პარაფრაზს. მისთვის ამოსავალია ისეთი კაზუსები, როცა ერთი  
კონკრეტული წინადადება ან მისი რომელიმე წევრი მიმართებაშია მეორე  
წინადადების ან მისი რომელიმე წევრის იდენტურ, მსგავს ხდომილობასთან.  
ასეთად იგი მიიჩნევს ეპუსერლის კლასიკურ მაგალითს: “Der Sieger von Jena”  
= “Der Besiegte von Waterloo” [10].

მარტინი პრაგმატულ პარაფრაზში მოიაზრებს გამოხატულ აზრის  
გამეორებას სხვა ენობრივი ნიშნებით. ცხადია, აქ იგულისხმება არა მხოლოდ  
კონკრეტული ენობრივი ნიშნის შეცვლა სხვა, იდენტური ნიშნით, რომლის  
დახმარებითაც გამეორებული აზრი უფრო გამჭვირვალე ხდება, არამედ ისიც,  
რომ ამ პროცესში ინტეგრირებულია კანონზომიერი ფაქტობრივი მასალის  
აბსტრაქტული დონის შეცვლა საჭიის ეითარების, ანუ ცალკეული კონკრე-  
ტული შემთხვევის ონტიურ დონედ. აქედან გამომდინარე, გამეორება უნი-  
დირექციონალურად იკითხება! ამდენად, პარაფრაზი უნიდირექციონალური  
გამეორებაა სხვა ენობრივი ნიშნებით, რომლიც დროსაც ხდება ცნებითი  
დონის ჩანაცვლება ონტიური დონით. [11]

ამ მოსაზრების გასათვალსაზრებლად და იმ მიზნით, რომ ნათელი  
მოეფინოს იმას, თუ როგორ, სად და რა ხერხით ხორციელდება პარაფრა-  
ზირება, ი.სიმონის მოქავეს განაჩენის მაგალითი იურიდიული დარგობრივი  
ლიტერატურიდან. განაჩენში, ლაპარაკია ქურდობის ფაქტსა და უცხო პირის  
მფლობელობაში მყოფ მოპარულ მოძრავ საგანზე, ანუ ლაპარაკია ე.წ. ფაქ-  
ტობრივ მასალაზე (სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე პარაგრაფი).  
აღნიშნული მოძრავი საგანი კერძო გასაანალიზებელ შემთხვევაში შესაძლოა  
პარაფრაზირებული იყოს ნებისმიერი კონკრეტული ენობრივი ერთეულით,  
როგორცაა მაგ. ძროხა, ხარი და ა.შ. დასახელებული მსხვილფეხა საქონ-  
ლიდან ორივე - ძროხაც და ხარაც ცხოველთა სახეობას მიეკუთვნება და  
შესაბამისად ისინი ინტეგრირდებიან არა უსულო საგანთა კლასში, როგორც  
ეს კოდექსშია დაფიქსირებული, არამედ განეკუთვნებიან სულიერ არსებით  
სახელთა კლასს, თუმცა იურიდიულ ტერმინოლოგიაში მათთან მიმართებაში  
(იგულისხმება სულიერი არსებითი სახელები) ყველა შემთხვევაში გამოიყე-  
ნება “საგანთათვის მოქმედი წესი, იმდენად, რამდენადაც კოდექსი. სხვაგვარ  
ინტერპრეტაციას არ გვაძლევს.” (§ 90a, სამოქალაქო კოდექსი).

რაკი კოდექსი კონკრეტულ და ცალსახა განმარტებას არ ცნობს, გან-  
ხილული მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკენათ, რომ ცხოველებს  
კანონი განიხილავს საგნებად. ტოლობა ენობრივ გამონათქვამებს შორის  
“მოძრავი საგანი” = “ხარი/ძროხა” მხოლოდ უნიდირექციონალურია, რადგან,  
მართალია კანონის ენით ძროხა მოძრავი საგანია, მაგრამ მიუხედავად ამისა,  
ყველა მოძრავი საგანი არაა ძროხა.

ამრიგად, პარაფრაზირებით განისაზღვრება რელაციური მიმართებები ლექსიკურ, სინტაქსურ, სიტუაციურ-პრაგმატულ დონეებზე. პრაგმატულ მიმართებებს უზრუნველყოფს კომუნიკაციური პარაფრაზი. ამ უკანასკნელით განისაზღვრება რელაცია კომუნიკანტთა "კომუნიკური ერთეულებსა და მათ "აზროვნების პროცესს შორის". კომუნიკაციური პარაფრაზი განსხვავებულსა და არატრადიციულ ინტერპრეტაციას იძენს იურიდიულ დარგობრივ ენაში. მისი თვისებრივი ინდივიდუალიზმი გამოიხატება იმით, რომ დარგობრივი ენის ფონზე პარაფრაზირების პროცესი მიმდინარეობს ორი ასპექტის გათვალისწინებით: ერთი მხრივ ხდება კანონზომიერი ფაქტობრივი მასალის აბსტრაქტულ-ცნობითი დონის შეკვლა ონტიური დონით და მეორე მხრივ აღნიშნულ პროცესში ინტეგრირდება იდენტური, თუმცა სხვა ლექსიკურ-სემანტიკური ნიშნების უნიდირექციონალური გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Gluck. H.: (Hrsg.) (2000): *Metzler Lexikon Sprache*. 2. überarbeitete und erweiterte Auflage. Verlag J. B. Metzler, Stuttgart / Weimar
2. Rath. Reiner (1975). „Kommunikative Paraphrasen, „In: *Linguistik und Didaktik*, 22(1975). 103-118.
3. Handwerker, Brigitte (1992): "Zum Begriff der Paraphrase in Linguistik und Übersetzungstheorie". In: *LiLi – Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik*, 84(1992). 15-29.
4. Abraham. Werner (1988): *Terminologie der neuen Linguistik*. Tübingen: Niemeyer.
5. Ungeheuer, Gerold (1969): *Paraphrase und linguistische Tiefenstruktur*. In: *Folia Linguistica: acta Societatis linguisticae Europaeae*, 3-4 (1969). 178-227.
6. Wenzel, A. (1981): *Funktionen kommunikativer Paraphrasen. Am Beispiel von Gesprächen zwischen Burgern und Beamten am Sozialamt*. In: P. Schroder, H. Steger (Hrsg.): *Djalogforschung. Jahrbuch 1980 des Instituts für deutsche Sprache*. Düsseldorf. (Sprache der Gegenwart LIV.) 385-401.
7. Gluck. H. (Hrsg.) (2000): *Metzler Lexikon Sprache*. 2. überarbeitete und erweiterte Auflage. Verlag J. B. Metzler, Stuttgart / Weimar.
8. Bussmann, H. (Hrsg.) (2002): *Lexikon der Sprachwissenschaft*. 3. aktualisierte und erweiterte Auflage. Alfred-Kroner Verlag, Stuttgart.
9. W. V. O. Quine, 1960: *Word and Object*. Cambridge, Mass.
10. Martin, Robert (1976): *Inference, Antonymie et Paraphrase, Elements pour une theorie semantique*. Paris: Klincksieck.
11. Panzer, Ursula (Hrsg.) (1987): *Vorlesungen über Bedeutungslehre Sommersemester 1908 (Husserliana. Gessamte Werke/Edmund Husserl, Bd.26)*. Dordrecht etc.: Nijhoff.
12. Simonnaes, Ingrid (2005): *Verstehensprobleme bei Fachtexten*. Frankfurt am Main. Berlin. Bern: Peter Lang. 10

*Табукашвили Русудан Михайловна*  
*Грузинский технический университет*

### Коммуникационный парафраз в отраслевом юридическом языке

В основе понятия двойного парафразы – узкого (семантического) и широкого (прагматико-коммуникативного) – лежит пространство собственных действий и функционирования, и они оба могут выражать различные качественные направления: семантические и прагматико-коммуникативные.

Коммуникационный парафраз превращается в отраслевом юридическом языке в индивидуализм, что и выражается в том, что на фоне отраслевого языка процесс парафразирования протекает в двух аспектах: с одной стороны, происходит замена фактического материала законодательства с абстрактно-познавательного уровня на онтический

уровень, а с другой — наличие идентичность парафразирования, только использованного в других унидирициональных лексико-семантических знаках.

**Rusudan Tabukashvili**  
Georgian Technical University

### Communicative paraphrases in the language of Law

The essence of paraphrase (narrow -- semantic) and broad -- pragmatic-communicative) is the area of its own actions and functioning, and they both can express different qualitative senses: semantic and pragmatic-communicative.

Multifunctional nature of paraphrases is clearly manifested on the lexical, syntactical and situational-pragmatic levels. In the latter, (in the pragmatic sense) the realization of the communicative paraphrases takes place. It determines the relationship between cognitive units and the process of their understanding by the communicants. Communicative paraphrases changes into Individualism in the language of law, and on the basis of the professional language, the paraphrasing process flows in two directions: On the one hand, the core material of jurisprudence shifts from the abstract-cognitive level onto the ontic one, and on the other, there is the identity of paraphrasing, used only in the other unidirectional lexical-semantic signs.

ციტინო ხვედელიძე  
თსუ

### „სახის“ გადარჩენის სტრატეგიები და თხოვნის სამეტყველო აქტი

საკანძო სიტყვები: სახე, სახის გადარჩენის სტრატეგია, თხოვნის სამეტყველო აქტი, ქარაგმა, თავაზიანობა

ცნობილია, რომ ტერმინი „სახე (Face) გულისხმობს ადამიანის სოციალური იმიჯს, სოციალურ აზრს, რომელიც ყველას აქვს და ითვლება, რომ საყოველთაოდ აღიარებულია და მიღებული. ყოველდღიური ურთიერთობისას ადამიანები მოუელღიან, რომ მათი იმიჯი ისევე, როგორც მათი „სახის“ სურვილები (Face wants) სათანადოდ იქნება აღქმული და გაგებული საზოგადოების წევრების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრის ნათქვამმა არ გაამართლა მსმენელის მოლოდინი და ამით ზიანი მიადგა მის იმიჯს, საქმე გვაქვს ე.წ. „სახის“ დაკარგვის საშიშროებისადმი მიმართულ ქმედებასთან (Face Threatening Act). ამიტომ, სიტყვიერი კომუნიკაციის პროცესში მოსაუბრენი ცდილობენ შეინარჩუნონ ერთმანეთის „სახე“ შესაძლო შეზღავნებისაგან, რათა კომუნიკაცია შედგეს.

კომუნიკაციის პროცესს ხშირად ართულებს იმის არცოდნა, თუ რა შემთხვევაში რისი თქმა არის მართებული და სიტუაციისათვის შესაფერისი. დაუფრქვებლად წარმოთქმული ფრაზები ზოგჯერ არასასურველ გავლენას ახდენენ ადამიანთა ურთიერთობაზე და ამ შემთხვევაში „სახის“ რღვევას აქვს ადგილი.

ნაშრომში განხილულია „სახის“ გადარჩენის სტრატეგია თხოვნის სამეტყველო აქტის განხორციელების პროცესში.

თხოვნის, როგორც ერთ-ერთი ღირებულებული აქტის თავისებურება ის არის, რომ მისი სემანტიკა ინფორმაციულ მნიშვნელობას არ გულისხმობს.

მისი მეშვეობით მოქმედი ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მსმენელზე იმ მხრივ, რომ აიძულოს იგი შეასრულოს პროპოზიციაში მოცემული მოქმედება: მისი მეშვეობით მოსაუბრე სიტყვებს მიუსადაგებს სამყაროს და ცვლის ექსტრალინგვისტურ რეალობას. ამაში მდგომარეობს ამ სამეტყველო აქტის ილკაციური ძალა. მოქმედების განხორციელებით დაინტერესებულია მოსაუბრე. აქედან გამომდინარე, წაქეზება-იძულების წყარო მოქმედია, ხოლო შემსრულებელი – მსმენელი. მოქმედების განხორციელებას სარგებელი მოაქვს მოქმელისათვის, მაგრამ გადაწყვეტილებას, შესრულდეს თუ არა მოქმედება, იღებს მსმენელი. თხოვნის სამეტყველო აქტი სწორედ იმით განსხვავდება ბრძანებისაგან თუ მოთხოვნისაგან, რომ მოქმედების შესრულების აუცილებლობა მკაფიოდ არ არის გამოხატული, ეს მსმენლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა მოქმედი მოელის, რომ მისთვის სასურველი მოქმედება განხორციელდება იმისდა მიუხედავად, ეს სურს თუ არა ადრესატს.

ნებისმიერ ენას მდიდარი არსენალი აქვს თხოვნის წამოასახტავად. თხოვნის სამეტყველო აქტის წარმატებულობა გარკვეული წინაპირობების შესრულებით არის განპირობებული. ეინაიდან ეს აქტი გულისხმობს გარკვეულ ძალდატანებას მოქმელის მხრიდან, საკუთარი სათხოვარის თავისმობხევეას, ენობრივი სტრატეგიის არჩევა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: 1) რამდენად ძნელი და უსიამოა თხოვნა, 2) მხარეებს შორის არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური დისტანცია და 3) ნაცნობობის ხარისხი. ყველა ეს ექსტრალინგვისტური ფაქტორი განაპირობებს ამა თუ იმ ლინგვისტური მოდელის არჩევას, რათა ინტერაქციის პირობებში შენარუნდეს კომუნიკანტთა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი „სახე“.

ყველაზე უსაფრთხო სტრატეგიად ითვლება ისეთი მოდელები, სადაც თხოვნის ილოკაციური ძალა ექსპლიციტურად არ არის გამოხატული. ამ სტრატეგიას მოქმელი ირჩევს იმ შემთხვევაში, როდესაც არ სურს პირდაპირ დაასახელოს თავისი იმპოზიტორი განზრახვა – მსმენელს სასურველი მოქმედება შეასრულებინოს. ასეთ შემთხვევაში მოქმელი ადწერს რაიმე არასასურველ ვითარებას. ასეთ გამონათქვამებს არა-კონვენციალურ ირიბ დონეს უწოდებენ (non – conventional indirect level), ე.წ. „ღია აქტებს“ (open-ended acts). აქ ან ნაწილობრივი რეფერენციაა ობიექტზე, რომლის ჩართვა სამეტყველო აქტის სტრუქტურაში აუცილებლობას წარმოადგენს

Why is the window open?

ან გამონათქვამი ქარაგმის სახეს იღებს, რომლის ინტერპრეტაცია მხოლოდ პრაგმატიკული კონტექსტის დონეზეა შესაძლებელი.

I don't seem to have any cigarettes on me.

ქარაგმაში, ცხადია, ყველაზე დაბალი ხარისხითაა ილოკაციური ძალა და იმპოზიციაც, შესაბამისად, შერბილებულია. მოქმედება ასეთ გამონათქვამებში დაკონკრეტებული არ არის, მსმენელს არ მიეწერება მოქმედების აგენტის როლი. მსმენელი თავად უნდა მიხედეს მოქმელის სურვილს. ანუ, მსმენელმა გამონათქვამი უნდა აღიქვას, როგორც თხოვნის ილოკაციური ძალა. უფრო მეტიც: მსმენელი უნდა მიხედეს, რომ ეს მოქმედება მის მიერ უნდა შესრულდეს. ასეთი გამონათქვამი არ ისახავს მიზნად ექსპლიციტურად გადმოსცეს საკომუნიკაციო ინტენცია. პირიქით, საკომუნიკაციო ინტენციის შეფარვით გადმოცემა სწორედ რომ გამიზნულად ხდება. მსმენლის ეალია გამოიწინოს მოქმელის ნაგულისხმევი მნიშვნელობა. ზედაპირულ სტრუქტურასა და ნაგულისხმეობას, ანუ ილოკაციურ ძალას შორის პირდაპირი შესაბამისობა დარღვეულია და ამდენად მსმენელმა უნდა დაადგინოს, რომ

გამონათქვამი მხოლოდ სედაპირულ სტრუქტურაში გადმოცემულ მნიშვნელობას არ გადმოსცემს.

პირდაპირობის ყველაზე დაბალ დონეზე, ანუ „ქარაგმის“ (hint) შემთხვევაში, სადაც მოქმედის იმპორსიცია ვერბალურად არ არის გამოხატული, მსმენელი თავისუფალია. მის შუქლია უგულვებელკოს გამონათქვამი და რეაქცია არ აჩვენოს. ასეთი სტრატეგია ყველაზე მეტად შეიცავს თავის არიდების ელემენტს. მოქმედი მსგავს სიტუაციაში ირჩევს „გადაწვევტილებას“ თითქოს სახის შელაპარაკების სხადის და არც სხადის (Brown and Levinson, 1987:20). მოქმედი ფრთხილი და მოკრძალებულია. იგი უფროხილდება ადრესატის უარყოფით სახეს (ადამიანის სურვილი, იყოს თავისუფალი) იმით, რომ მას განზრახული აქვს მსმენელს არ მოახვიოს თავს საკუთარი სურვილები და არ დაურღვიოს თავისუფლება. მსმენელსაც ელის სახის დაკარგვის საშიშროება, რადგან მასაც შუქლია არ შეასრულოს მოქმედისათვის სასურველი მოქმედება (ტროსბორგი 1995).

რასაკვირველია მსმენელი, როგორც წესი, ხედება რა იგულისხმება ამგვარ გამონათქვამებში, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ მას აქვს თავისუფლება სახის რღვევა თავიდან აიცილოს. ამ შემთხვევაში მოქმედის დადებითი სახე შენარჩუნებულია იმით, რომ მან იტყუება ძალდატანება არ გამოხატა, ამავე დროს მან საყრდხე არ შუქმნა მსმენლის უარყოფით სახეს. მის თავისუფლებას.

სახის ვადარნენის თვალსაზრისით შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ ერთი სტრატეგია, ე.წ. კონვენციური ირიბი დონე (conventional indirect level). ეს იგივეა, რაც სერლის ირიბი სამეტყველო აქტები. ამ შემთხვევაშიც გამონათქვამის შინაარსი და ფუნქცია არ ემთხვევა ერთმანეთს. ძირითადად გამონათქვამი კითხვითი წინადადების ფორმას იღებს. კომუნიკატები ამ შემთხვევაში არ უღრმავლებიან ნათქვამის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას, ვინაიდან სამეტყველო აქტის ინტენციაა მოსაუბრის სურვილი, რომ გამონათქვამის პროპოსიციაში მოცემული მოქმედება აღქმულ იქნას, როგორც თხოვნა, რასაც მსმენლის რეაქცია უნდა მოჰყვეს. სამეტყველო აქტით მსმენელი გადმოსცემს უფრო მეტ ინფორმაციას, ვიდრე ეს ენობრივად არის გამოხატული. ირიბი სამეტყველო აქტების შემთხვევაში გამონათქვამის ორი ილოკაციური ძალა აქვს: “One illocutary act is performed indirectly by way of performing another” (Searle 1975).

თხოვნის ირიბი სამეტყველო აქტების ორი ასპექტი შეიძლება დასახელებს

1. კითხვითი და კითხვა-უარყოფითი სტრუქტურები, რომლებიც ყველაზე ხშირია თავაზიანობის გამოსახატავად.

- 1. პირდაპირი ან ირიბი შეკითხვა, რომელიც ადგენს ადრესატის შესაძლებლობას, შეასრულოს თხოვნა ძირითადად შემდეგი მოდელები გამოიყენება:

Can / Could / Will / Would you do it

ან

Can't / Couldn't / Won't / Wouldn't you do it?

Can you give a light biographical sketch of your husband's career?

შესაძლებელია ირიბი თხოვნის მოდელები

I wonder if you could possibly give me a lift

- 2. მოქმედი წინასწარ გამოხატავს მადლობას ადრესატის მიერ მომავალი მოქმედების შესრულებისათვის.

I'll be much obliged if you give me your autograph.

3. თავაზიანი თხოვნა ნების დართვის შესახებ:  
I wonder if you could possibly let us have a look at your menu.
  4. თხოვნა გაძლიერებულია ლექსიკური საშუალებებით  
Would you be so Kind as to take off your hat?  
Would you mind taking off your hat?
- II. ერთგვარი შეთავაზების მოდელი. ამ შემთხვევაში ადრესატის მხრიდან უარის მიღების ნაკლები მოლოდინია. Why don't you do it ან How about –ing ... ტიპისა
- Why don't you come over and meet them?  
How about coming over one day?

ამგვარად, შეგვიძლია დავასკენათ, რომ წარმატებული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია მოსაუბრეებმა გაითვალისწინონ თხოვნის სამეტყველო აქტის იმპოზიციური ხასიათი და შეარჩიონ სიტუაციისათვის შესატყვისი ენობრივი სტრატეგია რათა შებღალდვისაგან გადაარჩინონ როგორც საკუთარი, ასევე მსმენელის დადებითი და უარყოფითი სახე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Brown P., Levinson S 1978. Politeness. Cambridge. CUP
2. Searle J. R. 1969. Speech Acts. An essay in the Philosophy of Language. Cambridge. CUP
3. Trosborg A. 1995. Interlanguage Pragmatics: requests, complaints and apologies. Berlin: Mouton de Gruyter.

Successful communication will be achieved if the interlocutors take into consideration an imposing character of the speech act "requesting" and by choosing on adequate verbal strategy try to save both the speaker's and listener's positive and negative "face wants"

Успешная коммуникация достигается в том случае, если коммуниканты принимают во внимание импозитивный характер речевого акта просьбы. Выбрав адекватную вербальную стратегию, коммуниканты пытаются сохранить позитивное и негативное «лицо» говорящего и слушающего.

*ბ. ცხადაძე*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**წანარების სახელდებისათვის ქართულ წერილობითს ძეგლებში**

წანართა წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორნაირი ვერსია არსებობს: 1. არაქართული, 2. ქართულ-ქართველური. ჩვენ ამჯერად მხოლოდ ვერსიის ზოგიერთ ნიუანსსე და ამ ტომის სახელდებლზე შევეჩერდებით.

ისტორიკოსი თ. მიბნუანი ნ. მარისა [1, 1397-1398], [2, 32] და ს. კაკაბაძისეულ [3, 111] წანარების სეანურ წარმომავლობის „თეორიას“ კიდევ უფრო აერცობს და განამტკიცებს. მისი აზრით, წერილობითი, ტოპონიმიკური თუ ლინგვისტური მასალა ადასტურებს, რომ წანარები, ისე როგორც *ქენიოხები, სანიგები, მისიმიანები* სეანური წარმოშობის ტომები არიან [4, 366]. თ. მიბნუანის ვარაუდითეე, შესაძლოა სეანური ტომებიდან წანარები პირეეული

დაუფელნენ სვანეთის ტერიტორიას და პირველივე გასცდნენ ცენტრალური კავკასიონის წყალგამყოფ ქედს, რომლის შედეგადაც, მივლიანად თუ არა, მათი დიდი ნაწილი იმპერკავკასიის მთის სოფლს დაუყვლა მდინარეების – თურგისა და ყუბანის სათავეებს შორის, რასაც შემდგომ „სონთა“ და „მშინთა“ მიწა-წყალი ეწოდებოდა. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს სტრაბონის (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 24) ცნობა იმის შესახებ, რომ სვანები „ფლობენ... ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები“ და მიწანდრეს (ახ. წ. VI ს. მეორე ნახევარი) ანალოგიური უწყება: „ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს“. თ. მიბზუანის ახსნით, წანარები თურგის სათავეებში და დარიალის ხეობაში სწორედ ჩრდილო კავკასიიდან უნდა შესულიყვნენ [4, 126].

თ. მიბზუანის დასკვნით, „წანარები, როგორც მეოშარი მთიელი ხალხი, საქართველოს მეფე-მთავრებისთვის გარკვეულ სამხედრო ძაღას წარმოადგენდნენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. წანარების ქართველური ტომი კახეთის სამეფოს შექმნის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ფორმირების პროცესში მის ხისხლხორცეულ ელემენტად იქცა“ [4, 128]; მკვლევრის პათოსი ამ ნაწილში სეენც შეგვიძლია გავესიაროთ. მართლაც, არაა გამოსრცხელი, წანართა სახელი შემორჩახული იყოს სვანურ ტოპონიმიში, კერძოდ, ტოპონ. წანართა:

*„...წანერში რომ ამოვიდნენ,  
შეეფთნენ გზაში სვანებს,  
მოუძღოდათ შავი ბატუ,*

*ჯაჭუ-აბჯარი ტანზე ეცვათ“* [5, 57].

ამ დუქის „მურსაბეგი“ ქქეია; მასში არსებული ტოპონიმი მართლაც საგულისხმო ჩვენებას იძლევა. შდრ. წანაში (ტოპონ.) სოფელია ქქეძო სვანეთში, ლენტეხის რ., შუდის ხელეის სასოფლო საბჭოში [6, 238]. აქ ამ სიტყვაში –აშ ბოლოკიდური საწარმოებელი ბოლოსართისა (ნაკუნტეიარი სახელია = წანისა, წანის კუთხნლი); ამრთად, ჩვენი აზრით, ღინკვისტურად, საესებით კანონზომიერად, წანერში გამოიყოფა წან ძირი, -ერ სიტყვაწარმოებელი ბოლოსართი, რომელიც ქართველ ტოპონიმიში (სახელთა სიტყვაწარმებაში) ახლაც საწარმოებელი სეფქისა, შდრ. დანერი, ნოსირი (სოფლის სახელწოდებანი სამეგრელოში), ტაშირი (სოფელი ქართლში), დობერი... შდრ. აგრეთვე სამეგრელოში სამხრეთს ქარს სახელდება „სღაური“ ქქეია, ხოლო ჩრდილოეთისას – „წანი-ბორია“ (ჯ. ვკასლია).

ღირსსაცნობია, რომ რ. თოფნიშვილსაც წანარები სვანურენოვან ტომად მიანია – „წანარები შესაძლოა დღევანდელ სვანებთან სრულიად იდენტური არ იყენენ, არამეუ მათთან ახლოს მდგომი ტომი ყოფილიყო“ [7, 58-59]. ბ. სილაგაძის ვარაუდითაც, წანარები („სახები“) დასავლურ-ქართულ ტომთა ოჯახია და მოსული არიან სამხრეთიდან რომაულთა ბატონობის დროს და არა არაბობის ხანაში [8, 133]. სამწუხაროდ, ავტორის მსჯელობა ამ შემთხვევაში მთლად ნათელი არაა – თუ წანარები სამხრეთ აღმოსავლეთით (ან თუნდაც სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ, როგორ, რა გზით (რა „მარშრუტით“) მოხდნენ ისინი კავკასიის ჩრდილო მთიანეთში? მათი გადაადგილება უშუალოდ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თუ?..

ცან ღაშხეთის სემით არსებულ ვრცელ ტერიტორიას ქქეია, როგორც მიუთითებენ. ცანა // ცუნა საესეა ძველი ნასახლარებითა და ციხეებით. აქ უნდა ეცხოვრათ ცანებს ანუ სვანთა ტომს [9, 320].

ვარაუდობენ იმასაც, რომ ცანები ანუ წანარები აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულან ამ რეგიონში ქართლელების მოწოდით.

532 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყოფილა სვანური მოდგმის ხალხის წანართა ტომის საერისთავო (რაც დოკუმენტურად „მოქცევაჲ ქართლისაჲსით“ მტკიცდება: (მოხსენიებულია წანართის ჯევი) და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს და სხუაჲ ვინჲ კაცი დაადგინეს მთავრად წანართისა ჯევისა და მორჩილებად დასდევს მისი“ (მოქც.) ეს წანარები არაგვის ხეობიდან იყვნენ, როგორც ცნობილია, მათ კახეთის სამთავროს ჩამოყალიბებაში (არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლისას...), ისინი კახეთის პირველი მთავრები გახდნენ [10]. (აღსანიშნავია, რომ წანარ’ის ფუძეს უკავშირებენ გერმანულ Zinne’ს რაც გერმანულად „ოქოს“ ნიშნავს. აქედან წარმოდგა თითქოს წანარები, როგორც კოშკის „ქვეყნეთელი“ ხალხი ანუ პერეტიო. ამ აზრის სასარგებლოდ მოსყავთ ნაჭარმატევის დარბაზობა, სადაც დაეთ აღმაშენებელს 12 მეფე მიუღია. ამ მეფეთა ჩამონათვალში მოხსენიებულია წანართა მეფეც (აღმოსავლეთ პერეთისა..., ეს მხარე შემოერთებულ იქნა 1117 წელს [11]).

წანარები რომ ერთ დროს არაგვის ხეობებში (თეთრი და შავი არაგვი) მკვიდრობდნენ, გასაკვირი არ უნდა იყოს.

წანარების იერსახე, ბრძოლისუნარიანობა, დეაწლი – მარცხი თუ „მარჯი“ გამოჩნეულად და განსაკუთრებით აისახა არაბების ბატონობის-დროინდელ საქართველოში. ჯ. გუგასალიას შენიშვნით, არაბთა მიერ დარი-ალის გამაგრება ხერხდებოდა წანართა წინააღმდეგობის დაძლევის გზით. ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც VIII-IX სს. მანძილზე ამიერკავკასიაში შედგრად უწინააღმდეგობოდა არაბებს. იყვნენ წანარები, მათი სამშობლო წანარეთი პოლიტიკური მნიშვნელობით კახეთის სამთავროს აღნიშნავდა [12, 147].

მთიულ წანართა ისტორიულ კახეთში ჩასახლებას გაბარება მოჰყვა, როგორც ჩანს, მათ თანდათან დაკარგეს მთის ადათ-წესები, ძველი ჩვეულება და ბარის კანონებს დაემორჩილნენ. წანარების წარმატებული ბრძოლა „სუდამდგომელ“ არაბებთან შემოხვევითი მოვლენა არ გახლავთ. მათი მამაცობა, უდრეკლობა, „მთური“ თავისუფლება ვერ კგუობდა თავისუფლების დაკარგვასა და ქვეყნის გაპარტახებას. წანარების სახელი უცხოურმა წყაროებმაღც შემოინახა – მათ „ქვეყანას“ სანარაიდ მოიხსენიებდნენ. ჯ. გუგასალიას თქმით, სანარია-წანარეთი კახეთის სინონიმიც კია. ჩვენი აზრით, არ უნდა გამოვირიცხოთ ის ალბათობაც, რომ ქართველმა მეფეებმა თავ-დაპირველად წანარები გამოიხსნულად კომპაქტურად ჩაასახლეს დარიალისა და არაგვის ხეობებში სასაღვრის დასაცავად და გასამაგრებლად. ისინი ხომ უბადალო მეთომრები იყვნენ, რომლებიც წარმატებით ებრძოდნენ მომხდურთ, მათ შორის არაბებს. როგორც სემოთ აღვინიშნეთ, სწორედ მათი თავდა-დებულობის წყალობით გახდნენ ისინი შიდა ქართლის მთიანეთისა და კახეთის ერთპიროვნული ლიდერები და მმართველები.

დაისმის კითხვა: რატომ ხშირად არა იხსენიებიან ქართულ ისტორიულ წყაროებში ან მხატვრულ ძეგლებში წანარები? ან თუ მოიხსენიებიან, რომელი სახელდებით? ამ კითხვაზე ჩვენეული პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ ძველ წერილობითს ძეგლებში მთაში მცხოვრებ ქართველთა სოგად ტერმინად იხმარებოდა სიტყვები მთეული, მთური, მთიელი, მთიული, მთეულეთი // მთიულეთი... (ვიწრო და ფართო მნიშვნელობით). ეს ვარიაციული სიტყვა-ფორმები განხილული გვაქვს ჩვენს საკვალიფიკაციო ნაშრომში (იხ. [13, §33, 161- 162], სადაც აღვნიშნავდით, რომ ამ ლექსებში მთეულ // მთიულ -ეულ და -იულ სიტყვასწარმოებელი ბოლოსართებია (ეულ ← ე-ულ; იულ ← ი-



ულ). მაგ., „მთიულნი გომარდად დაადგინეს“ (მოქც. 95.1); ეგვე სიტყვა დღეს ეთნონიმი და ახლაც არაიშვითად იხმარება: „ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი (გრ. ორბ. 93, 10);

ი ელემენტი გვაქვს ამავე მთ ძირის შემდგომ, რომელსაც დაერთვის წარმომავლობის – ელ სუფიქსი: მთ-ი-ულ-ი: „და მოუწოდეს მთიულთა ყოველთა“ (მოქც. 98, 31-32);

მთიულთა ძველსავე ქართულში ენაცვლება მთულ ლექსემა: მთ-ე-ულ, სადაც -ე ელემენტი --ეე სუფიქსის ნაშთს წარმოადგენს. აკად. კ. კეკელიძის განმარტებით, მთიული ჰქვია ბარბაროზებს, ასევე სარკინოზებსაც [14, 222]: „და მოუწოდა მთულთა, ჭართალელთა და ფხოელთა (მოქც. A. 88, 29-30). კ. კეკელიძის განმარტება გასაზიარებელია: მთიული მართლაც უნდა ნიშნავდეს მთაში მცხოვრებს, ბარის მცხოვრებთან შედარებით ნახევრად ველურ, ბარბაროს ადამიანს: „არა შეიწყნარეს იგი მთულთა მათ კაცთა“ (განკ. 92, 25).

ზოგჯერ რედაქციებში „მთულ“ სიტყვა „მთიულთან“ მინაცვლებობს: „და მოუწოდა მთულთა“ (აგიოგრ. III. 76.10; BC-შია: მთიულთა).

ი. აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ [15] დამოწმებული აქვს მთულეთ და მთურ სიტყვაფორმები, რომლებიც განმარტებულია „მთად“, რადგან პარალელურ რედაქციაში მათ ნაცვლად „მთა“ ფორმა გვაქვს: მთ-ე-ულ-ეთ-ი, „მთა“ „შთააწვეს საზღვარი ატაროთით კორეკისადჲ მთულეთ-თად მიმართ“ G, – „შთაიედეს საზღვარი ატაროთით ადარდ მთად კერძო“ M. ისუ ნ. 18, 13); მთ-ე-ურ-ი: „მთა“ „მთურსა: შინა სიფირისასა- G. – „მთათა საფარისათა“ M. ისუ ნ. 5. 15, 48).

შანიძეს მთ-ი-ულ-ი მთ-ულ-ისაგან მიღებულად მიანხია: მთ-ულ-ი -> მთ-იულ-ი [16, 129]; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მთულ // მთიულ ფორმათათვის ამოსავლად ივარაუდება მთ-ე-ულ სიტყვაფორმა: მთეულ -> მთულ. ერთი მხრივ, მთეულ -> მთიულ -> მთულ. მეორე მხრივ, აქ განხილული სიტყვაფორმები გვაფიქრებინებს, რომ -ულ სუფიქსი შესაძლოა -ურ სუფიქსის დამოუკიდებლადაც არსებულიყო როგორც ძველ, ისე უძველეს ქართულში [13, 162].

ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატინეშიც“ მთიულეთი ზოგადი შინა-არსისაა – ამ ცნებაში მთაში მცხოვრები ქართველი (ქართველთა საცხოვრისი) და მისი აღმნიშვნელი ტოპონიმი იგულისხმება: მთიულეთი (ტოპონ.): „აწ გეზრახებით, რაჲთა წარხვიედ სიმბგრეთა მთიულეთისათა, ანუ აფხაზთასა, ვითარ ქნა მამამან შენმან“ (ასწ. მატ. 179, 28);

ამრიგად, მთულ და მთიულ ვარიაციული სიტყვაფორმები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ძირითადად ზოგადი მნიშვნელობისაა (განკერძოებული შემთხვევა „ჭართალელთა“ და „ფხოელთა“ გვერდით „მთულთა“ მოხსენიება). კონკრეტულად ისინი არ გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე კუთხეს, მთიულეთს, გუდამაყარს ან ხევს. უფრო სარწმუნოდ ჩანს ამ სამივე ეთნოარქაელის (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი) ერთ ტერმინში შერწყმულად მოხსენიება-გაერთიანება. საფიქრებელია, ამ მხარეში, სწორედ ამ მთიულ // მთულ ტერმინებში იყოს გულელებული წანარების ოდინდელი არსებობა. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არაა წანარები ნახსენები ჩვენ მიერ წარმოდგენილ და განხილულ ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში. რადგან ეს სატომო სახელი შინაარსობრივ სრულად გადაფარულია მთულ და მთიულ საზოგადო სიტყვატერმინებით. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, წანარები მთიულები ანუ მთულები, მთაში მცხოვრები ქართველობაა.

## ლიტერატურა

1. *Март Н.Я.* К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа. ИИАН., СПб., 1916
2. *Март Н.Я.* Из поездок в Сванетию. ХВ. Т. II. Вып. 1. СПб., 1913
3. *Какабадзе С.Н.* О племени цанар. см. წ. III. ტფ., 1928
4. *მიძინაძე თ.*, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989
5. სვანური ხალხური ლექსები, თარგმნა დაიით წერედინამბ. თბ., 1977
6. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მეხუთე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1987
7. *თოყენიშვილი რ.*, მოხვეური გეოსახელები, თბ., 1988
8. *ხიდაგაძე ბ.*, არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991
9. *ლიპარტელიანი ახლ.*, სვანურ-ქართული ლექსიკონი [იოლურული კილო], თბ., 1994
10. *ინგოროვეა პ.* რუსთველიანას ეპილოგი. ქ. მნათობი, №4, 1963
11. *რატინი პ.* ვეფხისტყაოსნის ავტორის ეთნოგენეზისათვის. ქ. მნათობი, 3, თბ., 1963
12. *ვუასლია ვ.* არაგვის კარი (დარბაზიანი). ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, ეპილოგი აკად. ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს. თბ., 1976
13. *ცხადაძე ბ.* აფიქსური სიტყვაწარმოება ძველ ქართულში. ხადოქტორო დისერტაციო. თბ., 1989
14. *ქუციავაძე კ.* კიმენი, ქართული ჰაიოგრაფიული ძეგლები, II. თბ., 1946
15. *აბულაძე თ.* ძველი ქართული უნის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973
16. *შანიძე.* ქართული უნის გრაფიკის საფუძვლები. დაბეჭდ. *შანიძე.* თსხუ-ლებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბ., 1980

*ბ.ა.ცხადაძე*

*Грузинский технический университет*

### **О причинах отсутствия упоминания цанаров в грузинских письменных памятниках**

**Цанары** проживали в горной части Кавкасион (Большого Кавказа) (за горами Кавкасион, до южного перевала гор Кавкасион).

По-видимому, до прихода осетин цанары владели центральной территорией Северного Предкавказья. Они проживали рядом с двалами. Территория цанаров, как сообщается в «Мокшева Картлиса» (Обращение Картли), начиналась с Цанаретского ущелья (из горных районов Грузии с юга на север).

**Цанары** – это грузинское племя, а именно, грузинские горы, которые в общем упоминаются (в вариационной разновидности) в древних грузинских письменных памятниках и в духовной письменности под именем «*მთეუღ // მტნუღ*». *მთეურ // მთეულ* (житель гор). **Цанары** ведь говорили на грузинском языке.

*ბ. Tskhadadze*

*Georgian Technical University*

### **Regarding the Absence of Reference to the Tsanarians in Georgian Written Monuments**

**The Tsanarians** lived in the mountain part of Kavkasioni (Greater Caucasus) (beyond Kavkasioni mountains, up to the Southern Pass of Kavkasioni mountains).

It seems that before the arrival of Ossetians, the Tsanarians possessed the central territory of Northern Ciscaucasia. They lived next to the Dvals. The territory of Tsanarians, as is cited in

“Moktseva Kartlisa” (Conversion of Kartli), began from Tsanareti valley (from the mountainous regions of Georgia in the south to the north).

The Tsanarrians are a Georgian tribe, namely, Georgian hill-people, that are commonly referred to (in their variational diversity) in ancient Georgian written monuments and spiritual literature under the name of “Mteul // Mtiul, Mteur // Mteul” (mountain dwellers). In fact, the Tsanarrians spoke Georgian.

გეა ცხადაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### პოსტდარიანული ტრიპტიხი წერილი პირველი (პაოლო იაშვილი-ელენე დარიანი, ანა კალანდაძე...)

ლიტერატურული მისტიფიკაცია მიმსდეველი ხერხია „დანაკლისის“ შესახებ. „ცისფერქანწელთა“ ორდენს ელენე დარიანის გამოგონება დასჭირდა, რომ ქართველ პოეტებსაც კეთილდღაოთ თავიანთი გიპოესი ან ახმატოვა. როცა არ არსებობს ნამდვილი, მაშინ წნდება გამონაგონი და შეთხზული. შეიქმნა ღვთაებად უღებელი ელენე დარიანი, ასეთი მცხეხეწარე და მიმსიდეგელი, რომელიც დღემდე აღელვებს წარმოსახვას. თქვეს აღტაცებას, ეკვებს. აცხოველებს დამდორებულ ლიტერატურულ ყოფას... აქნს კვლავ განმეორების სურვილს.

პაოლო იაშვილსა და მის ხაძმოს გამონაგონი დასჭირდათ იმისთვის, რომ უფრო სრულყოფილად და კომფორტულად ეგრძნოთ თავი. მათი გამოწვევა ელენე დარიანმა ახალი კუთხით გაახმოვანა. ახალი შრეები გადაუშალა ხასოგადობას და დაანახა ხასიათთა მრავალგვარობა.

პაოლო იაშვილმა ერთ არსებზე წარმოგვიდგინა დელოვადი, მონა და ცოლი. მის წარმოსახვაში უდაბნო და სამოთხეც გაერთიანდა, ვნებაც და გონებაც ერთიანად წარმოჩინდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პაოლოსეული ქართველი ქალი არ აღმოსნდა მხოლოდ ცისფერ სურცკეთა ბინადარი. მასში სექსი, გ'ხნება და ენება ფარაუდა შორეულ ოცნებათა დამას. მოდერნიზმის ესთეტიკა ჯიქურ მოითხოვდა ძველის ახლებურად აღქმას და ელენე დარიანშიც ნათლად გამოიკვეთა ფროიდისტული ასოციუნების ნიშნები, რომლებმაც ასე ააღვლეა წიგნიერებასე პრეტენსიის მქონე ქართველობა. პაოლომ საგანგებოდ გაუხვა ხასი ელენე დარიანის ხასიათს და ათქმევინა:

„...და ის მახარებს, მამისებს ბაღში შემოხულს,

რომ ჩემი კოცნა, სიხარული, ხმაც ქართულია,

ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგაე რომ მსურს...“ [1, 16].

ქართველი კაცი მიეწეა სატრფოს შორეულ ხატებას, მიიღო ხასურველი არსების ირაციონალური ხახე და თითქმის მიიეწეა მიწიერ-დიონისური საწყისების ძლიერება. პაოლო იაშვილმაც სწორედ ეს „გაიხსენა“ და „გაახსენა“ თავის მოძმეებს.

გრიგოლ რობაქიძე იმთავითვე ცდილობდა მიწიერ-სეციური თვისებების ერთარსებაში წეწებას, რაც მისეულ სტილად დამკვიდრდა; მენადა და ზეციური აფროდიტა შენივთდა მის ქალ-პერსონაჟებში; სომნაბულამ ისტორიულ გარემოში შემოაღწია და ქართული თეატრის სცენა დაიკრო („ლონდა“, „ლა-მარა“, „მაღ შტრემ“) [2], [3], [4]. პაოლომ და გრიგოლ რობაქიძემ ერთ „ქიმერას“ მოუხარეს ქედი და არნახული აეიოტაეი გამოიწვიეს.

„კონცა, სიყვარული, ხმაც ქართულია“ ძნელად შესაგუებელი სიახლე შეიქნა. კონსტანტინე კაპანელის აზრიც ამავე სადინარში ერთდება, როცა დაასკენის: „საქართველოში ქალი არის მხოლოდ ფიზიოლოგიური ფენომენი, მოკლებული ინდივიდუალობას, სექსუალობას, ეროტიკულ ენებას – ქალურობას“ [5, 320].

კ. კაპანელისთვის „ესთეტიკური“ და „ობიექტულური“ მკვეთრად არის გამიჯნული, მას სურს და იდეალუბა ოჯახში პენელოპე და ასპასია, ქუჩაში პეტრა. მამაკაც შემოქმედო, ხელოვნებისა და კულტურისთვის ტონის მიცემით, მოსწონთ ქართველი ქალი, როგორც მიწიერი არსება, რომელიც არ არის განპარცვეული პოეტური ხიბლისგან. ქალი პოეტი უნდა ყოფილიყო, ელენე დარიანის მსგავსად ნიჭიერი, მშვენიერი და ენებიანი, ხოლო ოჯახის ქალს თავის თავში ასპასია და პენელოპა უნდა გაეერთიანებინა. სექსუალობის და ამორძალური ფენომენის მორიგება წარმოუდგენლად ეჩვენებოდა კ. კაპანელს.

პოეტებმა და მწერლებმა შექმნეს საქართველოში ქალის იდეალი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა და ყალიბდებოდა. ხელოვანი მამაკაცები ამკვიდრებდნენ ტენდენციებს, თემებს, იდეებს. ისინი გეინერგაუნენ აზრებს, ცვლიდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ მათ. ისინი იგონებდნენ „ქართველ ქალს“, რომელსაც შემდგომ თავადვე ნათლავდნენ „მეშმინკა“ და ფრიგიულად არსებად.

ქართველმა კაცმა შექმნა ელენე დარიანი, მაგრამ ამგვარად „გახელებულ მენადას“ არასოდეს ისურვებდა ულლის გამწვევად... სხვათა დასანახად მაინც...

ელენე დარიანი სულ სხვა საზოგადოების დამაა, მალე ის შეცვალა რეალურმა ქართველმა ქალმა, რომელმაც თავის პოეზიაში ტრადიციული თავშეკავებისა და სათნოების სრულყოფილებამდე აიყვანა და არავის დაუტოვა უმარობის გრძობა. ამ შემოქმედს არასოდეს აქონია ელენე დარიანისეული სფეროგადასული ენებიანობა და ეროტიზმი. მას არავრით დაუშოკავს საზოგადოება, მხოლოდ სასიამოვნოდ გააოცა და გაახარა იგი. ანა კალანდაძემ მთელი საქართველო მოხიბლა თანაგრძნობისა და თანაღმობის პათოსით, სათნოებითა და მიმტვევბლობის ჰუმანური ხიბლით. მისმა პოეტურმა მუსამ სხვათა ტკივილების გათავისება იოლად შეძლო და ჩვენი ეროვნული ხასიათის ტოლერანტული მხარე სრულად გამოავლინა:

„– რაისთვის აქვს ქისტებს, ბერდევს,

მათ ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?

მიწა უესიათ მათ ხევსურთ ძელებით..

– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...

– ამღას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,

ახიელაშიც უზომო ხოცეს...

– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...

– რა ეიცო... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!“ [6].

დიადოგის ფორმა მეტზე მეტყველებს: ერთი მთიელია, მეორე კი ეგზოტიკის სახილველ-განსაცდელად სტუმრებული. ავტორის კილო განზრახ არის დატვირთული დაქვეების პათოსით, რომ მთავარი სათქმელი და იდეა ამ ფონზე გამოინაკეთოს. ბერდევდისადმი ერთხილი მიდგომა სავსებით გამარულებულია, ავტორიც თავიდანვე ამ აზრით არის სავსე, მაგრამ მას სურს რიგითმა ქართველმაც დაუდასტუროს გულისთქმა. გამოწვევა და დაქვეება ხერხია, რომელიც საერთო ეროვნული ხასიათის ტოლერანტულ მხარეს მკაფიოს ხდის.

ანა კალანდაძეს არ სჭირდება არანაირი ზედმეტობები, რასაც ის გეთავაზობს, ყოველგვარი ძალდატანებისა და გარუგნული ეფექტების გარეშე. ძვირფასი და მისაღებია ჩვენთვის. მას აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტონალობა და ის ენა, რომელიც განასხვავებს ყველასგან და ქმნის ორიგინალურ სამყაროს, რომელიც არასოდეს შეგვეშლება სხვაში. ჩვენ გვიყვარს ანა მაშინ, როცა პირადულს გეიზიარებს, მაშინაც, როცა საექსპერტო სატიკივარს ტირის და როცა მთელ კაცობრიობას უდგას ჭირისუფლად.

ანა კალანდაძეს, ეაჟას მსგავსად, მოსწონს ეაჟაკი და თავისუფლების მოყვარე მტერი, რომელიც მისი ენის იდეალების მონათესავე სულელებია. იგი შამილის სახით სოგადად ქედუხრკლობას და ჰეროიზმს სცემს თაყვანს, მაშაქაცში გმირულ სულს უმღერის და ეთაყვანება:

„რამდენი ცრემლი მადინე,  
სახლ-კარს მინგრევდი,  
მიწვევდი...  
დაუძინებელ მოსისხლეს...  
თავს... დაგიხრიდი მიწამდი,-  
მეც... ეაჟაკობას გიქებდი,  
მტერობას გამოვრიცხავდი,  
თავისუფლებით შობილო,  
თავისუფლებას იცავდი!  
ხელთუქმნელ ჩაჩანს ირქმევდი,  
ხელთუქმნელ ბეგთარს იცვამდი...  
საქართველოს ცის მადლმა,  
შენდობას შემოგფიცავდი!“ [6].

ანა კალანდაძის პოეზიის არაერთ ნიმუშში შექებულა ძლიერი სქესის შემართობა, თავმოყვარეობა და ბოლომდე დახარჯვა. იგი ეროვნებისა და კუთხურობის მიხედვით არ არჩევს ლირიკულ გმირს. არ აკნინებს „სხვათა“ საქციელს და არც „ჩვენებისას“ აბუქებს. პოეტი ყოველთვის სამართლიანი და სანდოა, იგი დამაჯერებლობით გამოირჩევა და უსასურლო მიმტკეველობით გეხიბლავს. ანას ყველაზე ანაირი განწყობა სათანადო ნიადაგზე ამოსრდილი და განტოტვილი, წერს მასზე, რაც მისთვის და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, მოსაწონი და ოდითგანვე გათავისებულ-შესისხლხორცებულია. პოეტმა განწყობილებათა უბრალოება და სისადავე შესძინა ქართულ პოეზიას. იგი უადრესად ნაზი და მგრძობიარე შემოქმედია, რომელსაც „ეროიზმი და პატრიოტული პათოსი სოგადკაცობრიულ სულისკეთებებთან შეუთავსებია. ანას პოეზიის ხასიათი ტრადიციულ თემატიკას ეყრდნობა. ამოობირებულ გამომსახველობით ფორმებს ითავისებს და აზრობრივი სიხალით ბრწყინავს. ყოველდღიური და ბანალური – ბუნების სურათების და არქაულ-ბიბლიური სახე-სიმბოლოების ფონზე – იძენს თავისთავადობას.

ანა კალანდაძე არის პირველი და უმნიშვნელოვანესი ქართველი პოეტი ქალი, რომელსაც ეგზომ ნატრობდნენ XX საუკუნის დასაწყისში და რომ არ ეგულბოდათ, თავად იგონებდნენ და ქმნიდნენ. როდესაც ანა გამოინდა, როცა მისმა სათქმელმა დაიპყრო გულები, მაშინვე ცხადი გახდა, რომ „დარიანული“ ამ პოეზიასთან შედარებით ძალიან ვიწრო ჩარჩოში მოასრებელი გახლდათ. ელენე დარიანი არის მაშაქაცური ოცნების ნაყოფი, ფარნისა და აბრეშუმის სამოსში გამოხეველი მოწყენილი პეტერა, რომელიც იგონებს სმანების უფლისწულს და სასურველში აცოცხლებს. ნამდვილი პოეტის და ნამდვილი ქალის ზმანებები გაცილებით მრავალფეროვანია და ხატოვანია, ვიდრე მოგონილის ან გამოგონილის. მაშაქაცურმა გულმა და თვალმა გამოძერწა

ელენე დარიანი, ბუნებამ შექმნა ნამდვილი პოეტი, უმშვენიერესი და ამადღებუელი, რომელიც ყველა ნაქებ-ნალოლიაკებ მსეთუნახაეზე აღმატებულია და სასურველი.

მთავარი, პირველი, დიდი პოეტის მოვლინება იყო, მას შემდგომ ასპარეზზე სხვებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ახალ-ახალი ხედვით და მსურის ნირობით ხიბლადენენ და შემოქმედებდნენ მეთხველსე.

ანა კალანდაძემ მოხიბლა მოველი საზოგადოება, მაგრამ ის მიიწვტრადიციული პოეტური მემკვიდრეობის პირში და წარმომადგენელია – მან მოგვანიჭა სიხარული, ხოლო ქართული ლექსის რეფორმატორის სახელი სხვას (ლ. სტურუა) ერგო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის დასაწყისის დიდი ქართველი მოღერნისტების სურვილი და ოცნება იყო, იღუმადლი ნეთის საბურველი გადაეწიათ და ზიარებოდნენ მარადქალურს, რომლის დევიზიც ასე „უღერდა“: „შე ვარ ის, რაც არის, რაც იყო და რაც იქნება და არც ერთ მოკვდავს და არც ერთ უკვდავს არ აუხდია ჩემი საბურველი“. ეს თეზა თავისებური რაკერსით რეალურად განსხეულდა ანა კალანდაძის პოეზიაში.

#### ლიტერატურა და წყაროები

1. ე. დარიანი (=პ. იაშვილი), უკერტურა. იხ. კურნ. ცისფერი ეანწები. №1. ქუთაისი. გასაფხული. ნშიე. ადღგენილი მჟორე გამოცემა. გამომცემლობა „საქართველო“ ქუთაისის ფილიალი. 1990
2. გრ. რობაქიძე. დრამები (ლონდა. მალშტრემ, ლამარა.) ტყ., 1926
3. გრ. რობაქიძე. კრებული. კარლო ინახარაძის გამოცემა. მიუნხენი, 1984
4. ე. ცხადაძე. გრავოლ რობაქიძის დრამათა წარმარული სამყარო. თბ., 1977
5. კ. კაპანელი. ქალი და სოქარული. წიგნში: კ. კაპანელი, ქართული სული ესოეტურ სახეებში. თბ., 1996
6. ა. კალანდაძე. ლექსები. მურმან ლებანიძის რედაქციით. თბ., 1985

*E. Tskhadadze,*

*Georgian Technical University.*

#### Postdarian triptych The first letter (Paolo Iashvili – Elene Dariani, Ana Kalandadze)

In the article is studied poetic “ego” of Georgian poetess Ana Kalandadze according to poetic attempt – opus of Paolo Iashvili “Elene Dariani” On researcher’s opinion: great Georgian modernists of the beginning of 19<sup>th</sup> century wished and dreamed to uncover a secret of mysterious Neith and to comprehend the everlasting female, motto of which sounded as following: “I’m that I am, I was and I will be, and no one of mortals and no one of immortal has never uncovered my secret”. This theme in original aspect has found its real embodiment in the poetry of Ana Kalandadze.

*Цхадაძე Е. Г.*

*Грузинский технический университет.*

#### Постдарианский триптих Первое письмо (Паоло Иашвили – Элене Дариани, Анна Каландадзе)

*В статье изучено поэтическое «я» грузинской поэтессы Анны Каландадзе по поэтическому изысканию сочинению Паоло Иашвили - «Элене Дариани». По заключению исследователя, желанием и мечтой великих грузинских модернистов начала XX века было стремление приоткрыть завесу тайной Неифи и постичь вечной женское, девиз которого звучит следующим образом: «Я то, что есть, было и будет, и ни один из смертных, и ни один из бессмертных не приоткрывал мою завесу». Эта тема в своеобразном ракурсе нашла свое реалистическое воплощение в поэзии Анны Каландадзе.*

## **Фразеологическое интенсифицирующее значение с точки зрения концептуальной организации знаний в языке**

*Ключевые слова: парадигма, символы, концептуальная картина мира*

В структуральной парадигме языковые знаки трактуются как символы, устанавливающие произвольную (немотивированную) связь между означающим и означаемым на основе конвенции; однако, "означающая" функция языковых знаков возникает не в силу прямого соотношения их с внешним миром, а в силу соотношения с человеческим опытом, образующим основу знания" [5:6]. Согласно А.В.Кравченко, составной частью значения единиц, образующих систему языка, является знание о мире [6]. Формирование знаний происходит в результате познавательной деятельности человека, когда в его сознании создается идеальный мир – коррелят объективного мира. Этот вторичный идеальный мир, существующий как абстрактный в виде понятий и их отношений, составляет так называемую "картину мира" или концептуальную картину мира, в которой отражаются и познаются закономерности окружающего человека мира [4].

Думается, что с современной точки зрения вопрос о значении ФИ как языкового знака должен быть сформулирован как вопрос о том, какое концептуальное или когнитивное образование подведено под "крышу" знака, какой квант информации выделен телом данного знака из общего потока знаний о мире. Учитывая все это, проблема значения ФИ видится нам в аспекте его способности быть средством фиксации, хранения и передачи знания или другими словами, способности выступать в роли репрезентанта знания.

При рассмотрении проблемы знаний возникает широкий круг вопросов. К их числу относятся вопросы о сущности знаний, их специфике, о видах знаний и оснований для их классификации, о формах репрезентации знаний в памяти человека и их организации для их оптимального использования, об особенностях хранения знаний, извлечения последних, опоры на них в речемыслительной деятельности.

Как показал анализ литературы, наиболее часто встречаемым является разделение знаний на языковые и неязыковые. Некоторые авторы не ограничиваются подразделением знаний на языковые и неязыковые, они делают попытку уточнить, что понимается под теми и другими. Так, В.И.Герасимов и В.В.Петров относят к языковым знаниям:

- знания грамматики с фонетикой и фонологией;
- знания композиционной и лексической семантики;
- знания об употреблении языка;
- знания принципов речевого общения.

К неязыковым знаниям они причисляют: знания о контексте ситуации, общефоновые знания (знания о мире) [2:7].

При этом исследователи справедливо подчеркивают, что ни один из видов знаний не является ведущим, приоритетным.

Отметим подход А.А.Абдуллаева, определяющего знания по трем параметрам: обусловленность знаний, в связи с чем знания подразделяются на

ситуативные и внеситуативные;

- направленность знаний, согласно которой разграничиваются энциклопедические знания (знания о мире), которые могут быть как “лингвистическими”, так и “нелингвистическими” и коммуникативные знания (знания о принципах человеческого общения);

форма знаний, служащая основанием или принципом для репрезентации знаний [8].

Определение формы репрезентации знаний представляет для нас особый интерес. В лингвистике утвердилось мнение, что знание не является аморфным, оно организовано. Е.С.Кубрякова отмечает, что “в организации знаний надо, по всей видимости, разграничивать структуры, напрямую связанные с языком, “языковленные” или же представленные с помощью языка, и, напротив, структуры, прямо с языком не связанные. Конечно, сам вопрос о том, как соотносятся между собой структуры знания, объективированные и опосредованные языком и структуры, представленные в голове человека принципиально иными способами, еще далек от разрешения, но лингвистика позволяет поставить в первую очередь вопрос именно о тех формах репрезентации, которые так или иначе связаны с языком” [5:27]. Для когнитивиста важно понять, как считает В.З.Демьянков, какой должна быть ментальная репрезентация знания и как это знание “когнитивно” обрабатывается [9]. В настоящее время в работах по лингвистике наблюдается несколько подходов к представлению фоновых знаний о мире, каждый из которых, согласуется с социокультурным опытом человека носителя знания. Формы представления знания включают: “фреймы” (Минский, Филмор), “схемы” (Чейф), “сценарии” (Baranov, Dobrovolskij, Schank, Abelson; Шенк), “прототипы” (Rosch, Wierzbicka) “сцены” (Филмор), “модели ситуаций” (ван Дейк). Общим для всех них является то, что именуемые этими терминами структуры знаний представляют собой пакеты информации, хранимые в памяти или создаваемые в ней по мере надобности из содержащихся в памяти компонентов, которые и обеспечивают адекватную когнитивную обработку стандартных ситуаций [2].

Можно сказать, что в этом отношении подход на основе семантики фреймов и прототипической семантики к значению ФИ существенно более энциклопедичен, чем подход традиционный. Именно они образуют ту концептуальную базу, благодаря которой становится возможной коммуникация и взаимопонимание между людьми и именно в этих структурах представлено знание, носителями которого являются ФИ. “Лингвистика и важна для когнитивной науки как представляющая для обдумывания данные о значении своих форм. Здесь и смыкается исследование сопряжения знания и значения” [8: 45]. В качестве примера такого подхода к исследованию сопряжения знания и значения можно привести теорию концептуального моделирования актуального значения идиом, которую мы использовали при анализе значения некоторых ФИ. В основе теории лежит фреймовое описание значения ФЕ. С точки зрения сторонников этой теории А.Н. Баранова, Д.О. Добровольского, в качестве источника формирования идиоматического значения выступают не значения слов-компонентов, а связанные с ними “фреймы- сценарии” [9].

После того, как когнитивисты стали склоняться к мысли, что знания упакованы в форме фреймов, лингвистике предстояло сделать свой шаг – высказать гипотезу о том, что именно денотат и есть та сущность, которая “соотносит” “смысл” (в его фрегевском понимании) и референт, когда они “означены” в языковых формах [6]. Хотя, по мнению В.Н.Телия, такой шаг еще не сделан, но в знаковом отношении, т.е.



отношении “означающее – означаемое” лингвистами выделена такая сущность, которая не является ни понятием в традиционном понимании – гносеологическим образом, ни смыслом – образом конкретной ситуации – как для говорящего, так и слушающего. Такая сущность – типовой предствление об обозначаемом (его прототип). “Прототип соответствует некоторой универсальной или культурно национальной форме знания, он коррелирует с понятием и формирует смысл и условия референции” [6:95]. По У.Чейфу, прототип – ментальное образование, наше представление о типичном [7]. Такого же мнения придерживается А.Вежицкая, которая считает, что описывая семантику слов типа “чашка”, необходимо описывать не сами объекты, а наши представления о типичной чашке [1]. Р.Лангаке ссылается на то, что наши представления, которые до некоторой степени похожи благодаря общности процессов конструирования отраженного мира, все же индивидуальны. Он убежден, что для семантики имеет значение только наше представление о реальном мире, а не сама реальность [10]. Концептуальная информация, заключенная в значениях слов, является результатом анализа имеющихся знаний о называемых объектах. Прототипы, таким образом, должны отражать концептуально существенные свойства нашего представления об объекте.

Результаты проведенного исследования свидетельствуют о том, что среди ФИ выделяется группа идиом, потенциальным элементом семантической структуры которых, в соответствии с теорией прототипической семантики, является значение прототипа. Ориентация на прототип идиомы означает, что в значении ФИ будут выделяться не сема интенсивности, а лежащий в его основе прототип. К таким ФИ можно отнести следующие идиомы: like mad, like crazy, like a shot, like lightning, like a dose of salts, like one o'clock, like the devil and as the devil. Значение этих ФИ образуется в результате метафорического пересмысления значения прототипа.

С целью проверки справедливости тезиса об универсальности указательных средств, автор сопоставляет системы указателей нескольких языков, опираясь главным образом на данные различного рода грамматик, пособий и описаний, что нашло отражение в выделении наиболее общих, встречающихся во всех рассматриваемых языках единиц, различных указательных средств. Интересно, что проблему указания Ю.А. Левицкий рассматривает в связи с теорией актуализации. Последняя, как известно, связана с именем знаменитого Шарля Балли и понимается им как процесс превращения языка в единицы речи, в которой происходит соотнесение понятий, существующих в сознании, с предметами и явлениями реальной действительности. “Актуализировать понятие – значит отождествить его с реальным представлением говорящего субъекта”, отмечал французский ученый (Шарль Балли, 1955, 93). С другой стороны, он полагает, что “индивидуализировать понятие значит

одновременно локализовать его и определить количественно, чему служат особые единицы – актуализаторы”, реализующие различные приемы, употребляемые для превращения языка в речь или, иначе говоря, чтобы связать понятие с соответствующими им в действительности предметами или процессами, чтобы превратить виртуальное понятие в актуальное. К числу актуализаторов Ш. Балли относит главным образом деиктические или указательные слова, слова с местоименными характеристиками. По мнению автора, “... одно или несколько слов, выражающих какое-нибудь представление, становится предложением” (предложение понимается Ш. Балли как акт речи (Шарль Балли, 1953, 93). Теория актуализации дает возможность увидеть специфику заголовочного указания, которое связано с соотнесением с книгой. В этой связи интересно привести слова А.И. Смирницкого, полагающего, что “Надпись на книге... указывает вместе с тем на то, что высказывание об этом предмете (г. Лондон) будет дано в самой книге, она т.о. сообщает содержание или тему книги и поэтому имеет более целеустремленный характер и является более осмысленным и направленным. Такое репрезентативное речение можно обозначить термином «тематическое репрезентативное речение» (А.И. Смирницкий, 1957,103).

Репрезентативность заглавия говорит о том, что оно может представлять текст и в других ситуациях, в рамках информационного обмена, при котором указание на заголовок равноценно указанию на сам текст. В данном “параграфе мы рассмотрели проблемы, связанные с характером заголовочного указания и выяснили, что в отличие от других явлений, относимых учеными к категории имен собственных, заглавия не только указывают на соответствующую реалию текст, но и опирается на ее содержание, отражением, репрезентантом которого оно является.

Иначе говоря, оно указывает не на случайный признак (как известно, специфика указания собственным именем связана с возможностью указания без знания всех существенных свойств объекта), а репрезентирует один из значительных аспектов идейно-тематической сущности произведения (текста). Рассмотрение в соответствующих параграфах проблем “заглавие и знак”, “заглавие и проблемы номинации”, “заглавие и система указателей”, дало нам возможность примерно выделить тот круг явлений, на основе которого станет легко определить специфику интересующего нас явления, ибо своеобразие любого феномена следует, в первую очередь, определять на базе однотипных единиц.

#### ლიტერატურა

Балли Шарль. *Общая лингвистика и вопросы французского языка*, 1955

Петров В.В. Указание в языке науки М., 1977

Рассел Б. *Воздействие науки на общество* / Пер. с англ. В.Онышко. — М.: Изд-во иностранной литературы, 1952.

Левинский Ю.А. *Общее языкознание* М.1970

1972 (1980). “Naming and Necessity”, In *Semantics of Natural Language*, edited by D. Davidson and G. Harman. Dordrecht; Boston: Reidel.

რაფაელ გუშმან ტირადო, ელენორა შარია  
(ესპანეთი)

სათაური და სარჩევთა სისტემა

გახილულია ტექსტის სათაურის და სარჩევის ურთიერთმიმართების საკითხები, განაწილებულია სარჩევთა სისტემურობის ასპექტები.

ნ. ხაზარაძე ნ. ბახსოლიანი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## ლუვიური იეროგლიფები როგორც ინფორმაციის წყარო

საკვანძო სიტყვა – ლუვიური იეროგლიფი, დამწერლობა, ლუვიელები, ხეობები.

ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდების ამოხსნასთან დაკავშირებით ჩატარებულმა მრავალწლიანმა კვლევა-ძიებებმა იმ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ არა მხოლოდ ამ დამწერლობით შესრულებული ძვ. წ. II-I ათასწლეულებით დათარიღებული ეპიგრაფიკული ძეგლები, არამედ თავად ლუვიური იეროგლიფური ნიშნები ძველი ანატოლიის ხალხების ისტორიისა და კულტურის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ძვირფას საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. ამ ორიგინალური დამწერლობის შემქმნელები ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ მცირე ასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის შესახებ [1, 11 და შმდ].

სადღეისოდ 500-მდე ლუვიური იეროგლიფია ცნობილი. საეკიალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თედასაზრისის თანახმად, ეს დამწერლობა თავდაპირველად საკულტო დანიშნულების იყო. საკანცულარიო ხეთური ლურსმულისაგან განსხვავებით, ლუვიურ-იეროგლიფური რელიგიურ მონუმენტურ დამწერლობას ასახიურებდა. გვიანხეთურ ხანაში (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედი) იგი საეკულარიზაციას განიცდის. მკვიდრდება სამშენებლო და მიძღვნილი ხასიათის წარწერების შექმნის ტრადიცია. ეიზილ-დალის, ყარა-დალის, ბურუნჯაიას მთიანეთში, ყარა-თუფესე (კილიკია), ქარხემიშში (ჩრდილოეთი სირია, დღევ. ჯერაბლუსი) მეფე-მთავრები ანალების ტიპის წერილობით ძეგლებს ქმნიან. დღევანდელი კულულუს ბინადარნი ტყეების ფირფიტებზე სამურენიო-საგადასახადო დანიშნულების დოკუმენტებს ადგენენ [2, 8-9, 31-32...; 3, 33-37].

იეროგლიფურ-ლუვიური ეპიგრაფიკული ძეგლების გაერცვლების ჩრდილოეთი სასლვარი ალაჯა-პიუქთან გადის. აღმოსავლეთი პინესთან, ზემო მესოპოტამიაში, ხოლო სამხრეთი – ჰამათსე, სირიაში. თუმცა, ამ დამწერლობით შესრულებული ქვაზე ამოკეთილი ცალკეული წარწერები სიპილოსში, ყარაბელში, კვიპროსზე, ბაბილონში, ირანში და სხვა პუნქტებშია აღმოჩენილი. ამ წარწერების რაოდენობა 300-ზე მეტია, 800-ს აღემატება საბუჯდავებზე მოთავსებული იეროგლიფურ-ლუვიური წარწერების რაოდენობა. ხეთების დროინდელი საბუჯდავები, რომლებმაც უმთავრესად ანაბუჯდების სახით მოაღწიეს ჩვენამდე, ხშირად ორენოვანია. ისინი, ძირთადად, ხეთი მეფეების სახელებს, ტიტულატურებსა და გენეალოგიებს გვაცნობენ (ბოლა-უქო, ტარსუსი, უგართი). ხეთური ხანის იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ხეთი მეფეების უღდში ნაკეთ რელიეფებზედაცაა დადასტურებული, სადაც მეფეების გამოსახულებები და მსხვერპლშეწირვის სცენებია აღბუჯდილი. ზოგჯერ იეროგლიფურ-ლუვიური წარწერები ღვთაებთა სახელებს გვაცნობს, ზოგჯერ რიტუალური ხასიათის ტექსტებს [4, 17].

იეროგლიფურ-ლუვიური ენა ლურსმული ლუვიურის მონათესავეა. ძველი ანატოლიის ეს ორი ენა A და B ლიკიურთან, პისიდიურთან, ლიკაონურთან, სიდურთან ერთად ძველი ინდოევროპული ენების ანატოლიურ (ხეთურ-ლუვიური) ჯგუფის ლუვიურ ქვეჯგუფადაა მიჩნეული [5, 14]. როგორც წესი, ლუვიური იეროგლიფი ღია მარცვლის სახითაა წარმოდგენილი ხმოვანი ან

თანხმოვანი-ხმოვანი (თუმცა გეხედება გამონაკლისებიც, როდესაც იეროგლიფური ნიშანი რომელიმე ასო-ბგერას შეესაბამება. იეროგლიფურ-ლუვიურ ლოგოგრამებსა და დეტერმინატივებს ზოგჯერ ფონეტიკური კომპლემენტები ახლავს, რომლებიც სიტყვის ფუძის ბგერით შემადგენლობას და ფლექსიას გადმოსცემენ [6, 9].

არსებობს ლუვიური იეროგლიფების კლასიფიკაციის რამდენიმე ვერსია. ემ. ლაროშის მიერ შემუშავებული საკმაოდ არგუმენტირებული კლასიფიკაციის მიხედვით, ლუვიური იეროგლიფები ფუნქციის გათვალისწინებით, შესაძლოა ათ ჯგუფად დაიყოს. იეროგლიფური ნიშნების პირველი ჯგუფი ადამიანებთან, მის სხეულთან, სოციალურ სტატუსთან, სხვადასხვა ქმედებებთან დაკავშირებულ ცნებებს ასახიერებს (მე, ადამიანი, თავი, ხელი, ფეხი, ტურფი, ქალი (საშოს სახით), დედა, ქალბატონი, დედოფალი, მეფე, დიდი მეფე, ბეშეი, ვაჟი, უფლისწული (ქალი, ვაჟი), ძმა, გმირი, ძლიერი, მრისხანება, საუბარი, ალბა, დადება, მიტანა, თაყვანისცემა, რიტუალის აღსრულება და ა. შ.). მეორე - (ცხოველებს (ძაღვი, ცხენი, სახედარი, ირემი, ხარი, ცხვარი, კურდღელი, ღორონი...), მესამე მცენარეებს (პურის თაეთაჟი, ბროწეული, ყურძნის მტევანი, მარადმწვანე ხე ეა...), მეოთხე - მნათობებს, ბუნების მოვლენებს, ღანდ შაფტს (ჯა, მსუ, მთვარე, ექსკიმიანი და მრავალსახიანი ვარსკვლავები, ელვა, მიწა, დაბლობი, მთა, მდინარე, წყალი, წყაროს სათავე, აღმოსავლეთი, დასავლეთი...), მეხუთე - ჭურჭელს, მურვე - სიმბოლოებს (დუთაბის, ქაღალეთაების, მჭვის, ქურუმის, მოსამართლის აღმნიშვნელი სიმბოლოები...), მეცხრე - ციფრებს, გეომეტრიულ ფიგურებს (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, რვა, ცხრა, ათი, ასი...), მეთექვსმეტე ჯგუფით დაუღკენელი სემანტიკის იეროგლიფებს აერთიანებენ.

როგორც ვხედავთ, ამ ორიგინალური დამწერლობის შემქმნელები ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ მცირე ასიის ფლორასა და ფაუნასზე, ბუნებრივ სიმდიდრეებსზე, მეურნეობასზე და ყოველს, სამხედრო საქმესზე, არქიტექტურასზე, სასოფლო-სამეურნეო სოციალურ სტრუქტურასზე, ხათების, ლუვიელების, ხეთების კოსმოგონიურ და კოსმოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებზე.

ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტი ემ. ლაროშის მიერ მეცხრე ჯგუფად გამოყოფილი (იხ. სემთ) იეროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელებია, რადგან ისინიც დამატებით საუკრადლებო ინფორმაციას გვაწვდიან იმ ძველადმოსავლური სასოფლო-სამეურნეოების ცოდნის დონის შესახებ, რომელიც ამ დამწერლობით სარგებლობდა. აქვე დაუკნთ, რომ არცერთ სადღესოდ ცნობილ იეროგლიფურ-ლუვიურ ეპიგრაფიკულ ძეგლში რიცხვითი სახელი არ მოწმდება. გარდა კულულაში გასული საუკუნის მეორე ნახევარში აღმოჩენილი წარწერიანი ტყვიის ფირფიტებისა, რომლებიც სამეურნეო-საგადასახადო აღრიცხვის მიზნით იყო შედგენილი [3, 33-37].

განსხვავებით შემერული, აქალური, ხეთური რიცხვითი სახელების სისტემებთან, სადაც რიცხვითი სახელები რაოდენობითი, რიგობითი, ჯერობითი, გამანაწილებელი და წილობითი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი, [7, 41-45; 8, 59-64...] კულულუს ტყვიის ფირფიტებზე მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელებს ვხვდებით. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ სხვა ანალოგიურ წერილობით ძეგლებში, რომლებშიც რიგი გარემოების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია, რიცხვითი სახელების სისტემა ისეთივე სრულყოფილი იყო, როგორც ეს უემოსხენებულ ლურსმულ დამწერლობებშია. შესაძლოა, ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის წაკლებობა იმითაც იყოს განპირობებული, რომ, როგორც ვარაუდობენ, იეროგლიფურ-ლუვიური დამწერლობით შესრულებული დოკუმენტები ხესე

ფუნჯითა და შავი საღებავით იწერებოდა და ამ მიზეზით საუკუნეებს ვერ გაუძლო.

ეკლუფლუში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ტყეიის ფირფიტებზე, როგორც უკვე აღენიშნეთ, მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელები ადასტურდება. 1-დან 9-მდე აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ევრტიკალური ხასებითაა გადმოცემული, ათეულები – პორიზონტალური ხასებით. რაც შეეხება ასეულებს, რომელსაც ფირფიტებზე მრავალჯის ვხვდებით, მათ ცეცხლსაჩხრეკი ფორმის ფიგურები განასახიერებს. ევროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების გადმოცემისას, ამ დამწერლობისათვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებასაც ვადასტურებთ. ასზე მეტი მრგვალი რიცხვები ასის აღმნიშვნელი ევროგლიფის განმეორებით ხორციელდება (200, 300, 400), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის ავტორს ესაჭიროება ისეთი რაოდენობრივი რიცხვის წარმოსენა, როგორცაა 141, 232 და ა. შ. იგი ასეულის აღმნიშვნელ ფიგურას ქვემოთ ჯერ ათეულების (პორიზონტალურ) და ბოლოს ერთეულების (ევრტიკალურ) ხასებს უმატებს. იგივე შეორდება ისეთი რიცხვითი სახელების დაწერილობისას, როგორცაა: 15, 32, 68...

ევროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების ფონეტიკური ამოკითხვა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, გამოაკლისს ოთხისა და ცხრის (mi, nu) აღმნიშვნელი ლუვიური ევროგლიფები წარმოადგენს. ხეთური და ლუვიური ლურსმულის. A და B დიკოურის მსგავსად 4-ისა და 9-ის აღმნიშვნელი ფონეტიკური წაკითხვა აკროფონულ პრინციპზეა დამყარებული.

ევროგლიფურ-ლუვიური რიცხვითი სახელების ისტორიის რეკონსტრუქცია, მასალის სიმწირის მიუხედავად, კიდევ ერთხელ გვინიშნებს, რომ ლუვიური ევროგლიფების სემანტიკური კოდების შესწავლა პერსპექტიულიცაა და აუცილებელიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ხასარაძე, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 2009.
2. ნ. ხასარაძე, ლუვიური ევროგლიფების სამყაროში თბილისი, 2006.
3. ნ. ბახსოლიანი, ტყეიის ფირფიტები ეკლუფლუდან. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისი, 2008.
4. Laroche E., Les Hieroglyphes Hittites, Paris, 1960.
5. Языки Азии и Африки, I, Москва, 1976.
6. Meriggi P., Manuale Di Eteo Geroglifico, Parte I: Grammatica, Roma, 1966.
7. ჯ. შარაშენიძე, შუმერული ენის გრამატიკა, თბილისი, 2005.
8. ი. ტატიშვილი, აქადური ენა, თბილისი, 2009.

თამარ ხოხობაშვილი

საქართველოში თერმა-აბანოთა ისტორიის შესწავლისათვის

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება პირადი და საზოგადო პიგიენისადმი დამოკიდებულება (პიგიენა: ბერძ. hygieinos – ჯანმრთელი, ჯანსაღი – მეცნიერება, რომელიც სწავლობს გარემოს ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და ამუშავებს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს;

ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა [15]). ადამიანის მიერ საკუთარი ჰიგიენის – ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ყოველთვის, არსებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი იყო. ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნებს ემსახურება აბანო – "სახლი დასაბანელი" [19] – ტანის დასაბანად საგანგებოდ მოწყობილი შენობა, რომელშიც მთელი პროცესები ცივი, თბილ-ცხელი წყლების, ცხელი პაერისა და ორთქლის გამოყენებით ხორციელდება. აბანოები ცივილიზაციათა ადრეული ხანებიდან ჩნდება და ადამიანთა შორის ურთიერთობათა (კომუნიკაციის) მნიშვნელოვან ელემენტებსაც შეიცავდა.

თავდაპირველი აბანოები საცხოვრებელი შენობის ნაწილს წარმოადგენდა, სოგ შემოხვევაში კი სპეციალურად გამოყოფილ სათავსოსაც. ყოველივე ეს კარგად დასტურდება ეგვიპტურ, ძველ ებრაულ, ინდურ, ბერძნულსა და რომაულ წყაროებში. ეგვიპტურ ტაძრებში, მაგ. მემფისის ტაძარში მომსწველთათვის განსაკუთრებული სათავსო-აბანოები იყო შექმნილი, რომელთათვისაც წყლის დიდი რაოდენობა გამოიყოფებოდა. მოსეს საკანონმდებლო წიგნებში აღნიშნულია არაერთი მინიშნება განბანვასთან დაკავშირებით. აბანოები არაბეთისა და აღმოსავლეთის ხალხებისათვის იმდენად ახლობელი გახდა, რომ იგი მათ რიტუალების განუყოფელ ნაწილადაც გადაიქცა.

კრეტასა და მიკენზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენეს, რომ აბანოები იქ პომპეოსის პერიოდამდეც არსებობდა. პომპეოსის "ილიადაში" აღწერილია აქილევსის მიერ პატროკლეს დატირებისას სპილენძის დიდ ქებაში განბანვისათვის საჭირო წყლის ადულების პროცესი (ილიადა "XXVIII, 24-4). ოდისეუსი რამდენჯერმე აღწერს მეგობრულად დამხედურ ხალხთან საკუთარი ბანაობის პროცესსაც.

პირველი ფასიანი საზოგადოებრივი აბანოები სპარტაში შეიქმნა. სადაც ცივი წყლის აუზებთან ერთად გასახდელუები და ორთქლის სათავსოებიც იყო გამართული. შემდგომში, მსგავსი დანიშნულების ნაგებობები მთელ საბერძნეთში გაერცვლდა, შეინარჩუნეს რა წარმოშობის ადგილის სახელწოდება "ლაკონიკონი" აბანოთა ეს ტიპი საბერძნეთში ძვ.წ. III ს. იქმნება, ხოლო რომში ძვ.წ. I ს-ის დასასრულიდან მკვიდრდება (ძვ.წ.19 წ-ს, იმპერატორ ავგუსტუსის დროს). ხოლო იმპერატორ კონსტანტინეს მეფობის პერიოდში რომში არანაკლებ 850 საზოგადოებრივი აბანო იყო და 15 ე.წ. თერმა (თერმა – ბერძ. Thermae, ლათ. Thermae - თბილი, ცხელი; ძველ რომში: საზოგადოებრივი აბანოები [15]), ყოველ მათგანს დიდ იმპერატორთა სახელები ჰქონდათ მინიჭებული: კარაკალასი, ტიტასი, ანდრიანესი, დიოკლეტიანესი და სხვ. ეს აბანოები გამოირჩეოდა სიდიდითა და მდიდრული მოწყობილობით. რომაელი ისტორიკოსები მათ ქალაქებს ადარებდნენ. აბანოთერმებში განთავსებული იყო ბიბლიოთეკები სამიოთხელო დარბაზებით, ოთახები საუბრებისათვის, მუდგები და ტერასები გიმნასტიკური ვარჯიშებისა და თამაშებისათვის. იატაკები დამშვენებული იყო მოზაიკით, კედლები კი ორნამენტებითა და ქანდაკებებით. შენობები და წყლები, საჭიროების შემთხვევებში, თბებოდნენ. დიოკლეტიანეს თერმა იმდენად დიდი იყო, რომ მათში 3 ათასი აბაზანა და 3 დიდი აუზი (ცურვისათვის) იყო მოწყობილი. თერმები ხანგძლივი დროის განმავლობაში (წლობით) შენდებოდნენ და მასში ათეული ათასი ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

საქართველოში აბანოები ძველთაგანვე სცოდნიათ. ზემოაღნიშნულს ხელს უწყობდა მრავალი ცივი, თბილი და ცხელი, მინერალური და სამკურნალო ბუნებრივი წყლების არსებობა. "კლასიკური"- "რომაული ტიპის" აბანოები საქართველოში ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეებიდან

ჩნდება. ამ დროს ქართლის (იბერიის) სამეფო განსაკუთრებით ძლიერდება. მიუხედავად ამისა იბერია-კოლხეთზე რომის კულტურის გავლენა აშკარაა. იგი მკვიდრდება ქვეყნის როგორც სამშენებლო და სამხედრო ხელოვნების, ისე მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებში. ამ გავლენის ნაწილს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე (იბერია, კოლხეთი) აბანო-თერმების აგებაც. თუ თავად რომში მათი მშენებლობები იწყება ძვ.წ. II-I სს., რომის იმპერიაში (მათ შორის საქართველოშიც) იგი ახ.წ. I საუკუნიდან ფართოდ ვრცელდება.

საქართველოს ტერიტორიაზე “რომაული აბანოები”, დღეისათვის, 18 პუნქტში 29 ერთეულია აღმოჩენილი. ესენია: I. მცხეთა, არმაზისხევი - I-III სს. საერისმთავრო რეზიდენციის აბანო [1;2]. 2.3.4. მცხეთა, ბაგინეთი - I-III სს. სამეფო რეზიდენციის აბანოები [3;13;22]. 5.6. ძალისა - I-III სს. სამეფო ან საერისმთავრო რეზიდენციის აბანო-თერმა [4]. 7. ურბნისი - II-IV სს. [6]. 8. ვარციხე - IV-VI სს. [23;25].

9. პატრიკეთი - IV-VI სს. [23]. 10.11. ქუთაისი - IV-VIII სს. [11]. 12.13. ნოქალაქეი (არქეოპოლისი, ციხეგოჯი) - სამეფო აბანო IV-V სს.; სამოქალაქო აბანო V-VI სს. [14]. 14. ნოსირი - IV-V სს. [7]. 15. ბეთლემი - IV-VI სს.[7]. 16. ნოჯიხევი - IV-VI სს.[7]. 17. მარტელი - IV-VI სს. [7]. 18.19. ბიჭვინტა - II-III სს. აბანო-თერმა [12]. 20. შუხუთი - IV-VI სს.[26]. 21. ომფარეთი - IV-VII სს.[18;19]. 22.23. ხორეთ-მოედანი - IV-VI სს.[17]. 24. ოსურგეთი - IV-VI სს. [24]. 25.26.27. ციხისძირი - IV-VI სს. №1 აბანო (IV ს.) სასოგადოებრივი დანიშნულებისაა [8;9;10]. 28.29. გონიო - I IV სს. ციხის აბანოები [5;8].

ე.წ. “რომაული აბანოები” საკმაოდ რთული კონსტრუქციის ნაგებობებს წარმოადგენდნენ. მათი აგება შრომატევად და ძვირადღირებულ სამუშაოებს მოითხოვდა. მსგავს ნაგებობებში ყოფნით “სიამოვნების მიღება”, ძირითადად, სოციალურად გამორჩეულ პირთათვის იქნებოდა შესაძლებელი. რაც შეეხება დაბალ სოციალურ პირთა საყოფაცხოვრებო - ჰიგიენურ პირობებს, საქართველოში არსებული შედარებით რბილი კლიმატისა და ჰიდრორესურსების მრავალფეროვნება-მრავლობის გამო, განსაკუთრებულ “გასაჭირს” არ უნდა განიცდიდნენ - მარტივი, თბილი და სამკურნალო “აბანოები” ეთნოგრაფიაში, დღეისათვისაც, ფართოდ არის გამოყენებული. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ნათელ რწმუნებად შეიძლება მივიჩნიოთ თბილისის საქვეყნოდ ცნობილი აბანოები, რომელთაც სახელი გაეთქვათ ცხელი მინერალური (გოგირდოვანი) წყლების მეშვეობით. არსებული ლეგენდა, ამ წყლების აღმოჩენასა და თბილისის დაარსებას მეფე ეახტანგ გორგასალს უკავშირებს.


ცხელი გოგირდოვანი წყაროების გარშემოა თავმოყრილი დღეისათვის ცნობილი ისტორიული აბანოებიც, რომელნიც მდ. წაუკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და მთელი უბანი ეკავა, რის გამოც მას “აბანოთუბანი” შეერქვა [21]. არაბი გეოგრაფი იბნ ჰალკალი გადმოგვცემს: “ქალაქში არის ტიპერიადის აბანოების მსგავსი აბანოები, რომელთა წყალიც უცეცხლოდ ცხელი შეუქმნია მაღალ ღმერთს”. შუა საუკუნეებში და მომდევნო ხანაშიც, თითქმის ყველა მოგზაური, პოეტი თუ მეცნიერი გაცემული რჩეობდა თბილისის აბანოებით და ხოტბას ასხამდა მათ.

თბილისის აბანოების შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ ირანელ ისტორიკოსს ალ-ყაზინს (XII ს.), არაბ მეცნიერს იაკუთს (XIII ს.), ირანელ ისტორიკოსს ისკანდერ მუნშის (XVII ს.), ფრანგი მოგზაურებს ჟ.შარდენს (XVII ს.), გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურებს ჟ.შარდენსა (XVII ს.) და








უტურნფფორდს (XVIII ს.), გერმანულ მეცნიერსა და მოგზაურს იგიულდენშტედტს (XVIII ს.) და სხვ.

ძველი თბილისის აბანოები ეკუთვნოდათ მეფე ერეკლეს, თბილისელებს, ქართველ ფეოდალებს - ორბელიანებს, მელიქიშვილებს და თბილისის მოქალაქეებს. თითოეულ აბანოს თავისი მფლობელის სახელი ერქვა. ამიტომ XVII-XIX სს-ში თბილისში ცნობილი აბანოები ორბელიანების, ("ჭრელი აბანო"), ერეკლეს, მეითარის, ბებუთას, გოგილოს, მეჯუდას, ბატონიშვილის, ბებუთაშვილების ("დიდი" და "პატარა") და სხვ. სახელწოდებებითაა ცნობილი.





საქართველოს ტერიტორიაზე "რომაულ" აბანოთა არც თუ ისე ცოტა რაოდენობით (29) აღმოჩენა და მოგვიანოდ, "თბილისური" აბანოების სიმრავლე, როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე მოსახლეობის ჰიგიენური კულტურის მაღალი დონის მანყენებელი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას სრულიად ესადაგება და მხარს უჭერს როგორც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების დროინდელი, ისე მომდევნო დროის საქართველოს ისტორიის ავტენტიანი მონაცემებიც.







раздел



გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა, I. თბ.,1995.
2. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I. თბ., 1963.
3. აფაქიძე ა.,ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ. არქეოლოგიური გათხრები არმაზ(ციხესე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესიის ანგარიშები. თბ., 1999. ტაბ. III-VII.
4. ბოხონაძე ა. არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძაღისში. თბ.,1981.
5. გრძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დასვერვები გონიო-აფსაროსში. სდსპ, I. თბ.,1964.
6. ზაქარაია პ. ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ., 1965.
7. იაშვილი მ., ზაქარაია პ. ნოსირის აბანო. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III. თბ.,1993.
8. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სდსპ, III. თბ.,1973.
9. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები. თბ.,1993.
10. ინაიშვილი ნ. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. სდსპ, 18. თბ., 1998.
11. ლანჩავა ო. ქუთაისი ფრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს). ქუთაისი, 1996.
12. ნიკოლაიშვილი ე. ბიჭვინტის ნაქალაქარის XIX ნაკვეთსე 1967-77 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. დიდი პიტიუნტი, I. თბ., 1975.
13. ნიკოლაიშვილი ე. გიუნაშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები არმაზ(ციხესე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესიის მოკლე შინაარსები. თბ., 1998.
14. ნოქალაქევი-ციხეგოჯი-არქეოპოლისი, I. თბ.,1981.
15. ოდიშელი მ. შუხუთის აბანოს მოზაიკა. გურია, II. თბ., 1997.
16. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ., 1989.
17. სადრაძე ვ., ძნელაძე მ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში. 1991-1994 წწ. გურია, I. თბ.,1996. გე. 31-32. ტაბ. XX, XXI.
18. სადრაძე ვ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში 1997 წ. გურია, III. თბ.,2001 გე.20-21., ტაბ. V.
19. სადრაძე ვ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია 1998 წელს. გურია, III. თბ.,2001. გე.27-28. ტაბ.V.
20. ორბელიანი სულხან-საბა. სიტყვის კონა ქართული რომელ არს ლექსიკონი. თბ., 1949.
21. თბილისი, ენციკლოპედია. თბ., 2002.
22. ყიფიანი გ. არმაზ(ციხისის № 3 აბანოს არქიტექტურა და სამშენებლო საქმე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის II სამეცნიერო სესიის მოკლე შინაარსები. თბ., 1998.
23. ჯაფარიძე ე. ვერისის ა.წ. I-VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები თბ., 2006. ; ეარციხის ნაქალაქარი. თბ., 1989.
24. ხოშტარია ნ., თავაძე გ. ძველ აბანოთა ნაშთები ქ. მახარაძეში. გაზ. "ლენინის დროშა", 1957. 24 ნომბერი.
25. Джапаридзе В., Берадзе Т., Джикия Л. Об археологических разведках и раскопках в зоне строительства Варцхских гес. ПАИ в 1976. Тб.,1979.
26. Закарая П.П., Левинидзе В.Л. Шухутская баня. Византийский Временник, XXVIII, М.,1968.

*Тамар Хохобашвили*

*Так называемые «римские бани» представляли собой сооружения довольно сложной конструкции. Их строительство было трудоемким делом, требовавшим больших материальных затрат, поскольку получить удовольствие в подобных заведениях могли позволить себе преимущественно представители знатных сословий. Что касается*

*бытовых и гигиенических условий для низших социальных слоев, то благодаря сравнительно мягкому климату и многочисленным гидроресурсам Грузии в этом плане и они вряд ли испытывали недостаток. Примитивные, теплые и лечебные «бани» по сей день широко распространены в грузинской этнографической действительности. Особо следует отметить знаменитые тбилисские бани, снискавшие мировую славу благодаря горячим минеральным (серным) источникам.*

The so-called "Roman Baths" were rather complicated structural buildings. Their construction demanded very tiresome and expensive works. "Taking pleasure" in these luxurious buildings could be the opportunity of socially outstanding people. As to life and hygienic conditions of lower social stratum, it could not be for them a question of "great trouble" thanks to relatively mild climate and abundance and variety of natural hydro resources in Georgia. Simple, warm and medical "baths" is widely used even in to-day's ethnography. As the real evidence of this consideration, can serve the well-known Tbilisi baths, that became famous for their hot, mineral (sulfurous) waters.

გიორგი ჩიკოიძე  
სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის  
სისტემების ინსტიტუტი

## ჩანაცვლების ლექსიკური პარამეტრები ქართულში

1. ლექსიკური ჩანაცვლებები ლექსიკური პარამეტრების ერთ-ერთ სახეობას (Мельчук 1974) წარმოადგენს. ლექსიკური ჩანაცვლებები ენის ერთ-ერთი ძირითადი თვისებების – სინონიმის ლექსიკურ საფუძველს წარმოადგენს. სინონიმია კი ენის სწორედ ის ფუნდამენტური თვისებაა, რომლის წკალობით ერთი და იგივე ასრის სხვადასხვა ფორმით გამოხატვა შეიძლება. ფაქტობრივად, სწორედ სინონიმის არსებობა განაპირობებს დახვეწილად და მაღალ დონეზე გამოთქმას ენა ისეთ დარგებში, როგორცაა ორატორული ხელოვნება, ლიტერატურა, პროზა, განსაკუთრებით კი – პოეზია.

ასეთი უმაღლესი დონის გამოყენებითი მხარის გარდა. სინონიმის საკმაოდ დიდი თეორიული მნიშვნელობაც ენიჭება. მაგალითად, მოსკოვის ლინგვისტიკური სკოლის რიგ გამოჩენილ წარმომადგენელს (ი. მელჩუკი, ა. ულკოვსკი) მიაჩნია, რომ ტექსტის/მეტყველების ყოველი გამონათქვამის/ფრაზის შინაარსი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც მისი სინონიმური გამონათქვამების/ფრაზების სრული სიმრავლის საერთო მახასიათებელი.

კომპიუტერული ლინგვისტიკის თეორია, რომლის საფუძველს ენის მოდელირება წარმოადგენს, სინონიმის მოყვანას ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს. უკვე ამ თეორიის პირველწეაროს (И. Мельчук «Опыт теории моделей «Смысл ↔ Текст»», 1974) ფარგლებში სინონიმია დიდ როლს ასრულებს: ნ. ჩომსკის გენერაციული სისტემისაგან განსხვავებით, ფუნქციონირების სინთეზური მიმართულების გამოსავალს წარმოადგენს მხოლოდ სინონიმურ წინადადებათა სიმრავლე, რომელთა აზრი უნდა იმეორებდეს საწყისი სემანტიკური ჩანაწერის შინაარსს (შესავალს).

სინონიმური ტრანსფორმაციები, რომელთა საშუალებითაც წარმოიშობა სიმრავლე, უკვე წარმოქმნილი (საწყისი) წინადადებების წყურების და შემადგენელი ნაწილების ჩანაცვლებას და გადაადგილებას აწარმოებს. ეს უკანასკნელი, ანუ გადაადგილებები, შეზღუდულია გრამატიკული წესებით, რომ-

ლებიც ქართულ ენაში (ინგლისურისაგან განსხვავებით) არც ისე მკაცრი ხასიათისაა. რაც შეეხება ჩანაცვლებებს, მათ: საწყის და ძირითად (თუმცა არაერთადერთ) კომპონენტს სწორედ ცალკეულობითეები, ანუ, ლექსიკური ჩანაცვლებები წარმოადგენს. ეს გარემოება ახსახა შემოსხენებულ თეორიაში (ი. მელნიკი), სადაც მოცემულია ლექსიკური პარამეტრების ცნება და ჩამონათვალი, რომელიც ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ლექსიკურ ჩანაცვლებებად და ლექსიკურ ფუნქციებად. პარამეტრების პირველი ჯგუფი (ჩანაცვლებები) თავად ლექსიკური სინონიმების გარდა (რომლებიც აგრეთვე ლექსიკურ ფუნქციებშიც გვხვდება) მოიცავს აგრეთვე კონვერსიებს (Conv) და დერივატებსაც (Der). ავტორის თანახმად, პარამეტრები სალექსიკონო ინფორმაციაში უნდა იყოს ჩართული და ერთადერთ ეველასე მნიშვნელოვან, საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სინონიმური წინადადებების. სიმრავლის წარმოსაქმნელად.

სინონიმური მწკრივის ერთ-ერთ ელემენტს უშუალოდ ბირთვის ამსახველი მნიშვნელობა გააჩნია, ან მკიდროდ უკავშირდება მას. სინონიმური მწკრივების წევრებს, მათი შინაარსის მხოლოდ ნაწილობრივი თანხვედრა/გადაკვეთის გამო "ეკასისინონიმები" ეწოდებათ.

ბუნებრივ ენას მკაცრად იდენტური სემანტიკის მქონე, ანუ ერთმანეთის აბსოლუტურად იდენტური სინონიმური შინაარსის ლექსიკური ერთეულები ხაერთოდ არ გააჩნია. თუმცა სოგიერთი გამოჩაკლისიც არსებობს - მაგ. ლინგვისტიკაჟენათმეცნიერება. მაგრამ ამ კერძო შემთხვევაში გამოჩაკლისები, როგორც ჩანს, საკმარის მცირე უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, ანალოგიური ეკასისინონიმია უნდა ახასიათებდეს გამოჩაკეპათა სიმრავლეებს, რომლებსაც შემოთ უბრალოდ "სინონიმურებს" ეწოდებდით. მაგრამ რომელთა ურთიერთმიმართება დიდადაა განპირობებული სწორედ ლექსიკური ეკასისინონიმების ურთიერთჩანაცვლებებით.

შეიძლება ითქვას, რომ ენა სინონიმის სფეროშიც იქცევა, როგორც "გონიერი", დახვეწილი და "ეკონომიური" ინტელექტუალური სისტემა: გაურბის "უდმეტ" ლექსიკურ ხარჯებს ("ორი სათაური რა საჭიროა?"), მაგრამ მაინც გვაძლევს შესაძლებლობას ავსახოთ ერთი და იგივე სიტუაცია, პროცესი, მდგომარეობა, ობიექტი სხვადასხვა კუთხით, განსაზღვრული ლოგიკური აქცენტით, სხვადასხვა ემოციური ნიუანსით ისე, რომ განსხვავებულ გამოჩაკეპებს არ დაუკარგოთ აშკარა კავშირი იმ პირველად მოველნათან, რომლის შინაარსის ძირითად საფუძველს, მისი ბირთვი წარმოადგენს.

2. ლექსიკური პარამეტრების თეორია (Мельчук 1974) ლექსიკური ჩანაცვლებების სამ სახეს გვთავაზობს: ლექსიკურ სინონიმებს (Syn), კონვერსიებს (Conv) და დერივატებს (Der). ლექსიკური ჩანაცვლებები აუცილებლად უნდა იყოს ასახული ლექსიკონში, თუკი გესურს, რომ სინონიმური გამოჩაკეპების გენერატორისთვის ისინი გამოჩადეგი იყოს. გენერატორი, თავის მხრივ, ენობრივი მოდელის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს. სახელდობრ, ენის ცოდნას უნდა ასახავდეს, რომლის საფუძველზე ხდება ენობრივი მოდელის ფუნქციონირების ორივე მიმართულებას - სინთეს/ანალიზის - რეალიზაცია.

ქვემოთ მოგვყავს ამ სამივე პარამეტრის განსაზღვრებები და მაგალითები.

2.1 ლექსიკური სინონიმის განსაზღვრა გულისხმობს სიტყვების ისეთი წყვილების არსებობას, რომლებიც ნებისმიერ კონტექსტში ერთმანეთს ისეთნაირად ენაცვლებიან, რომ გამოჩაკეპამის შინაარსი უცვლილ რჩება. ასეთი წყვილები, ერთი მხრივ, გამოჩაკეპამის სინონიმური ტრანსფორმაციის ყველაზე მარტივ და ცალსახა საშუალებას იძლევიან, მაგრამ, მეორე მხრივ,

ზოგადი თვალსაზრისით ენისთვის სუბმეტ “ტვირთს” წარმოადგენენ. სწორედ ამ ბოლო გარემოების გამო ენა, როგორც, წესი, გაურბის ასეთ აბსოლუტურ ლექსიკურ სინონიმობას და უპირატესობას ანიჭებს ე.წ. სინონიმურ მწკრივებს, ანუ სიტყვით სიმრავლებებს, რომლებიც ურთიერთკვაზისინონიმური ერთეულებისაგან შედგებიან. ასეთ კვაზისინონიმურ ერთეულებს სემანტიკის მიწვევლოვანი საერთო ბირთვი გააჩნია, მაგრამ ამავე დროს გარკვეული განმსაზღვრელი ნიშნებიც აქვს. ლექსიკონში ამ სინონიმური მწკრივების აღნიშვნაც ალბათ სასურველია: ენობრივი მთავლის ფარგლებში ისინი უზრუნველყოფენ ლექსიკური მარაგის იერარქიულ სტრუქტურირებას და ამგვარად ამარტივებენ საჭირო ლექსიკური ერთეულის არჩევას. მაგრამ რაც შეეხება სინონიმურ ჩანაცვლებას, ე.ი. ისეთ ჩანაცვლებას, რომელიც გამონათქვამის შინაარსს უცვლელს ტოვებს, კვაზი-სინონიმები ამ ამოცანას უმეტეს შემთხვევაში, ვერ წყვეტენ. ასე, მაგალითად, ერთი და იმავე მწკრივის ერთეულები “სახახლე”, “ქობი”, “ფაცხა” აშკარად ვერ შეცვლიან ერთმანეთს ვერაფრით ნორმალურ ტექსტში. ამ მიზნისთვის ზოგ შემთხვევაში გამოსადეგი შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე “ნეიტრალური” მნიშვნელობის მქონე ერთეული (“სახლი”, “შენობა”), თუკი მოცემულ მწკრივს ასეთი გააჩნია.

სინონიმური ტრანსფორმაციების ამოცანის თვალსაზრისით სინონიმური მწკრივების ასეთი გამოყენების ნაკლი ისაა, რომ “ნეიტრალური” სემანტიკის მქონე წევრები სხვადასხვა მწკრივებში დანარჩენი წევრებისაგან სხვადასხვა ნიშნებით შეიძლება განსხვავდებოდნენ: მაგალითად, შევადაროთ შემთხვევით მოყვანილი “სახლი, შენობის” მწკრივი “სიარულის” მწკრივთან: მოდის, მორბის, მობარბაცებს, მოკუნტრუშებს, მოჯლიტინებს და ა.შ. აშკარაა, რომ “სიარულის” და, ვთქვათ, “კუნტრუშის” სემანტიკური განსხვავება იდენტური არ არის “სახლის” და “ქობის”/“ფაცხის” განსხვავების, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ მწკრივთან აღნიშნული უნდა იყოს ის თვისებებიც, რომლებიც ყოველ მის წევრს “ნეიტრალური” ასრის მატარებულისაგან განსხვავებს ( Апресян ,1997).

უფრო ადვილად მოსაგვარებელი ჩანს შემთხვევები, როცა რიც ლექსიკურ წყვილებს ერთი და იგივე ნიშანი განასხვავებს. ასეთია, მაგალითად, ქართულში წყვილები, რომელთა წევრები უპირისპირდებიან ერთმანეთს “სრდილობის”, “დელიკატურობის” დონის ნიშნით: მაგალითად: მოუიღა-მობრძანდა, დაჯდა-დაბრძანდა, შეჯამა-მიირთვა, თქმა-ბრძანება, ხი-ლიახ, იყიდა-შეიძინა და ა.შ. თუკი ამგვარად დაპირისპირებულ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, მისანშეწინდია მისი ასახვა სათანადო ლექსიკური ფუნქციის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სტილისტურად გამართლებული ვარიანტის არჩევას და სათანადო კონტექსტში გამოყენებას.

რაც შეეხება აბსოლუტურ სინონიმობას, რომელიც ნებისმიერ კონტექსტში ურთიერთშეცვლადობის შესაძლებლობას იძლევა, მისი ნიმუშები, პირველ რიგში, ისეთ წყვილებში გვხვდება, რომელთა ერთ-ერთი წევრი ნახესხებია სხვა ენიდან: ვისიტე-სტუმრობა, პრესენტო-საჩუქარი, ბანკეტი-ქიფი, ტოსტი - სადღევრძელო, იუბილე - წლისთავი, პროსპექტი - გამზირი, არმატი - სურნელება, ნოველა - მოთხრობა, ლეგენდა - ზღაპარი და ა.შ. თუმცა, ზოგჯერ ამ წყვილთა წევრების ურთიერთშეცვლადობაც საორგო-ფო (ასე მაგალითად, თანამედროვე მწერლის მიერ შექმნილი ზღაპარი ალბათ დღევანდელით “ლეგენდად” ვერ ჩაითვლება).

ლექსიკური სინონიმობის ექვლავი საიმედო საფუძველს იძლევა ანალო-გური წყვილები ტერმინოლოგიური სფეროდან: ინტერვალი - მონაკვეთი, კვადრატი/რომბი - (თანაბარგვერდიანი) ოთკუთხედი, ობიექტი - საგანი, სუბი-

ექტი - ინდივიდი-პირი, ფინანსები - ფული, დისკაუნტი - ჩამოფასება, ვოტუმი - ხმის მიცემა (არჩევნები, კენჭისყრა);

აგრეთვე სამედიცინო ტერმინები:

ტუბერკულოზი - ტუბერკულოზი, სკარლათინა - ქუნთრუში, პარალიზი - დამბლა, ტრავმა - ჭრილობა, სიფილიზი - ათაშანგი, პნევმონია - ფილტვების ანთება, ოფთალმოლოგი - თვალის ექიმი, ინვალიდი - ხეიბარი,

ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლებადობა ცალხმრეივია, წყვილის ერთ-ერთი წევრი ყველგან ენაცვლება მეორეს, მაგრამ საპირისპირო ჩანაცვლება შესაძლებელია:

მატჩი → შეხვედრა, მოციონი/ტერენკური → გასეირნება. "მატჩი" ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს "შეხვედრით", მაგრამ "შეხვედრა" (მეგობართან, საყვარელთან) "მატჩით" აშკარად ვერ შეიცვლება. ანალოგიურ სიტუაციაში, მითუმეტეს თუ ორივე ჯანმრთელია, წყვილის "სეირნობას" ვერ დაეძგნება ვერც "ტერენკური" და ვერც "მოციონი". ეს კერძო მიმართებები ისევე მოგვაგონებს ლექსიკურ ფუნქციებს, ამ შემთხვევაში "სოგადობის" (Gener) ფუნქცია:

Gener (მატჩი) = შეხვედრა, Gener (მოციონი) = სეირნობა

იშვიათობის და არასრული სემანტიკური იდენტურობის მიუხედავად დიდ ინტერესს წარმოადგენს (კვაზი-)სინონიმები, რომელთა ორივე მხარე ქართული წარმოშობისაა:

გვიამბო - მოგეყვია - მოგეითხრო, გეასმევეს - გეაღვივებს, დაგეყვია - პარაკა - გაგვესაუბრა, დარწმუნდა - ირწმუნა, სჯედა - სწამს, იყიდა - შეიძინა, აუხსნა - განუმარტა, ბრუნაეს - ტრიალებს.

ბოლო ნიმუშები იმის საჩვენებლად შეიძლება გამოიყენოთ, რომ მცირე განმასხვავებელი ნიუანსიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ზოგ კონტექსტში ურთიერთჩანაცვლებადობა შეუძლებელი გახდეს. კერძოდ, უკანასკნელი წყვილის შემთხვევაში ორივე ზმნა ერთსა და იმავე სიერცობრივ მოძრაობას გამოხატავს (ბრუნავს/ტრიალს). მაგრამ "ბრუნვის" შემთხვევაში ეს მოძრაობა გამოიყურება როგორც უფრო "რეგულარული", "მოწესრიგებული". ეს საერთო სემანტიკური ბირთვი საკმარისია იმისთვის, რომ ამ წყვილის წევრების ურთიერთჩანაცვლებამ არ დაარღვიოს ისეთი სიერცობრივი კონტექსტების სინონიმია, როგორცაა, მაგალითად:

ტრიალებს/ბრუნავს ბორბალი/ჩიკორი/დედამიწა თავისი ღერძის გარშემო;

მაგრამ ზოგ გადატანით კონტექსტში "ბრუნავს" ვერ ცვლის "ტრიალებს" ზმნას:

ამ საქმის/პიროვნების გარშემო ტრიალებს უამრავი თანდღვრით/სიბინძურე/ უჭვები/...;

თუმცა ზოგი სხვა გადატანითი (ამაღლებული, პოეტოზირებული) კონტექსტის ფარგლებში სწორედ "ბრუნვა" ზმნის ხმარება ხდება უფრო გამართლებული:

და ისე ბრუნავს ამ მსუთუნახავის გარშემო მისი გულწრფელი თავგანისცემლების მორჩილი გუნდი

ლექსიკონში ყველა ასეთი კონტექსტის აღნიშვნა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ერთადერთი, რაც შესაძლებელია სალექსიკონო ერთეულის ფარგლებში ასეთი შემთხვევებისთვის, ესაა შემოთ ნახსენები ნიუანსის აღნიშვნა და იმის მითითება, რომ ამ წყვილის წევრები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს "ნეიტრალურ" კონტექსტში, თუმცა "უარყოფით" კონტექსტში, როგორც წესი, უფრო გამართლებული ჩანს "ტრიალებს" ერთეულის

ხმარება, და დადებით (მითუმეტეს “ამაღლებულ”, “პოეტიზირებულ”) კონტექსტში – “ბრუნავს” – ზმნის.

2.2 ჩანაცვლებების მეორე სახეს წარმოადგენს კონვერსივი (Conv). ამ მიმართებით დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა თვალსაზრისით ერთი და იგივე სიტუაციის ერთსა და იმავე ასპექტს ასახავენ. ამგვარად, ეს ჩანაცვლება გამონათქვამის შინაარსის ძირითად სემანტიკურ ბირთვს უცვლელს ტოვებს, მაგრამ ცვლის მის სინტაქსს, რასაც ზოგი პრაგმატიკული ცვლილებებიც (კერძოდ, შინაარსობრივი აქცენტის გადანაცვლება) შეიძლება მოჰყვეს.

თუკი სემანტიკური კომპონენტის ბირთვად იმ პროცესს მივიჩნევთ, რომელსაც ზმნური ლექსემა ასახავს, და მის უფრო ზედაპირულ ფენად პროცესის მონაწილეთა შორის სემანტიკური როლების განაწილებას (Fillmore 1977), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კონვერსია სწორედ ამ უკანასკნელზე ახდენს გავლენას, რის შედეგადაც დამატებითი სინტაქსური ცვლილებებიც ხდება. კერძოდ, ქართული კონვერსივების განხილვისას სუპერპარადიგმის ცნებას (Chikoidze 2007, Чикойдзе 2010.) და მასთან დაკავშირებულ როლებრივ-აქტანტური მიმართებების სქემას შეიძლება დავეყრდნოთ. ამ სქემის თანახმად, ქართული მარტივი წინადადების სტრუქტურა (Core) თავისი აქტანტებით ოთხ ძირითად სემანტიკურ როლს არჩევს: კაუზატორს (C), აგენსს (Ag), ობიექტს (O) და ადრესატს (Ad). სწორედ ამ სემანტიკური როლების გადანაწილება ახასიათებს, პირველ რიგში, ქართული ზმნების კონვერსიულ ურთიერთმიმართებას.

ქართულში (და ალბათ არა მარტო ქართულში) კონვერსიული მიმართება ყველაზე ხშირად თავს იმ ზმნებს შორის იჩენს, რომელთა შინაარსი ექვემდებარება ლოგიკურ სქემას (1):




(1)

ანუ, რომლის თანახმად პრედიკატი (P) გამოხატული პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ O-ობიექტი იგზავნება X პროცესის მონაწილისაგან მონაწილესთან (პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით): ეს სქემა (1) შეიძლება უფრო ნათელი გახდეს ნახაზი (2)-ის საშუალებით:




(2)

სადაც S (Source) O-ს ოძრაობის პირველწყაროს წარმოადგენს და T (Target) – მისი ტრანსფორმირების ბოლო პუნქტს, ანუ მიზანს. ეს წმინდა ლოგიკური სქემა უცვლელი რჩება Conv მიმართების ორივე წყვილისთვის, მაგრამ იცვლება მისი შემადგენელი ნაწილების ენობრივი და, კერძოდ, როლებრივი ინტერპრეტაცია, რასაც ასახავს სქემა (3):



აქ  $V_1$  და  $V_2$  ზმნები კონვერსიული მიმართულებების წევრებს წარმოადგენენ და  $Ag$  - ჩვეულებრივი აგენსის სემანტიკურ როლს, რომელიც ამ კერძო შემთხვევაში, როგორც წესი, სინტაქსურ დონეზე წარმოდგენილია, როგორც ქვემდებარე. რაც ეხება  $Ad$ ,  $Ad'$  წყვილს, მათი ურთიერთმიმართება გარკვეული განსოგადების შემოღებას მოითხოვს: სახელდობრ, ორივე ექვემდებარება  $AD(dress)$ , ანუ "მისამართის", როლს. კერძო შემთხვევა  $Ad$  გამოხატავს "ზისანის" (T) მისამართს, მეორე კი ( $Ad'$ ) - პირველწყაროს (S) მისამართს, თანაც ორივე შემთხვევაში "მისამართის" ქვეშ იგულისხმება ის ობიექტი, რომლიდანაც O მომრავლავს იწყებს ( $Ad'$ ) ან ამთავრებს ( $Ad$ ). სემანტიკური როლები O,  $Ad$ ,  $Ad'$  სინტაქსურ დონეზე უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებები; უკანასკნელი მათგანი ( $Ad'$ ) ხშირად ფორმდება გან-თანდებულობით ნათესაობითი ბრუნვით.

ნახაზი (3)-ის საიდენტრიკოვო ქვემოთ მოყვანილია კონვერსიული მიმართულების პირველი მაგალითის სქემატიზაცია:



ნახ. (4) კონვერსიული მიმართულების სქემატიზაციას ახდენს შემდეგ ზმნებს (და სათანადო გამონათქვამებს) შორის:

მე გაუქმდა წერილი მეგობარს.

და

მეგობარმა მიიღო წერილი სემგან.

რამოდენიმე დამატებითი მაგალითი:

- 1) სააბარა (მან (Ag), ის (O), მას (Ad))/საიბარა (მან (Ag), ის (O), მისგან (Ad'));
- 2) ასესხა (მან (Ag), ის (O), მას (Ad))/ისესხა (მან (Ag), ის (O), მისგან(Ad'));
- 3) ათხოვა (მან (Ag), ის (O), მას (Ad))/ითხოვა (მან (Ag), ის (O), მისგან(Ad'));
- 4) მიაწოდა (მან (Ag), ის (O), მას (Ad))/გამოართვა (მან (Ag), ის (O), მის(Ad'));



5) წინა მაგალითში შეიძლება პირველი ზმნა შეეცვალოს ზმნებით - „მისცა“, „მიატოვა“;

6) „მიიღო“ ზმნასთან კონვერსიულ მიმართებაში აგრეთვე არიან „ანუქა“, „მიატოვა“ ზმნებიც;

7) ჩა(უ/ი)დო/ამო(უ/ი)დო;

8) დააბრუნა/მიიღო;

9) მიჰყიდა/იყიდა;

10) მიათხოვა/ითხოვა;

რამდენიმე კომენტარი მაგალითების ამ მცირე სიასაც სჭირდება. ასე, მაგალითად, მე-4 პუნქტში

Conv(მოაწოდა)=გამოართვა

წყვილის შემთხვევაში Ad' როლი წარმოდგენილია არა მიმართებისთვის ჩვეული gen+გან (ნათესაობითი+გან), არამედ Ad როლისთვის რეგულარული მიცემითი ბრუნვის საშუალებით: გამოართვა (მანAg), ის (O), მას (Ad'). იგივე ითქმის მე-7 მაგალითის - „ამოუღო“ ზმნის შესახებ:


ამოუღო (ხურდა (Ag) ფული (O) მას (Ad') ჯიბიდან(?)).

მაგრამ ამ შემთხვევაში „პირველწეარო“ (S) ორ საფეხურს მოიცავს: პირველად (Ad') განსაზღვრულია S-ობიექტი მოდიანად (მას), მერე კი დაზუსტებულია ის კერძო ადგილი, საიდანაც Ag-მა („ქურდმა“) უშუალოდ ამოაცალა Ad'-ს (მას) O („ფული“). ეს მეორადი S-წეარო ალბათ შეიძლება Ad' ორ შტრიხიანი სიმბოლოთი აღვნიშნოთ.

გარკვეული თვალსაზრისით საპირისპირო სიტუაცია ახასიათებს მე-10 ნიმუშს, სადაც „მიათხოვა“ ზმნის კონვერსიის - „ითხოვა“ ხაერთოდ აკლია Ad' როლი:

ითხოვა (მან (Ag) ის (O)).

სამაგიეროდ, წინა (მე-9) მაგალითის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს არა Ad'-ის, არამედ O- როლის გამეორება: პეტრემ (Ag) წიგნი (O) იყიდა (V2) პავლესგან (Ad') თუშნადა (O'). (14) ნახაზების სქემებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორი ობიექტის ურთიერთსაპირისპირო მოძრაობასთან:



(5)

სადაც O-„საქონელია“ და O'-„ფული“, რომელიც ფარავს O-ს ღირებულებას.

ანალოგიური სქემა ასახავს „გაუცვალა“-ინვერსიების მიმართებასაც იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში V1 და V2 იდენტური ზმნებებია წარმოდგენილი:

Conv(გაუცვალა)=გაუცვალა,

რაც უფრო ნათლად ჩანს მაგალითიდან:

უფროსმა ძმამ (Ag) უმცროსს (Ad) კალამი (O') ფანქარში (O) გაუცვალა (V1)/უმცროსმა (Ag) უფროს ძმას (Ad') ფანქარი (O) კალამში (O) გაუცვალა (V2).

სინონიმურ ტრანსფორმაციებში კონვერსიული ჩანაცვლებების სწორად ჩასატარებლად ლექსიკონში ამ ტიპის ინფორმაცია აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი, ანუ (1-4) რეგულარული სქემის გვერდით თითოეულ გამონაკლისთან უნდა აღინიშნოს ის გადახრები რეგულარობიდან, რომლებიც მას ახასიათებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთკონვერსიულ ზმნათა წყვილებს რაოდენობა არც ისე დიდია. გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია იმ ჩანაცვლებათა შესაძლებლობები, რომლებსაც ერთ სუპერპარადიგმაში თაემოყრილ ზმნათა ერთობლიობა უზრუნველყოფს.

2.3 ლექსიკური ჩანაცვლებების კიდევ ერთ ტიპს წარმოადგენენ დერივატები (Der). ამ ერთეულების წარმოქმნა სიტყვაწარმოების ზონაში წარმოდგენილ ინფორმაციას ეყრდნობა, ასე რომ ლექსიკური პარამეტრების ზონას განეკუთვნება მხოლოდ მათი ხმარების როგორც ჩანაცვლებების შესაძლებლობა.

ლექსიკური ჩანაცვლების ფუნქციას ყველაზე ხშირად ზმნური დერივატები ასრულებენ, რომელთა ტიპურ და საკმაოდ გავრცელებულ მაგალითს მიმღობობი წარმოადგენენ.

ასე, მაგალითად, ზმნური ფორმის ნაცვლად კვაზისინონიმური ჩანაცვლების შესაძლებლობას იძლევა წარსული დროის სრული ასპექტის სოკი მიმღობა:

სახლი აშენდა/სახლი აშენებულია;

სახლი აშენდა/აშენებულია პავლეს მიერ ივანესთვის.

ანალოგიური ჩანაცვლებები შესაძლებელია სხვა ზმნების პასიურ ფორმებთან: გაკეთდა – გაკეთებულია, დაწერა დაწერილია, აყვავდა – აყვავებულია, ჩამოყალიბდა – ჩამოყალიბებულია და მრავალი სხვა.

ზმნის აქტიურ ფორმებს სინონიმურად ენაცვლება “მოქმედი პირის”, ანუ აგენსის, გამომხატველი მიმღობა:

პავლემ ააშენა სახლი/სახლის ამშენებელი პავლე/პავლე ივანეს(თვის) სახლის ამშენებელია.

მეორე შემთხვევაში “ადრესატთან” კონტექსტში ორმაგი ტრანსფორმაცია გახდა საჭირო: ადრესატის (Ad-ის) ფორმაც შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილება (ივანესთვის → ივანეს (სახლი)). იგივე ჩანაცვლება დასაშვებია სხვა ზმნების შემთხვევაშიც: გააკეთა/გაუკეთა – გამკეთებელი, დაწერა/დაუწერა – დამწერი, დახატა/დაუხატა – დამხატველი, იყიდა/უყიდა – მყიდველი, თქვა/უთხრა – მთქმელი, და მრ. სხვა.

ეს ჩანაცვლება ხშირ შემთხვევაში სტილისტურად უფრო ნეგატიურ კონტექსტს უხდება:

ამის გამკეთებელი/ჩამდენი/მთქმელი/დამღვევი/... მე არ ვარ.

ზმნური ფორმის ამავე ზმნის საწყისით სინონიმური შეცვლა გართულებულია იმით, რომ ასეთი ტრანსფორმაცია მოითხოვს დამატებითი “დამხმარე” ზმნის (Operi, Operz (Мельчук 1974)-ის თანახმად) არჩევას, ეს არჩევა კი, იმ შემთხვევაშიც, როცა საერთოდ შესაძლებელია, ხშირად იძლევა სტილისტურად გაუმართლებელ შედეგს. შედარებით უფრო ხშირია საწყისის სტილისტურად გამართლებული ჩანაცვლება სრული ასპექტის ფორმების მაგიერად:

ააშენა/შე(გა)აკეთა/დაწერა/დახატა/შეკერა/წაიკითხა/... →  
(დაასრულა/დაამთავრა) (ა)შენებ(ა)შე(გა)კეთებ(ა)ხატვ(ა)კერვ(ა)კითხვ(ა)/...

ეს ჩანაცვლება უფრო რთულდება აწმყოსა და უწყვეტელის ფორმების შემთხვევაში. ზოგ ზმნას მიანიც (ასე თუ ისე) უხდება “ასრულებს”, “აწარმოებს” ზმნების “დახმარება”:

მუშაობს/აშენებს/ხელმძღვანელობს/დარაჯობს/ზედამხედველობს/...

(ასრულებს/აწარმოებს)მუშაობს/აშენებს/ხელმძღვანელობს/დარაჯობს/ზედამხედველობს/...

პროცესის დაწყება, როგორც წესი, აღნიშნული ა- ზმნური პრეფიქსით თითქმის ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობით აბსოლუტურად იდენტური “დაიწყო” ზმნის მეშვეობით, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ამ ფუნქციას ასრულებს “შეუდგა” ზმნაც: ამუშავდა – შეუდგა მუშაობას.

ზოგ ზმნას გააჩნია სპეციფიკური დამხმარე ზმნები დერივაციული ჩანაცვლებისათვის:

გავიძარჯვეთ/დაეჯილდოვდით/გვაქვს/გვაღიარეს/...

მივალწიეთ გამარჯვებას/ჯილდოს/ქებას/აღიარებას/...

შეეცდო/ოუჩუხეშო/გააფუხიე (სწორი გზიდან)/...

დაეუშიე შეცდომა/უხეშობა/გადახვევა/...

დაემარცხდი/დაეზარალდი/წაევაკ/...

ეიწვინე დამარცხება/ზარალი/წაგება/...

აქ შეიძლება ისიც აღენიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი კომბინაციის ანალოგები რომელიმე ზმნურ ფორმას კი არ ჩანაცვლება, არამედ იმ ხარვეზებს აესებს, რომლებიც ამა თუ იმ ლექსემის პარადიგმებს გააჩნია. ასე, მაგალითად, “დაიწყო”, “შეუდგა” ზმნები საწყისთან კომბინაციაში გამოხატავენ პროცესის დაწყებას იმ ზმნური ლექსემებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი (ა-პრეფიქსიანი) პარადიგმა:

(დაიწყო/შეუდგა)

შრომა(ს)/წერა(ს)/კითხვა(ს)/სწავლა(ს)/ჭამა(ს)/მოყოლა(ს)/...

თუმცა ეს შემთხვევები უკვე ლექსიკური ფუნქციების სფეროდანაა: მაგალითად, უკანასკნელი ნიმუში განეკუთვნება Incep ფუნქციას, რომლის დანიშნულებაა სწორედ პროცესის დაწყების ამსახველი ერთეულების დადგენა ყოველი ლექსემისთვის.

**ლიტერატურა**

1. И. Мельчук 1974. Опыт теории лингвистических моделей “Смысл↔Текст” изд. “Наука”, Москва.
2. Апресян 1997, 2000. Новый объяснительный словарь синонимов русского языка (первое и второе издание) изд. «Языки русской культуры», Москва.
3. G. Chikoidze. The Marking of Verb-Actant Relations in Georgian. Proceedings of 6<sup>th</sup> International Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation. B.D. ten Cate, H.W. Zeevat (Eds), Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2007, p.p 85-96.
4. Чикоидзе. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Монография (в печ.).

*George Chikoidze*

*Lepl Archil Eliashvili Institute of Control Systems*

**Substitutional Lexical Parameters in the Georgian Language.**

**Parameters of Lexical Substitution in the Georgian Language**

Substitutional Lexical Parameters are important means for support of the fundamental property of natural language: the possibility to produce synonymous sentences. The paper demonstrates applicability of all three versions of lexical parameters (synonyms, conversives, derivatives) for the Georgian language.

Георгий Чикондзе.

Институт систем управления им. А.И. Элиашвили

### Лексические параметры замещения в грузинском языке

Лексические параметры замещения являются важным средством поддержки фундаментального свойства языка: возможности порождения синонимичных высказываний. Статья демонстрирует применимость всех трех вариантов этих параметров (синонимов, конверсивов, дериватов) для грузинского языка.

მ. შონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური არსების შესახებ

საკუანძო სიტყვები: ადამიანი; ადამიანის ბუხება; ადამიანის არსება; სოციალური კომუნიკაცია; ვერბალური კომუნიკაცია.

ადამიანი ურთულესი არსებაა ეველა არსებას შორის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ სწორედ იგი იკრებს თავისთავში ყოველივე არსის ელემენტებს. ადამიანი ხომ მიკროკოსმოსია. ანუ მცირე სოფელი.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უამრავი განსაზღვრება არსებობს იმისდა მიხედვით, თუ რა ასპექტით ხდება მისი განხილვა ამა თუ იმ შემთხვევაში. და მართლაც, ფილოსოფიურ აზროვნებაში ადამიანის არსების სრულიად სხვადასხვაგვარი წარმოდგენაა გაბატონებული.

ადამიანის შესახებ ფილოსოფიის ისტორიაში გამოთქმული განსაზღვრებანი, კერძოდ, ასეთია: ადამიანი გონიერი კაცია (Homo sapiens); ადამიანი მაშენებელი კაცია (Homo faber); ადამიანი მორალური კაცია (Homo moralis); ადამიანი პოლიტიკური კაცია (Homo politicus); ადამიანი ეკონომიკური კაცია (Homo economicus); ადამიანი რელიგიური კაცია (Homo religiosus); ადამიანი მოთამაშე კაცია (Homo ludens); ადამიანი სიმბოლკური კაცია (Homo symbolicus); ადამიანი მეტყველი კაცია (Homo loquens); და ა.შ.

ეველა ეს და ამგვარი განმარტება ადამიანისა Homo sapiens-ის, ანუ „გონიერი კაცის“ სახეობათა ექვ „აღტერნატიული“ სახელწოდებანია [8,1; 3,2] და ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთ თავში აირეკლავენ ადამიანის, როგორც გონიერი კაცის ამა თუ იმ მხარეს, მის ბუნებასა და არსებას.

ადამიანის ბუნება გულისხმობს მის სპეციფიკურ მხარეს, ხოლო ადამიანის არსება – ამ ბუნების ძირეულ მხარეს. სოფო მათგანი ამ მხრივ მეტ-ნაკლებად ფართოდ ან ღრმად არეკლავს ადამიანის ბუნებას მთლიანად და მის არსებას კერძოდ. უფრო სუსტად, ეველა ამგვარი განმარტება ეხება ადამიანის სწორედ არსებას, მის ამ ძირეულ მხარეს. ეველა ამ განსაზღვრებაში, რა თქმა უნდა, არის დატყერილი არსებითი მომენტები ადამიანის ცნებისა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ამოწურავს ადამიანის არსებას, ეინაიდან ყოველი ეს განსაზღვრება, თუმცა კი მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც არეკლავს მის მხოლოდ, ამა თუ იმ მხარეს. ადამიანი კი უფრო სრული არსებაა თავისი მოცულობით: ადამიანი ეს თავად მიკროკოსმოსი, ანუ მცირე სოფელია. და მართლაც, იგი, კერძოდ, მოიცავს დეჟაბერტიესაც, ანგელოსურსაც, საკუთრივ ადამიანურსაც, ცხოველურსაც, მცენარეულსაც,

მინერალურსაც. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ადამიანის არსების ჭეშულ სირთულეს.

მაშასადამე, ადამიანი უკვე თავისი არსებით ურთულესი არსებაა და, რა თქმა უნდა, მისი არსებაც მრავალგანსაზღვრებადია. ოღონდ სხვა საკითხია ის, თუ კერძოდ რომელი კუთხით იქნებოდა მისი განსაზღვრება უფრო მნიშვნელოვანი. ამ მხრივ კი არცერთი სხვა კერძო ასპექტით ადამიანის არსების განსაზღვრება იმდენად მნიშვნელოვანი არაა, როგორც მისი სწორედ ვერბალურ-კომუნიკაციური კუთხით დეფინიცია. და მართლაც, ადამიანი არანაკლებ ვერბალურ-კომუნიკაციური არსებაა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კუთხით არსება. ადამიანის სპეციფიკა არანაკლებ მისი ამ კუთხით გამოვლინდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა კუთხით. უფრო მეტიც, ეს ასპექტი ადამიანის არსებისა უფრო ფართე და უფრო ღრმაა მის სხვა ასპექტებთან შედარებით, ვინაიდან ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური ასპექტი მოიცავს ყველა, ზემოაღნიშნულ ასპექტს, მაგრამ არა პირუკუ. ასე, მაგალითად, ადამიანის პოლიტიკური თუ ეკონომიკური და ა.შ. ასპექტი არ მოიცავს სხვა ცალკეულ ასპექტებს. ყველა ეს ასპექტი კი გულისხმობს ვერბალურ-კომუნიკაციურ ასპექტს.

ასე რომ, ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური ასპექტი ჩვენ ზოგადადადამიანურ ასპექტად მიგვაჩნია, ხოლო სხვა ზემოთ აღნიშნული ასპექტები მის კერძოდადამიანურ ასპექტებად.

ადამიანის ვერბალურ-კომუნიკაციური არსების განსაზღვრება ლოგიკურია ორად გავეყოს და ჯერ მის კომუნიკაციურ ბუნებას შევეხოთ, შემდეგ კი უკვე – მის სწორედ ვერბალურ კუთხეს.

კომუნიკაციას უამრავი მნიშვნელობა აქვს [5,44]. უფართოესი გაგებით იგი საერთოდ კავშირს ნიშნავს. მაგრამ კომუნიკაციაც არის და კომუნიკაციაც. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ობიექტთა შორის კომუნიკაცია, ობიექტთა და სუბიექტთა შორის კომუნიკაცია და სუბიექტთა შორის კომუნიკაცია. გარდა ამისა, არსებობს სოციალური კომუნიკაციაც და არასოციალური კომუნიკაციაც. პირველი გულისხმობს საზოგადოებაში მიმდინარე კომუნიკაციას, მეორე კი – მის გარეთ მიმდინარე კომუნიკაციას.

სოციალური კომუნიკაცია ადამიანური ცხოვრების, საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი მომენტია, ვინაიდან საზოგადოება ხომ თავად ადამიანთა შორის ურთიერთკავშირი, მათი ურთიერთობაა. ასეთია, მართლაც, საზოგადოების ცნების განსაზღვრება.

ასე რომ, სოციალური კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობას გულისხმობს. ხოლო ამ ურთიერთობას უფრო მნიშვნელობა აქვს არა იმდენად საზოგადოებისათვის, რამდენადაც თავად ადამიანისათვის, ვინაიდან სწორედ ადამიანის საზოგადოების სუბიექტი. უფრო მეტიც, თავად საზოგადოება ადამიანის განუყოფელია. როგორცაა ადამიანი, ისეთივეა საზოგადოება (და პირიქითაც). თუ ადამიანი უკვე თავისი ამოსავალი ბუნებით არ იქნებოდა კომუნიკაციური არსება, მაშინ ამ ადამიანთა ერთობლიობაც კომუნიკაციური ბუნებისა ვერ იქნებოდა. თავად ადამიანი უკვე, თუ ასე შეიძლება ითქვას, მცირე საზოგადოება, ანუ მიკროსოციუმი, ისევე როგორც საზოგადოება – დიდი ადამიანი, ანუ მაკროსოციუმი. უფრო მეტიც, თავად ადამიანია დიდი საზოგადოება, ანუ მიკროსოციუმი, ხოლო საზოგადოება – მცირე ადამიანი, ანუ მიკროანთროპი. სწორედ ადამიანია საზოგადოების „საშენი აგური“, რომელი „აგურიც“ თითოეული მეტ-ნაკლებად აირეკლავს ყველა სხვა მათგანის ძირეულ ნიშან-თვისებებს, მიუხედავად მათ შორის ასევე ინდივიდუალური სხვაობისა. და რომ ეს ასეა, ამას ხაზგასმით

აღნიშნავს კარლ მარქსი თაქისი ცნობილი თეზისით: „...ადამიანის არსება როდია აბსტრაქტი, რაც დამახასიათებელია ცალკეული ინდივიდისათვის. თავის სინამდვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობა“ [4,3]. მარქსის ეს დებულება არის ამოსავალი ადამიანის შესახებ მოძღვრებისა, ვინაიდან იგი ზედმიწევნით სწვდება ადამიანის არსებას. ადამიანის არსება მისი ბუნების სწორედ ხომ უმთავრესი, უძირითადესი და ამდენად, უმნიშვნელოვანესი მხარეა.

კომუნიკაციის იმდენად დილა „აღმშენებლობით“ მისია ეკისრება ადამიანთა ცხოვრებაში, რომ მის გარეშე ერთი წუთითაც წარმოუდგენელი იქნებოდა მისი არა მხოლოდ განვითარება, არამედ არსებობაც.

ადამიანს ადამიანის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ეს არის მისი ცხოვრების წესი. სოციალური კომუნიკაცია ადამიანური ცხოვრების წესი, მისი ატრიბუტია. სწორედ ამიტომაც ნათქვამი „კაცია კაცითაო“, უფრო მეტიც,

„კაცია კაცის წამალიაო“. რაც უფრო ღრმად კაცთა შორის ურთიერთობანი და რაც უფრო ფართოა იგი, მით უფრო ღრმად და მით უფრო ფართო თავად საზოგადოების პროგრესიც. და განა, მართლაც, მთელი საზოგადოების ისტორიაც ამას არ ამტკიცებს? იქ, სადაც მოშლილია ეს ურთიერთობანი, სადაც „ხილია ჩატყხილი“ კაცთა შორის, იქ რაღა სარგებლობა გვექნება მისგან?

ასე რომ, სოციალური კომუნიკაციის ყოველმხრივი, რაოდენობრივი და რაგვარობრივი განვითარება საზოგადოების პროგრესის მძლავრი ფაქტორია. დიახ, ამ პროგრესის კრიტერიუმიც თავად ადამიანია. მთავარი ხომ ადამიანია, ყოველი დანარჩენი კი - მხოლოდ საშუალება მისთვის. ყოველგვარი კომუნიკაციის თავიცა და ბოლოც ადამიანი უნდა იყოს. საუკეთესო კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთობაა და არა სხვა რამეთა შორის, კიდევ უფრო საუკეთესო კი - მაქსიმალურად ჰუმანური კომუნიკაცია. ყოველგვარი კომუნიკაციის თვითმიზანი ადამიანი უნდა იყოს. ყოველი კომუნიკაციის უმთავრესი სუბიექტიცა და ობიექტიცა - ორივე ერთად - სწორედ ადამიანი უნდა იყოს. ამაზე უნდა აშენდეს ყოველგვარი სოციალური პოლიტიკა, ამაზე უნდა აშენდეს ჭეშმარიტი საზოგადოება.

ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ამ მხრივ საზოგადოების პროგრესულობისათვის ენიჭება ადამიანის მომენტს კომუნიკაციის სფეროში, განსაკუთრებით კი სოციალური კომუნიკაციის სფეროში, კარგად აქვს გამოთქმული არაუან დე სენტ-ეგზიუპერს შემდეგი სიტყვებით: „ყველაზე დიდი ზუსტობაა ქვეყანაზე ეს არის ადამიანთა ურთიერთობის ფუფუნება“ [6,1]. ე.ი. ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო ძვირფასი არაფერიაო. ამიტომაც სწორი იქნებოდა ისიც, რასაც ვხასთან დაკავშირებით ერთი ავტორი აღნიშნავს: „ყოველგვარი გადაჭარბების ზარეშე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებთან უწყვეტური ურთიერთობის უნარი უკანონოა“ [6,1]. და სწორედ ამას ვსახებურება საგანგებოლ ამისათვის, ე.ი. უწყვეტური კომუნიკაციისათვის მოგონილი მეცნიერება თუ ხელობა, როგორცია ე.წ. PR-ი. ეს PR-იც სინამდვილეში ხომ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა შორის კომუნიკაციის მართვა. ასეა იგი კერძოდ დეფინირებული მეცნიერებაში [2, 15].

ასეთია კომუნიკაციის განმსაზღვრელი როლი ადამიანის ცხოვრებაში, რის გამოც ჩვენ სრული უფლებით, მსგავსად ადამიანის არსების პარალელურ დახასიათებათა, შეგვიძლია ადამიანი განვსაზღვროთ აგრეთვე როგორც „Homo kommunis“ ანუ „მოურთიერთობე კაცი“ („Человек общающийся“) ანდა, რაც

იგეუა, „Homo socialis“ („სასოციალური ადამიანი“, „Общественный человек“). ადამიანი ხომ, მართლაც, სოციალურ ურთიერთობაში მყოფი არსებაა?

მაგრამ ადამიანის, როგორც სოციალურ-კომუნიკაციური არსების განსაზღვრება მისი მაინც უფრო ზოგადი, აბსტრაქტული განმარტებაა, ამიტომ საჭიროა ადამიანის არსების უფრო დრმა ანალიზი. ამისათვის კი საჭიროა აღვნიშნოთ ადამიანის სოციალურ-კომუნიკაციური არსების ის კონკრეტული სპეციფიკა, რაც ამ შემთხვევაში ილბულობს სწორედ ვერბალურ-კომუნიკაციურ ხასიათს. ადამიანის სოციალურ-კომუნიკაციურობის არსებითი სპეციფიკა მისი სწორედ ვერბალურობაა, რის გამოც ადამიანი, პარალელურ დახასიათებათა გვერდით, შეიძლება განესაზღვროთ აგრეთვე როგორც „Homo verbalis“ („სიტყვიერი კაცი“), ანუ „Homo loquens“ („მოსაუბრე კაცი“). ადამიანს, მართლაც, ერთადერთს ამ ქვეყანაზე გააჩნია. ენა, როგორც დანაწევრებული მეტყველება, იგი ერთადერთი თალობს სიტყვას ურთიერთობისათვის. ეს მისი უნიკალური თვისებაა და ფალც იმდენად დიდმომშენელოვანი, რომ მარტინ ჰაიდეგერი მას უწოდებს თვით „ყოფიერების სახლს“ [1,532]. და მართლაც, არაფერია ისეთი ბუნებრივი, ახლობელი, საკუთრივი, მშობლიური ადამიანისათვის, ვიდრე ეს სწორედ მისი ენაა. ადამიანი ენოვანი, მეტყველი არსებაა უკვე თავისი ბუნებით და იგი წარმოუდგენელია მის გარეშე. ამ მხრივ უმეტყველო ადამიანი არც არსებობს. მუნჯი კი შინაგად, მაგრამ მაინც მეტყველებს. მეტყველება მხოლოდ გარეგანი როდია. ამასთან განისაზღვრელი, ძირეული მხოლოდ შინაგანი მეტყველებაა და არა გარეგანი. მეტყველების უარყოფა საერთოდ შინაგანი წინააღმდეგობა და ამდენად უარობა, ანუ აბსურდია. მართლაც, თუ მე იმას ვიტყვი (არა აქვს მნიშენელობა შინაგანად თუ გარეგანად), რომ მე არ ვმეტყველებ, მე ხომ ამ შემთხვევაშიაც ვმეტყველებ და თუ ვმეტყველებ ხომ, მითუმეტეს, ვმეტყველებ და ვმეტყველებ. ამასთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს მარტინ ჰაიდეგერიც: „კაცი დაპარაკობს... მევენ მუდმივად ელაპარაკობთ... კაცს ენა ბუნებიდანვე თან დაეება. არსებობს სწავლება, რომ... ადამიანი მოლაპარაკე არსებაა... არის მტკიცება იმისა, რომ მხოლოდ ენა ხდის“ კაცს იმგვარ არსებად, როგორიცაა ადამიანი“ [9,3].

ენას ის უდიდესი მნიშენელობა ენიჭება ადამიანის ცხოვრებაში, რომ სწორედ იგი ქმნის მისი სოციალურ-კომუნიკაციური არსების ძირეულ საფუძველს. ადამიანი ეს უბრალოდ სოციალურ-კომუნიკაციური არსება როდია, არამედ სწორედ ვერბალურ-სოციალურ-კომუნიკაციური არსება. მართლაც, იგი ვერც იქნებოდა სოციალურ-კომუნიკაციური არსება, რომ არ ყოფილიყო ენოვანი არსება, სიტყვიერი არსება. ენაიდან სოციალური კომუნიკაციის მთელი არსება სწორედ მისი ვერბალურობაა. სოციალურ-კომუნიკაციური ამ შემთხვევაში იგივე ვერბალურის სახეს იძენს. ასე რომ, ვერბალური ებ უკვე გულისხმობს სოციალურ-კომუნიკაციურს. განა, მართლაც, ენის ძირითადი და ამდენად უმნიშენელოვანესი ფუნქცია მისი სწორედ კომუნიკაციურობის ფუნქცია არ არის? და განა ყველა მისი სხვა ფუნქცია ამ ძირითადი ფუნქციით არ არის განსაზღვრული და ამდენად აზრმინიჭებული? ყველა სხვა ფუნქცია ამ ფუნქციას ემსახურება. ეს არის აქ მთავარი. ყველა დანარჩენი მხოლოდ მომენტი თუა ამ პირეული ფუნქციისა. ამასთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს ერთი ავტორი: „თავად შესაძლებლობა სოციალური ცხოვრებისა უკვე ელინდება ენობრივ უნივერსალიებში, ურთიერთქმედებაში ელემენტებისა საუბრის, ენის შიგნით“ [7,71].

გამომდინარე იქიდან, თუ რა ადგილი უჭირავს სინამდვილეში ვერბალურობას ადამიანის ცხოვრებაში, ნათელი უნდა იყოს. ის უდიდესი მნიშვნელობაც, რაც ენას, სიტყვას ენიჭება ჩვენს ცხოვრებაში. და მართლაც, სიტყვა, ენა არის აზროვნების საფუძველი, ამიტომ Homo sapiens-ი (გონიერი, სხეავგარად, მოაზროვნე ადამიანი) განუყოფელია Homo verbalis-ის (სიტყვიერი ადამიანის) ანუ Homo loquens-ისაგან (მოსაუბრე, მეტყველი, მოლაპარაკე ადამიანისაგან). ეს ორი რამ ერთი მთლიანი ადამიანის ორი, თუ ასე შეიძლება ითქვას, მხოლოდ ორი ორგანული მომენტია, ხოლო ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება მისი ვერბალური არსების სახით ქმნის სწორედ იმ საოცარ კულტურას, რასაც მთელი საკაცობრიო კულტურა წარმოადგენს.

სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ურთიერთობაში და მას ამ მხრივ შეუძლია აშენოს კიდევ ეს ურთიერთობანი, და ანგრიოს, კიდევ იგი; მას შეუძლია დალოცვაც და მას შეუძლია დაწყევლაც. სიტყვას ამ მხრივ კონსტრუქციული თუ დესტრუქციული ძალა გააჩნია, რაც ექსპერიმენტულადაც კია დამტკიცებული წყლის მაგალითზეც კი. ყოველივე ამის გამო საჭიროა ადამიანთა შორის ურთიერთობაში სიტყვის სწორად გამოყენება, რათა ამით საუკეთესო შედეგს მივაღწიოთ.

თანამედროვე საზოგადოება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ე.წ. „საინფორმაციო საზოგადოება“ ხდება. და აი აქ სწორედ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო სიტყვის სწორ წარმართვას. წინააღმდეგ შემთხვევაში საინფორმაციო საზოგადოებაც იმთავითვე არასწორი მიმართულებით განვითარდება, რაც უდიდეს კატაკლიზმებს გამოიწვევს მასში. ეს უარყოფითი ტენდენციები უკვე შეინიშნება ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ მისი თავიდან აცილება არსებითად მაინც შეიძლება სწორი საინფორმაციო პოლიტიკის წყალობით. ეველადფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ადამიანის მომავალი დიდად, ძალიან დიდადაა დამოკიდებული „სიტყვის პოლიტიკაზე“; „ვერბალურ კომუნიკაციურ ტექნოლოგიაზე“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სწორი „ვერბალურ-კომუნიკაციური ტექნოლოგია“ იხსნის კაცობრიობას შესაძლო დაღუპვისაგან, იგივე აგრეთვე შექმნის კაცობრიობის მომავალი კეთილდღეობის უცილობელ პირობასაც, რაც სწორედ ჩვენი ცხოვრების კუთილშობილი მიზანია.

#### ლიტერატურა

1. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია. თბ., 1970.
2. Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б.С. Социологический словарь. М., 2007.
3. Конечная В. Социология коммуникации (www.gumer.info).
4. Маркс К.Тезисы о Фейербахе. – В кн.: К. Маркс, Ф. Энгельс. соч.Т.3.
5. Науменко В.С. Социология массовой коммуникации. СПб., 2005.
6. Непряхин Н. Основы эффективной коммуникации (www.yan1.ru).
7. Общая социология . М., 2002.
8. Список альтернативных названий видов человека разумного (www.ru.wikipedia.org)
9. Хайдеггер М. Язык. СПб., 1991.

Шониа М.Б.

#### О вербально-коммуникативной сущности человека

Сущность человека самая главная сторона природы человека, а вербальная коммуникация – коренной момент сущности человека.



Человек в этом отношении социально-коммуникативное существо вообще и вербально-коммуникативное существо, в частности. Точнее, человек – это Homo socialis (Человек общественный) или Homo kommunis (Человек общительный) вообще и Homo loquens (Человек говорящий) или Homo verbalis (Человек словесный), в частности.

M. Shonia

### On Verbal and Communicative Essence of the Human

Human's essence is the foremost aspect of human's nature, while verbal communication is the key point of human's essence.

In this regard the human is social and communicative being in general, and verbal and communicative being in particular. More exactly the human is Homo socialis (social person) or Homo kommunis (communicative person) in general, and Homo loquens (speaking person) and Homo verbalis (verbal person) in particular.

ზ. შ. ქორთუა

*შოთა მესხიას ზეგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### სარწმუნოების საკითხები XVIII ს. I მეოთხედის საფრანგეთ- თურქეთის ურთიერთობებში (კაპიტულაციების მასალების მიხედვით)

საფრანგეთ-თურქეთის სარწმუნოებრივი ურთიერთობები XVI საუკუნის დამდეგიდან იღებს სათავეს. 1535 წელს სულთან სულეიმან II-ის დროს თურქეთმა ხელი მოაწერა საფრანგეთთან კაპიტულაციების ხელშეკრულებას, რომლითაც საფრანგეთმა მიიღო იმის მსგავსი პრივილეგიები და შეღავათები, რაც ჰქონდათ გენუასა და ვენეციას. XVIII საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო აქტიური ხდება საფრანგეთის პოლიტიკა თურქეთში. საფრანგეთის მიზანი იყო მჭიდროდ მოეკიდებინა ფეხი თურქეთში და მასზე დაყრდნობით წინ წაეწია კავკასიაში. საფრანგეთის საელჩო თურქეთში თეალყურს ადუქნებდა თურქეთის პოლიტიკას შავი ზღვის აუზში. ამიერკავკასიაში, რუსეთის მიმართ, ირანთან ურთიერთობას და საქმის კურსში აყენებდა თავის მთავრობას. საფრანგეთ-თურქეთის შორის ფართო ხასიათის ურთიერთობების დამყარების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საფრანგეთის საელჩოს კონსტანტინეოლში, რომელიც უშუალოდ აკონტროლებდა სიტუაციას ამ მიმართულებით. საფრანგეთის ელჩი დე ფერიოლი თურქეთის დიდ ევზირთან ევაჭრობის, ნაონლობისა და სარწმუნოების საკითხებზე მილაპარაკების დროს ცდილობდა თურქეთი მჭიდროდ დაეკავშირებინა საფრანგეთთან და შეესუსტებინა მისი ურთიერთობა ევროპის სხვა ქვეყნებთან. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის თურქეთი უკვე საკმაოდ დასუსტებული იყო. მას ნაკლებად ემორჩილებოდნენ დამასკოსა და ბაღდადის ფაშები, კაიროს ფაშა თვითონ განაგებდა თავის ქვეყანას. 1535 წლის ხელშეკრულება რუსეთის წინააღმდეგაც იყო მიმართული, რაც გარკვეულწილად მართლმადიდებლობის დევნითა და შევიწროებით გამოიხატებოდა. 1717 წლის 10 სექტემბერს საფრანგეთის საელჩომ კონსტანტინეოლში შეადგინა სამახსოვრო ბარათი თურქეთის ხელისუფლებისადმი წარსადგენად, სადაც ის კაპიტულაციების განახლებას

მოითხოვდა. განახლებული კაპიტულაციების პირველი მუხლი უნდა შეხებოდა სარწმუნოებასა და მისიონერთა საქმიანობას, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო აღნიშნულ დოკუმენტში. (Archives; Paris.t.7.fo 87 )

კათოლიკე მისიონერების თურქეთზე გავლით საქართველოში ჩამოსვლის საქმეში უდიდესი როლი ენიჭებოდა საფრანგეთს. მხოლოდ საფრანგეთს ელჩის მფარველობით შეეძლოთ მათ თურქეთის ტერიტორიის გავლა და საქართველოში ჩამოსვლა. საფრანგეთი, როგორც კათოლიკურ ეკლესიაზე „საქართველოს“ უფლების მქონე ქვეყანა, მფარველობას უწევდა მისიონერთა საქმიანობას და რომის კურთხევისაგან დამოუკიდებლად შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გაეგზავნა მისიონერები ამა თუ იმ ქვეყანაში. (პაპაშვილი; 1994; 171)

საქართველოსკენ მომავალი კათოლიკე მისიონერების მიერ თურქეთის ტერიტორიის გაელასთან დაკავშირებულ სირთულეებზე მიუთითებს თურქეთში საფრანგეთის ელჩის დე ფერიოლის 1707 წლის 22 მარტის წერილი, გაგზავნილი რომში კარდინალ დე ლა ტრემუაის სახელზე: „აქ არის ხუთი იტალიელი მისიონერი, რომლებსაც უნდათ საქართველოში წასვლა. ისინი მგზავრობას შეუდგებიან იმის რისკის ფასად, რომ მოკედებიან საპყრობილეში ან ჩაგარდებიან მონობაში. მე მათ ვუთხარი ჩემს მფარველობაზე... მე უკვე გაავტარე ისინი.“ (Archives; Paris.t.45.fo 124)

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, საფრანგეთის ელჩი ყოველთვის ვერ ახერხებდა დახმარების გაწევას მისიონერებისათვის თურქეთის ტერიტორიის გავლის დროს. 1707 წლის 30 ნოემბრის წერილში ელჩი დე ფერიოლი კარდინალ დე ლა ტრემუაის სწერდა: „მე მითხრეს ერთი ამბავი... რომ წმინდა კონგრეგაცია განაწყენებული ყოფილა კონსტანტინეპოლელ კაპუჩინ მამებზე. ამბობენ, რომ მათ მე ხელი შემეშლეს გამეწია მფარველობა ხუთი იტალიელი კაპუჩინისათვის, რომლებიც უნდა გადასულიყვნენ საქართველოში.“ (ibid;fo 221)

მეორე წერილში ელჩი სწერდა კარდინალ დე ლა ტრემუაის: „...თქვენმა უწინდესობამ უნდა იცოდეს, რომ ხუთ კაპუჩინს, რომლებიც აქედან მიემგზავრებიან... მივეცი წერილი არზრუმისათვის (ალბათ არზრუმის ფაშასათვის ზ. ქ.), ისინი არზრუმში დააპატიმრეს... მეორე დღეს მათ უჩვენეს ჩემი წერილი, ისინი გაათავისუფლეს და ნება დართეს გადაეხადათ თითოეულს ხუთი ეკიუ (გათავისუფლების სასლაურად, ზ. ქ.) ეს არის გადასახადი ან ხარაჯა, რაზეც მე შეთანხმებული ვარ არზრუმის თურქებთან... თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხუთი ეკიუს გადახდით თავისუფლად გადაიღწიეს საზღვარს. ამისათვის საჭიროა მათ ჰქონდეთ კიდევ ერთი ჩემი წერილი.“ (ibid;fos.221 vo)

საფრანგეთის ელჩი ეწვიდა სპეციალურ მოლაპარაკებას დიდ ვეზირთან სარწმუნოების საკითხებზე: „წმიდა სამარხის შეკეთებისა და ქრისტეს ეკლესიების აღდგენის შესახებ.“(ibid;fos 86 vo-87) დიდ ვეზირთან სარწმუნოების საკითხების განხილვის დროს საფრანგეთის ელჩის შექმნილ წარმდგარიყო „...მხოლოდ თურქულ ტანისამოსში და კვერნის ბეწვის ქუდი.“ (ibid; vo 87) ეს იყო გარკვეული დათმობა საფრანგეთის მხრიდან თურქეთის ხელისუფლებისადმი, თუმცა ამის საფასურად საფრანგეთი თურქეთისაგან ითხოვდა ნებართვას, რაც გამოიხატებოდა: „...წმიდა საფლავის თაღის შეკეთებასა და სკიზმატიკოსების ეკლესიების აღდგენაში.“ (ibid; fo 87 vo )

საფრანგეთის ელჩი მოითხოვდა, რომ ის ყოფილიყო ყველა სხვა ქვეყნის ელჩისაგან განსხვავებული მდგომარეობაში; რადგანა ეს იყო პირველი ქრისტიანული ქვეყნის ელჩი: „...მე ეხილავ ბატონ დ'ოტინგენს (პოლანდიის ელჩი ზ. ქ.) ჩემზე მაღლა? მაშინ მე აღმოვინდები გათქვეფილი ყველა სხვა

ელჩსა და რესპუბლიკების წარმომადგენლებთანაც კი, რაც შეუძლებელი რამ არის მანამ, სანამ იარსებებს საფრანგეთის მონარქია.” (ibid; fo 90) საფრანგეთის ელჩი დაბეჯითებით ითხოვდა ოსმალეთის ხელისუფლებისაგან საკუთარი უფლებამოსილების გაზრდას, რადგანაც, მისი აზრით, ეს უფლებამოსილება „საკმარისია კაპიტულაციების შესრულებისათვის, მაგრამ არ არის საკმარისი პოლიტიკის, სარწმუნოების ან სხვა საქმეებისათვის, რომლებიც არ არიან შეტანილი კაპიტულაციებში”. (ibid; fo 91) 1707 წლის მისში საფრანგეთის ელჩი ატყობინებდა კონსტანტინეპოლიდან პარიზს: „ყველა ჩვენი საქმე ძალიან კარგად მიდის, დიდმა ვევირმა ამას წინათ ხელახლა მომცა რამდენიმე დავალება. სომხების დევნა დამთავრდა და ყველა ფრანგი, იტალიელი, პოლონელი და გერმანელი მისიონერი, უშიშრად გავიდა სპარსეთში ჩემი ზრუნვით. აქ იმდენად დიდი თავისუფლება აქვთ ჩვენს ეკლესიებს, რომ მეტი თავისუფლება არ ექნებოდა ქრისტიანულ ქვეყანაშიაც კი. ღირსმა იუზუიტმა მამებმა მოაწყვეს აღდგომისათვის წმ. ანას პროცესია გალატას შუაგულში, მოპქონდათ ჯვარი, საეკლესიო დროშები და წმინდა ნაწილები უამრავი ანთებული ჩირადღნით და ხალხის (ქრისტიანეთა ს. ქ.) განსაკუთრებული მონაწილეობით. წინათ ასეთ ცუდგონიანს მხოლოდ სახლში შიგნით თუ ჩაატარებდნენ.” (ibid; fos 84 vo-85)

1717 წლის 10 სექტემბერს საფრანგეთის საელჩომ კონსტანტინეპოლში შეადგინა სამახსოვრო ბარათი კაპიტულაციების განახლების შესახებ, შედგენილი 1717 წლის 10 სექტემბერს. (Fait le 10 sept. Archives. Paris 'Perse', t 4, fos 84-108) საფრანგეთის მოთხოვნები კაპიტულაციების განახლების საკითხში ჩამოყალიბებულ იქნა ოთხ პუნქტად, რომელთაგანაც პირველი შეეხებოდა სარწმუნოებასა და მისიონერთა მდგომარეობას და საერთოდ, წმინდა მიწას, წმინდა საფლავსა და მის მომლოცვეებს. (ibid; fo 86 vo) მომლოცველები დაცული უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი ძალმომრეობისაგან, იერუსალიმის ფაშებისა და ყადებისათვის უნდა აეკრძალათ წმინდა მიწაზე მოღვაწე სასულიერო პირთა შეურაცხყოფა. (ibid; fo 87)

საფრანგეთის მეფეს უნდა მისცემოდა უფლება, რომ დაენიშნა სამოქალაქო აგენტი ქალაქ იერუსალიმში, ამასთანავე, დიდ ბატონს (იგულისხმება დიდი ვეზირი ს. ქ.) უნდა გაეცა განკარგულება თავისი მოხელეებისათვის მხარი დაეჭირათ ამ პიროვნებებისათვის. დიდი ბატონის მოხელეებს უნდა დაეცათ იერუსალიმში მცხოვრები ყველა ფრანგის უფლებები. იერუსალიმში არსებულ ეკლესიებს სჭირდებოდათ შეკეთება, ზოგიერთი მათგანი დანგრევის საშიშროების წინაშე იდგა. ამიტომ თურქეთის ხელისუფალთ, ნება უნდა დაერთოთ, რათა დროზე ჩატარებულიყო სარემონტო სამუშაოები. (ibid;) თუმცა წმინდა მიწის მამები ზოგჯერ მეტად ძნელად შესასრულებელ მოთხოვნებსაც აყენებდნენ. (ibid;)

ფრანგების შემდეგი მოთხოვნა შეეხებოდა ათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ოტომანის იმპერიის დანარჩენ ნაწილებში. ამ მისიონერების ყველა უფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო განახლებული კაპიტულაციების ერთ მუხლში (ibid; fos 88 vo 89) თუმცა ძველ კაპიტულაციებში ხაზგასმული იყო, რომ ფრანგი მღვდლები, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ლევანტში „იქნებოდნენ განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ”, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა მათ შეურაცხყოფას პორტას მოხელეების მხრიდან, რასაც ბოლო უნდა მოეხებოდა. (ibid; fo 89 vo) საჭირო იყო კაპიტულაციებში კიდევ ერთხელ იმის ფიქსირება, რომ ოტომანის იმპერიის

ფარგლებში მცხოვრები ფრანგებისთვის „არ მიეყენებინათ არავითარი უსიამოვნება, არც მათ ქონებას უნდა დამუქრებოდა საშიშროება... მათ უნდა მკონოდათ სახარების თავისუფლად კითხვის საშუალება“. (ibid; fos 89 vo-90)

ფრანგ ვაჭრებს, მღვდლებს, ხელოსნებსა და სხვებს, რომელთა საქმიანობა ნაჩვენები იქნებოდა ელჩების ან კონსულების მიერ გაცემულ საბუთებში, შეეძლოთ თავისუფლად და უშიშრად ემოგზაურათ ოტომანის იმპერიის სამფლობელოებში, ამასთანავე მათ უნდა მისცემოდათ მათთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ტანსაცმლის ჩაცმის უფლება. (ibid; fo 91 vo )

კაპიტულაციების ზემოთ მოტანილ მუხლებში ასახული სარწმუნოებრივი საკითხები დიდი ხნის განმავლობაში რეაგირების გარეშე რჩებოდა. მოლაპარაკება საფრანგეთსა და თურქეთს შორის ახალი კაპიტულაციების დადების შესახებ დიდხანს გრძელდებოდა. მხოლოდ 1740 წელს იქნა ხელმოწერილი ახალი კაპიტულაციები ამ ორ სახელმწიფოს შორის.

**მითითებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Fait le 10 sept. Memoire touchant le renouve lleurant des Capitulations. Archives du ministere des Affaires Etrangeres. Paris. „Perse.“ t. 7. fo.87  
მ. პაპაშვილი, ლეევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია. კრ. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. I, თბ.1994, გვ.171
3. Archives du ministere des Afaaires Etrangeres. Paris. „Turquie“, t.45 fo 124
4. ibid..fo 221
5. ibid..fos.221 vo
6. ibid.,fos 86 vo-87
7. ibid..fo 87
8. ibid..fo87 vo
9. ibid.. fo 90
10. ibid., fo91
11. ibid.,fos 84 vo-85
12. fait le 10 sept. 1717. Memoire touchant le renouve lleurant des Capitulations. Archives. Paris „Perse“, t. 7, fos. 84-108
13. ibid.. fo 86 vo
14. ibid., fo 87
15. ibid.,
16. ibid.,
17. ibid., fos 88 vo-89
18. ibid., fo 89 vo-90
19. ibid., fos 89 vo-90
20. ibid., fo91 vo

**Z. Sh. Kortua**

*Shota meskhia state teaching University of Zugdidi*

**The religious question in the relations between France and Turkey in XVIII centurie.  
(According in the capitulations)**

Capitulations were the first normative acts according to which began the regulations of the France as the owner of the right of „p atronage“of the Catholic church was trying to establish herself in Turkey and the Near East countries there was also a plan of spreading its influence over Georgia.

In this work we have discussed the articles concerning the settlement of religious questions between them. Very soon if found a real reflection. In Catholic missionaries got a permission of freely preaching in Turkey. The Turkish authority taking into account the significance of the treaty with France gave the right in Catholic confession to be preached without any obstacles.

France paid a great attention to the sanctuarity and churces in Jerusalem.

Georgian question was very imporrent in the Capitulations. From the point of view of french authorities the initial step for speading of economical and political influence was activation of religious policy and successful activity of Catholic Church Religious question of capitulations until recently remained beyond the attention. Negotiations between Turkey and France were carried on for a long time. The new capitulations were signed only in 1740.

*3. შ. კორუა*

*ჯუდისკიი გოსუდარსტენნიი უჩებნიი უნივერსიტეტი იმ. შოტა მესხია*

**Религиозные вопросы франко-турецких отношений в XVIII веке**

**(по материалам капитуляции)**

Капитуляции являются первыми нормативными актами, в которых изложены основы франко-турецких отношений. Франция, имевшая „патронаж“ над католической церковью, старалась наладить отношения с Турцией и со странами Ближнего Востока. Франция имела свои планы по отношению с Грузией.

В публикации рассмотрены вопросы, касающиеся христианского населения в Турции и католических миссионеров, которые должны были там проповедовать. Турецкие власти, имея в виду высокозначимость капитуляции как политического документа, давали возможность миссионерам свободно проповедовать в стране. Франция обратила внимание на христианские святыни и на состояние храмов в Иерусалиме. Грузинский вопрос был также важным в капитуляциях, поскольку католические миссионеры должны были проповедовать и в Грузии. По мнению властей Франции, в деле реализации политических и экономических вопросов, важнейшим шагом являлся активизация религиозной политики. Переговоры между Францией и Турцией долго продолжались. Новый договор между двумя государствами был заключен лишь в 1740 году.

*მაია ქუთათელაძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## **ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები და ქართველთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენის საკითხები**

საკვანძო სიტყვები: რელიგია, კერპი, წარმართობა, მასდუანობა, მითრაიზმი.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ანალიზი ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესახებ აქამდე არსებული ზოგიერთი პრობლემის ახლებურად წარმოჩენის საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით, მეტად აქტუალურია საქართველოში მასდუანობისა და მისი ერთ-ერთი განშტოების – მითრაიზმის გავრცელების საკითხების კვლევა. მითრაიზმი – წინაქრისტიანული ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დუადისტური მოძღვრება, რომელიც სულის უკვდავებას ქადაგებდა და მორწმუნეებს სწორი

ცხოვრების გზით სამუდამო განსასვენებელს ჰპირდებოდა, განსაკუთრებულ თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა რომაულ სიერცეში. საქართველოში მითრას კულტთან დაკავშირებული თემატიკის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში განხილვა, მითრასთან დაკავშირებული რიგი საკითხების უფრო ზუსტად განსასვლერის საშუალებას იძლევა.

მითრას კულტი და მითრასის მწკობრად ნამოყალიბებული რელიგიური სისტემა თანდათანობით მისაღები ხდებოდა სხვადასხვა ხალხებისათვის. უხმაურებოდა რა ყველა სოციალური კატეგორიის მისწრაფებებს. ამიტომაც მითრასტული იდეები – ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლაში სიკეთის უდაო გამარჯვების, სიკვდილის შემდგომ საიქიო ცხოვრების, ცათა საზუფუეელის, ადამიანის სულის უკვდავების შესახებ – ფართოდ იკიდებდა ფეხს ამ ხალხების რელიგიურ შეხედულებებში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველგან, სადაც მითრას კულტმა შეაღწია, მოხდა მისი სინკრეტიზაცია ადგილობრივ ღვთაებებთან. გამდიდრდა რა ამ ღვთაებებისათვის დამახასიათებელი უძველესი წარმოდგენებით, სოგიერთი იკონოგრაფიული დეტალით, აგრეთვე სხვა ატრიბუტებითა თუ ელემენტებით... ღვთაება მითრას ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს „ორაკიელი მხედრის კულტი“ ბალკანეთის სახეობრკუნძულსა (განსაკუთრებით ბულგარეთში) და ხერსონესში. მითრასის კულტების შერწყმა ნრდელით შეიხლვისპირეთის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით ბოსფორში), ცხენზე ამხედრებული მითრას გამოსახულებები ტრამპუნდში, მითრას-ჰელიოსის, მითრას-აპოლონისა და მითრას-სერაპისის სინკრეტიზაცია რომში. აღქსანდრე სევერის მმართველობის პერიოდში რომის იმპერიის ტერიტორიაზე მითრასისა და იუდაიზმის საეციფიურ სინთეზსაც კი ქონდა ადგილი[1]. საქართველოში ღვთაება მითრას ადგილობრივ ანტროპომორფულ ღვთაებასთან შერწყმა უნდა მომხდარიყო, რომლის საბოლოო გაფორმება მებრძოლი მხედრის სახით ჯერ კიდევ ადრერკინის ხანაში მიმდინარეობდა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრენტიკური პერიდიდან დასტურდება უმადლესი ღვთაების – მებრძოლი მხედარი – იკონოგრაფია, რომლის სახელი სოგიერთი მუქნიერის ახრით, შეიძლება არმაზი ყოფილიყო.

ქართული საისტორიო წყაროების მონაცემების თანახმად, არმაზი და კიდევ რამდენიმე სხვა კერა ქართველთა უძველეს ღვთაებებად არის მინსეული[2]. ქართული წარმართული პანთეონის სათავეში „ქართველ მამათა“ სჯულის ანტროპომორფული ღვთაებახი დგანან და არა უცხო წარმოშობის კერები. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უხენახის ღვთაების, მთვარის ღმერთის – არმაზის სახელის ხეობრ-მცირეაზიული სამყაროსაგან მომდინარეობა იქნას უარყოფილი. გასათვალისწინებელია, რომ ხეობრ-მცირეაზიულ სამყაროსთან კავშირებმა ქართველთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზეც იქონია გავლენა. „მოქცევი ქართლისისა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ მოგვთა უბნის ხსენება, ცეცხლის მსახურთა სპარსეთიდან მოყვანა და ცეცხლმსახურების სოგიერთი სხვა ნიშანიც უცხოური მოვლენაა და ქართველთა რელიგიის დამახასიათებლად არ გამოდგება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ცეცხლმსახურება არასოდეს ყოფილა წინაქრისტიანული ხანის ქართული პანთეონისათვის დამახასიათებელი. როგორც სპარსეთიდან მიიხედავია ივანე ჯავახიშვილი: „სპარსული მასდენაობა საქართველოში კერპთაყვანისმცემლობად ქცეულ რელიგიად არ უნდა ყოფილიყო, იგი ადგილობრივი კულტურის ნიადაგზე შეცვლილი სახით არსებობდა“[3]. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მასდენაობას საქართველოს ტერიტორიაზე

საკმაოდ ბევრი მიმდევარი უნდა აქოლოდა, რასაც ცეცხლთაყენისცემასთან დაკავშირებული გრანდიოზული სატადრო კომპლექსების აღმოსენაც ადასტურებს.

ამასთან ერთად, წინაქრისტიანული ხანის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ინდო-ირანულ მითრას კულტს, რასეც მეტყველებს, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა და მეორე მხრივ, ქართველთა ყოფაში დღემდე შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენები და მათი შესაბამისი წეს-ჩვეულებები და რიტუალები. მხედველობაში გვაქვს დასაჯელო საქართველოში გაერთელებული „მირსობა“ – „მეისარბ“ – „მოისარობას“ სახელით ცნობილი რიტუალი, რომელიც ს. მაკალათიას აქვს მიკვლეული და აღწერილი [4].

ქართულ საისტორიო მწერლობაში შემორჩენილი არმაზის კერპის აღწერილობა, რომელიც სუდშიწვენით ემთხვევა მითრასას, გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალური სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე, მითრას კულტის უდიდესი პოპულარობის გამო, ქრისტიანული ეკლესია ცდილობდა ამ რწმენის კვალის წაშლას. კოველთის წარმატებით რომ ვერ ახერხებდა. ამის ნათელი დადასტურება ქართულ წერილობით წყაროებში შემორჩენილი დღთაება მითრას აღწერილობა. რომელსაც: ქართული საისტორიო ტრადიცია არმაზის კერპს მიაწერს. საქართველოში მისი გაღმერთების უძველესი ტრადიცია ქმნიდა ნიადგს იმისათვის, რომ აქ ფეხი მოეკიდა წინა ასიის უძველესი მოსახლეობისაგან სპარსელების მიერ შეთვისებულ მითრას – ხიმარდლისათვის მებრძოლი დღთაების კულტს.

საგარეულოა, რომ საქართველოში მასდენობის ორი უმთავრესი დღთაების აპურამასდახა და მითრას ერთეგარ შერწმენას აქონდა ადგილი. აღნიშნულმა სინკრეტულმა დღთაებამ კი მითრას გამოსახულება შეიძინა, რადგანაც აპურამასდახს ანტროპომორფული სახით გამოსახვა გამორიცხული იყო. აპურამასდა-მითრას თაყენისცემა ქართლში განსაკუთრებით ქართლის მეფის ფარნაეაზის მიერ გატარებული რელიგიური რეფორმის შემდეგ განმტკიცდა. მეფე ფარნაეაზმა აღმართა არმაზის, ოგივე აპურამასდა-მითრას კერპი და ოგი ქართლის სამეფოს მთავარ დღთაებად აღიარა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ქართული არმაზისა და სარსკელი მითრას იკონოგრაფიული მსგავსებაც.

ქართველთა წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიური პირობელების ეკლესიათან დაკავშირებით ნუმიზმატიკური მასალა საინტერესო ინფორმაციის შემცველია. განსაკუთრებით საყურადღებოა ძვ.წ. III საუკუნით დათარიღებული ვინზე ბაგადატის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები, რომლებსეც ერთი და ოგივე გამოსახულება – სატრპის თაყსაბურაყით შემოსილი მამაკაცია ამოკვეთილი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მონეტებზე განთავსებული დეკენდები და გამოსახულებები. ორ მათგანსეც ცეცხლის ტადარი გამოსახული, ხოლო თაყად ბაგადატს მარჯვენა ხელი თაყენისცემის ნიშნად აქვს აწული (აღორაცისის პოზაშია). მესამე მონეტასეც კი, ცეცხლის ტადარს ცეცხლის საკურთხეველი ცვლის. როგორც ამ ნუმიზმატიკური ძეგლების აღმომწენი და მკვლევარი გ. დუნდუა მიიწენეს, ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში ფარნაეაზმა დაამარცხა სამხრეთ-ქართული პოლიტიკური ერთეულის უფალი ასო და გააერთიანა ქართლი. ასოს დაღუპვის შემდეგ, ფარნაეაზმა მისი სამომავლები იშვილა და მათ კლარჯეთის ერთსთაეობა უბოძა. ბაგრატ (ბაგადატი), ბიურატი (ბიურატი) და

სუმბატი (სმბატ) ბაგრატიონთა სახლის პირველი მამასახლისები არიან. ძვ.წ. III საუკუნის II ნახევარში ზემოხსენებულმა კლარჯეთის ერისთავმა მოჭრა მონეტები წარწერით „ბაგადტი, ძე ბიურატისა, ღვთაებრივი მამასახლისი“ [5].

ღვთაება მითრა განსაკუთრებული პოპულარობით ელინისტურ პერიოდში სარგებლობდა. აღმოსავლეთის სამეფო დინასტიები, რომლებიც თავიანთ წარმოშობას აქემენიდებს უკავშირებდნენ [6], ფართოდ იყენებდნენ მითრასაგან მომდინარე, დინასტიურ საკუთარ სახელს „მითრიდატე“ პონტოს სამეფოს თერმოდოკი მეფისადმი შეიღი სწორედ ამ სახელს ატარებდა. ამავე სახელით მოიხსენიებიან პართიის, სომხეთის, კომაგენეს, ბოსფორისა და იბერიის მეფეები [7].

ელინიზმის ეპოქაში შეიცვალა პოლიტიკური ორიენტირები. აღექვანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად აქემენიანთა ძლევამოსილმა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. იმპერიის სრდილობით მდებარე ტერიტორიები, კერძოდ, ე.წ. „არიან ქართლი“, რომელიც მე-19 სატრაპიის გაერთიანებულ კოლხეთის სამეფოს სამხრეთით მდებარე რეგიონებს – ისტორიულ ზემო ქართლს მოიცავდა და შესაბამისად, ქართველური ტომებით იყო დასახლებული, გათავისუფლდა. ფარნავაზის მიერ შექმნის ახალ სამეფოში ეს ტერიტორიები ახალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის – კლარჯეთის საერისთავოს სახით შევიდა. ერთიან ქვეყანაში სამეფო ძალაუფლების განმტკიცებისათვის საყოველთაო თავგანისცემის ერთიან კულტს უნდა შეეწყო ხელი. წარმართული პანთეონის მთავარ ღვთაებად განსაზღვრული კულტი ახლობელი და მისაღები უნდა გამხდარიყო ქართლის სამეფოს ყველა კუთხის მცხოვრებისა და მოსახლეობის ყველა სოციალური კატეგორიისათვის. ფარნავაზის რელიგიური რეფორმა ითვალისწინებდა ახლადშემოურთებული სამხრეთის რეგიონის ხანგრძლივ მჭიდრო კონტაქტებს აქემენიანთა ცივილიზაციასთან, შესაბამისად, ახალი კულტის ფორმირებისას ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური შეხედულებები და კულტურული ტრადიციები გათვალისწინებული იქნა. ვფიქრობთ, ეს გახდა მიზეზი სპარსული ზოროასტრიზმის ელემენტებისა და ადგილობრივ ღვთაებების ნიშან-თვისებათა სინკრეტიციისა, რაც არამაზის ღვთაების კულტში სრულად გამოვლინდა. როგორც ნუმიზმატიკური მასალიდან ირკვევა, საქართველოს სამხრეთ რეგიონების ადგილობრივი მმართველები საკუთარი მონეტის მოჭრის პროცესში იმეორებდნენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ასპექტი, რომ კლარჯეთის ერისთავებს პქონდათ უფლება მონეტის რევერსზე გამოეხატათ მათთვის სასურველი და მისაღები რელიგიური კულტი და მასთან დაკავშირებული ატრიბუტიკა. მასდევანული სიმბოლიკის გამოხატვა ქართლის სამეფოს მაღალი სამოხელეო არისტოკრატის წარმომადგენლის სახელით მოჭრილ მონეტაზე გვაფიქრებინებს, რომ მასდევანობა სახელმწიფო რელიგიის რანგში უნდა ყოფილიყო აუქანილი.

გვიანანტიკურ ხანაში, როდესაც მითრასში რომსა და მცირე ასიის მთელ რიგ ქვეყნებში მთავარი იდეოლოგია გახდა, მის ხელახალ გავრცელებას ქართლის მოსახლეობაში მყარი ნიადაგი დახვდა. ეს იყო მითრას კულტის არსებობისა და მისი თავგანისცემის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. გვიანანტიკური ხანიდან ღვთაება მითრას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართულ წარმართულ პანთეონში. ამავე ნათლად მეტყველებს მითრასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონამოვარი, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მიკვლეული. მითრასა და მის თავგანისცემასთან დაკავშირებული ნივთების დიდი ნაწილი ქართლის სამეფოს მაღალი არისტოკრატული ზედაფენის სამარხებშია



აღმოჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი მითრას მიმდევრები უნდა ყოფილიყვნენ. თანაც მათი სიმრავლე სწორედ გვიანანტიკურ ხანაში იჩენს თავს, რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა მითრასის პოპულარობას რომსა და მის პროვინციებში.

მითრას კულტს უკავშირდება ქართულ ფოლკლორში შემორჩენილი თქმულება ამირანის შესახებ. ამირანი იგივე ამირანი, მითრა ანუ მსუა, რომელიც ებრძვის დევეებს, იტაცებს ყამარს (ციხს კამარას), აძლევს ხაღხს ცეცხლს. ქართულ მითში ამირანი მზის სიმბოლოა, ისევე როგორც მის ძმებს ბადრისა და უსუსს მთვარესა და ვარსკვლავებს უკავშირებენს[8]. „ავესტას“ გაელენით უნდა დამკვიდრებულიყო ქართულ ფოლკლორში აგი სულების ამსახველი ისეთი ცნებები, როგორცაა დევეები (ავესტასეული დაევა) და ეშმაკები.

მითრადან მომდინარეობს ძველ საქართველოში გაერცვლებული სახელები „მიპრი“, იგივე მირიანი (მითრა), „მირდატი“, ანუ მითრიდატე (მითრას მოცემული, ბოძებული), „მირვანი“, იგივე მურვანი (მითრას მოყვარული), „ბუსმირი“ (დიდი მითრა). მითრადან, ქალის სახელის მაწარმოებელი ბოლოსართის „დუხტი“ დამატებით კი მიღებულია სახელი „მირანდუხტი“. ეს ის სახელებია, რომელსაც ატარებენ არა მარტო ქართლის მეფეები, არამედ მაღალი სამთხელეო არისტოკრატის წარმომადგენლები – პიტიახშები. თავისთავად ეს ფაქტი მრავალსმეტყველია. როგორც სანს, მითრა ქართლის მეფეებისა და მაღალი არისტოკრატული სუბაფენის განსაკუთრებული თავიანთისცემის ობიექტია. ხოლო დედაებიდან წარმომადგელი მათი სახელები ამ კულტის დაწინაურების კიდევ ერთი დასტურია.

დედაება მითრას პოპულარობის მანქნებული უნდა იყოს ქართული კალენდრის ერთი თვისათვის სახელის „მირკანი“ („მიპრაკანი“) – მითრას თვე – მინიჭების ფაქტიც.

ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ქრისტიანულმა მოძღვრებამ ბევრი ისესხა მითრასიმიდან, როგორც თეოლოგიის, ისე მორალისა და კულტის ასპექტით. სწორედ მითრას კულტის პოპულარობის მანქნებულია ის ფაქტი, რომ გაბატონებული ქრისტიანული რელიგია მითრას რწმენისათვის დამახასიათებელ ბევრ რიტუალსა და წარმოადგენას წარმართული მითრას კულტიდან იღებს და მას ქრისტიანული მოძღვრების აუცილებელ დოგმად აქცევს. მითრასტული სიმბოლიკისა და წეს-ჩვეულებების ქრისტიანობაში გადასვლამ კი, ადრეული ეკლესიის მესვეურები იძულებული გახადა ამ მოვლენების ახსნა ქრისტიანული მოძღვრების პოზიციებიდან მოეკებნათ. მითრასის ოფიციალური დამარცხებისა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, საქართველოში მითრასში ქრისტიანობასთან შეგუების გზას დაადგა. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ქრისტიანულ ხანაში მითრა წმინდა გიორგის სახით გვევლინება, რომელიც ასევე პოპულარული და გაერცვლებული იყო საქართველოში.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თ. დუნდუა, ქართული ეთნოკულტურული კვლევა და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1994, გვ. 235, ტაბ. 168, №3588; გვ. 236, ტაბ. 152, №3260; გვ. 233, ტაბ. 160, №3454
2. ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 25, გვ. 190; მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1962
3. იე. ჯავახიშვილი, ქართველთა წარმართობა, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბ., 1979, გვ. 145

4. ს. მაკალათია. დედაება მითრას კულტი საქართველოში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, თბ., 1927. ტ. III, გვ. 183 და შმდ.
5. თ. დუნდუა. ბაგრატი, ქე ბიერატისა, თბ., 2001, გვ. 4; Tedo Dundua, Christianity and Mithraism, The Georgian story, Tbilisi, 1999.
6. В. М. Зубарь, Ю.В. Павленко, Херсонес Таврический и распространение Христианства на Руси, К., 1988, с. 51-53
7. ქ. ქეკელიძე. ეტიუდები ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 340
8. ს. მაკალათია. დასახ. ნაშრომი

*Maia Kutateladze*

### **Вербальные коммуникативные технологии и вопросы древнейших религиозных верований грузин**

Теме маздеизма в грузинской историографии посвящены довольно обширные исследования, тем не менее, анализ иностранных и грузинских письменных источников позволяют по-новому осмыслить и разработать некоторые проблемы истории Грузии. К числу таких проблем относятся божество Митра и митраизм как одно из ответвлений маздеизма. Культ Митры в Грузии рассмотрен в контексте мировой истории, что является основой более глубокого изучения связанных с митраизмом вопросов.

После окончательной победы христианства христианское учение многое переняло из митраизма – как в плане теологии, так и с точки зрения морали и культа. Именно показателем популярности культа Митры является тот факт, что господствующая христианская религия многие ритуалы и предствления переняла от языческого культа Митры, превратив их в непреложную догму христианского учения. Переход же митраической символики и обычаев в христианство вынудил верхушку ранней церкви искать объяснение этим явлениям с позиций христианского учения. После объявления христианства государственной религией в Грузии началось «приспособление» митраизма к христианству, результатом чего, по всей видимости, стало то, что в христианскую эпоху Митра предстает перед нами в образе святого Георгия, столь же распотраненного и популярного в Грузии.

*Maia Kutateladze*

### **Verbal Communication Techniques and the Patterns of Ancient Religious Beliefs in Georgia**

Research of Mazdaism has a long tradition in Georgian historiography. However, analyzes of Georgian and foreign written sources gave a new opportunity to re-evaluate and reconstruct some aspects of Mazdaism, particularly Mithraism in Georgia. Cult of Mithras in Georgia should be studied in context with the world history.

Christianity adopted many patterns of Mithraism's culture, theology and moral and this underlines huge influence and popularity of Mithraism itself. When Georgia declared Christianity as a state religion the process of Mithraism's adjustment with Christianity became inevitable. The result was that after the Christianization Mithras was perceived in the image of St. George.

6. გ. ჯორჯიკია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საბჭოთა ხელისუფლების ვერბალური მანიპულირების  
ისტორიიდან (20-30 იანი წლები)

საბჭოთა ხელისუფლება, საკუთარი არადემოკრატიული ბუნებიდან გამომდინარე, ოპოზიციასთან ბრძოლისა და აღამაინებზე შემოქმედების მრავალგვარ, შეუსწლადე ხერხსა და საშუალებას ფლობდა, ერთ-ერთი მათგანი იყო სიტყვიერი შემოქმედება.

1921 წელს ისტალინის მიერ შემოღებულ იქნა ტერმინი “ნაციონალ უკლონიზმი”, შესაბამისად “ნაციონალ უკლონიზტი” საქართველოს კომპარტიის იმდროინდელი ხელმძღვანელი ბირთვის წარმომადგენლებს ეწოდათ, რომლებიც დაუპირისპირდნენ კავბიუროს ეკლიკიდურეველ კერსს ეროვნულ საკითხში. სიტყვა “უკლონი” პარტიის ხაზისგან გადახრის აღმნიშვნელი იყო და გაამართლებდა ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

საკავშირო კომპარტიის ფრაქციებს შორის ბრძოლის წლებში დაინერგა ტერმინები “შემარცხენე”, “შემარჯვენე”, “ტროცკისტი” ეს სიტყვები, განსაკუთრებით უკანასკნელი, თავიდანვე მეტად უარყოფითი შინაარსით დატვირთეს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის გამკაცრების ყოვარებაში მან დაკარგა პირველსაწყისი მნიშვნელობა. “ტროცკისტი” კაცეკორია მიაკუთვნეს ყველა რეალურ თუ მოგონილ მოწინააღმდეგეს.

სხვადასხვა ეტაჟზე, საბჭოთა ხელისუფლება იყენებდა გამოსატყაიმებს: “იმპერიალიზმის აგენტ”, “დიფერხანტი”, “მაყებელი” “ხალხის მტერი”, უკანასკნელი მეტად სპეციფიური ტერმინია. მისი შინაარსიდან გამომდინარე ამ კატეგორიაში იგულისხმება არა კონკრეტული საზოგადოებრივი წოდების, ან ხელისუფლების მოწინააღმდეგე, არამედ აღამაინების მოქმედე, რომლის განაგურება მისახალმებელი უნდა იყოს. “ხალხის მტერი”, რომაგუს სამართლის ტერმინია, ითვალისწინებდა პიროვნების კანონგარეშედ გამოცხადებასა და მის დაუყოვნებლივ განადგურებას. ახალ დროში გამოიყენებოდა საფრანგეთის რევოლუციის დროს რევიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ და მასობრივი ტერორის გასამართლებლად. რუსეთის რევოლუციოში ის პირველად გამოიყენა ე. ლენინმა კადეტთა პარტიის წევრთა წინააღმდეგ, მან ფადთო გაერცვლება მოთიოეა 30-იანი წლების რეპრესიების დროს.

ამავე დროს გაერცვლებული იყო ტერმინი “სიფხისლე”. “სიფხისლის გაძლიერება” ოცდაათიანი წლების ერთ-ერთ მოთხონად იქცა. ეს სიტყვა ტევადი შინაარსისაა და გულისხმობს მუდმივ თვალთვალს, ყურადღების არ მოდუნებას იმდროინდელი ტერმინოლოგიით “მტრების გამოვლენის” და მათი “დასმენის” მიზნით.

საქართველოში ანტისაბჭოთა პოლიტიკურ ძალებთან ბრძოლის პროცესში და ამ ბრძოლის გასამართლებლად უკვე 1922 წელს შემოიღეს ტერმინი “პოლიტიკური ბანდიტიზმი”, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა “ბანდიტიზმთან ბრძოლად” იქნა გაიგებებული.

1923 წელს საკავშირო ხელისუფლების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოხდა არაკომუნისტური პარტიების დაშლა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი არც ერთი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არ დასმულა და სოგიერთმა პარტიამ განაგრძო კიდევ არალეგალურად არსებობა, ხელისუფლებამ ამ პროცესს პარტიების “თუთილიკვიდაცია” უწოდა.



და ნაკლოვანებებისათვის მას მერე, უნდა დაკისრებოდა არა ობიექტურ პირობებს, არამედ ხელმძღვანელებს. მომდევნო წელს ნათქვამს დაუმატა, რომ თუ ძველი ლოსუნგი იყო “ტექნიკა სწვევებს ვეღაფერს”, რომელმაც შეუწყო კიდევ ხელი ტექნიკური ბაზის შექმნას, ამიერიდან მთელი ყურადღება უნდა გადატანილიყო ადამიანზე, რომლის გარეშე ტექნიკა შედარია. ამ ფონზე იყო სწორედ წამოყენებული შემოთაღნიშნული ლოსუნგი. ამგვარი მიდგომა, მაშინ როცა დაჩქარებული ინდუსტრიული განვითარების თანმდევი, საბჭოთა ეკონომიკისათვის ტიპური ხარვეზები სწორედ მოუწოდებელი სამყურნეო მექანიზმით იყო განპირობებული, ბუნებრივია ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა “კადრების” დადანაშაულებებისათვის, რამაც მართლაც მთილო მასობრივი ხასიათი 1937 წლის რეპრესიების დროს.

ამრიგად, გასული საუკუნის 20-30 იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება, სპეციფიურ ტერმინებსა და გამონათქვამებს მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად იყენებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ყორანაშვილი. სტალინი შტრისები პორტრეტისათვის: თბ., 2006.
2. გ. სამსონაძე. საქართველო 1921-1991. თბ., 2000.
3. ნ. ჯორჯიკია. საქართველოს სასოციალისტური-კომუნისტური ერთპარტია 1926-1937 წლებში. თბ., 2008.

В 20-30-их годах прошлого века в борьбе с оппозицией и для воздействия на людей советская власть применяла вербальное манипулирование. Были введены специальные термины и высказывания, некоторые из них приобрели программный и даже харизматичный смысл, явились одним из средств в достижении цели.

### From the History of Verbal Manipulation of Soviet Leaders

In 20-30 years of the past century the Soviet Government applied to verbal tamper as a method of influencing the population and a weapon of fighting against the opposition. Special terms and definitions were introduced; some of them have got the programming and charismatic meaning for gaining the aim.

**ლიტერატურათმცოდნეობა: კომუნიკაციის მოდელები მხატვრულ ტექსტის სივრცეში/Литературоведение: модели коммуникации в пространстве художественного текста/Literary Studies: models of communication in the space of a literary work.**

*Н.М.Алиева*

*Азербайджанский Университет Языков*

**Своеобразие поэтики цикла Джона Голсуорси «Сага о Форсайтах»**

**Ключевые слова:** жанр романа, трансформации художественного метода

Для романа как жанра характерна **законченность**. Полнота раскрытия характеров и потому **исчерпанность** темы – одно из свойств этого жанра. В романе-эпопее эта замкнутость нарушается. Этой разновидности романа свойственна **незавершенность, незавершенность**. Роман-эпопея не исчерпывается твердо очерченным кругом образов, разбивает всякого рода грани. От одной сферы образов тянутся нити к другой, третьей, от одного поколения к другому, третьему. От прошлого к будущему. Но и прошлое так обширно, что из него автор не может не черпать чего-то еще и еще; прямо относящееся к теме. Что касается Голсуорси, то та ясность и объемная законченность линий, которая была присуща некоторым его романам и новеллам, сохраняется и в форсайтовской эпопее в удивительной ясности и чистоте линий. Всей «Саге» присуща **цельность и завершенность**, но это лишь условная законченность. Постоянное нарастание, расширение ее темы характерно для этого романа-эпопеи.

«Сага о Форсайтах», а затем и «Современная комедия» Голсуорси лишь внешне вписываясь в рамки жанра семейной хроники, значительно расширяют и переступают рамки данного жанра.

Г.В.Мэррот, а за ним и другие исследователи творчества Голсуорси единодушно отмечали, что первоначально писатель не собирался создавать одно большое произведение о Форсайтах. Действительно, первый роман «Собственник» вышел в 1906 году, и только в 1917 году, т.е. через одиннадцать лет, появилась интерлюдия «Последнее лето Форсайта». А затем с 1917 по 1928 годы были написаны остальные пять романов и три интерлюдии о Форсайтах.

В 1906 году, в год появления «Собственника» Голсуорси не мог предвидеть событий романов «Современной комедии», так как их действие относится к более поздним политическим и историческим событиям Англии и мира в целом.

Очевидно, идея продолжения хроники о Форсайтах в форме семейной «Саги» пришла к писателю позже. Этим можно объяснить большую самостоятельность каждого романа о Форсайтах в сравнении, например, с «Жаном-Кристофом» Ромена Роллана или «В поисках утраченного времени» Марселя Пруста. Тем более удивительным может показаться тот факт, что цикл романов о Форсайтах строго подчинен единому замыслу, объединен одной темой и композиционно очень строен и четок.

Основная идея, пронизывающая все шесть книг о Форсайтах – это развернутый анализ форсайтизма как доминирующей черты верхушки английской буржуазии,

намерение показать его разновидности во всем многообразии жизни. И композиция всего цикла в целом, как и каждого романа в отдельности, подчинена этой идее. Вот почему история семьи Форсайт, рассказанная Голсуорси, выходит за рамки семейной хроники.

Писатель постепенно расширяет повествовательное полотно своей «Саги», ведя ее героев от забот семейного круга к событиям общенационального значения. Действие романа «Собственник» ограничивается интересами членов семьи Форсайт. Но уже в следующем романе «В петле» Голсуорси расширяет узкие семейные рамки. Форсайты вплотную сталкиваются с англо-бурской войной. Еще шире писатель захватывает жизнь в романе «Сдается в наем», несмотря на то, что никакие политические и исторические события в романе нет. Но зато в него широкой струей вливаются все те изменения в жизни Англии, которые явились следствием первой мировой войны и других событий: неустойчивость, растерянность во всем – в семье, в деловой жизни, в искусстве. В еще большей степени это касается «Современной комедии». Это уже не просто история семьи, а вся сложенная Англия с ее лихорадочным пульсом. Писатель охватывает различные стороны английской жизни: семья, деловой мир английского Сити, парламент – борьба лейбористов и консерваторов, лондонская пресса, скандальная хроника, деградация искусства, классовая борьба, забастовки и т.д.

Таким образом, здесь наблюдается тенденция выхода за традиционные пределы романа, именно тот процесс, который по выражению Томаса Манна отмечен как процесс «активизации героя и всей романной формы».

Подобного рода «активизация» означает расширение в процессе творчества предмета изображения, характеров. Это исходит от потребности углубить исследование человека в связи со сложными процессами и событиями, происходящими в общественной жизни Европы и всего мира. «Сага», проникнутая «раздумьями об упадке» целой исторической эпохи и судьбах связанных с нею поколений, – сосредоточена на тех социальных и духовных последствиях, которыми историческая ситуация первой трети XX в. осложнила положение человека, его самоопределение по отношению к обстоятельствам и сами обстоятельства.

По мере углубления в эту подсказанную временем проблематику растет интенсивность исканий новых путей, форм и средств, способных охватить и воплотить ее.

Уже ранние произведения Голсуорси вливались в то русло, которое определило развитие реалистического романа нового типа не только в первой трети XX века, но и в последующие десятилетия. Потребность в широком тематическом и проблемном охвате современности присуща и «Саге» в ряду тех романов, которые посвящены качественным изменениям, внесенным XX веком в жизнь целых поколений и отдельной личности, трагически осложнив и вместе с тем обогатив ее возможности и перспективы.

Многие критики, анализируя цикл «Сага о Форсайтах», отмечают тот факт, что именно первый роман «Собственник», порожденный, по признанию самого писателя, «его ненавистью к форсайтизму», является с точки зрения чистоты метода истинно реалистическим произведением. Конечно, здесь форсайтизм становится для писателя объектом тщательнейшего и всестороннего исследования. Мастерство реалиста, пропущенное через детальное знание предмета и мудрая ирония делают блестящими и неповторимыми впечатления от этого первого романа. Но, с другой стороны, в последующих частях цикла, помимо исследования явления «форсайтизма»

во всей специфичности и реальности его ближайших социально-бытовых обстоятельств, рождается атмосфера каких-то новых жизненных «токов», которые неприметно становятся фактором личных судеб, острых коллизий, более или менее выявленных внутренних размежеваний между людьми, внешне связанными между собой крепкими узами. Выход за непосредственные, социально-психологические обстоятельства, окружающие героя, поиски путей воплощения более глубоких и дальних факторов, влияющих на формирование личности, стали присущи всем ведущим художникам XX в. И эта потребность познания сущностных закономерностей эпохи в художественных формах, ей адекватных, приводит к глубокой и органичной перестройке структуры романа, затрагивая многие компоненты формы. Возвращаясь к принципу «активизации» романа XX в., следует отметить, что она имеет не только содержательный, но и формальный аспект. Одновременно с углублением проблематики, расширением предмета изображения, в ней созидалась иерархия аспектов повествования, определялись соотношения между персонажами и их значимость, дифференцировались фабульные и внефабульные линии и т.д. – словом, осуществлялась структура произведения, которая отвечала сложности авторской мысли, формируемой и направляемой стремлением постигнуть специфичность положения человека в духовной атмосфере и исторический обстоятельства XX в.

Подобного рода тенденции, осложняющие традиционную структуру реалистического романа, проявляются у самых разных художников и они менее всего плод личного произвола того или иного писателя.

Тенденции эти глубоко закономерны. Зарождаясь в начале века, обогащаются и углубляются на последующих этапах.

Отступления от классической формы в произведениях начала века наиболее ярко проявляются, пожалуй, в понижении значимости фабулы и тончайшей дифференциации стиливых нюансов в речах персонажей и автора.

